

მექანიზმებსა და მანქანებში მიმღინარე პროცესების  
მოდელირება მათი საიმედოობის გაზრდის მიზნით

**ზვიად მიდელაშვილი**

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

ივლისი 2013 წელი

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით  
მიღელაშვილი ზვიადის მიერ შესრულებულ სადოქტორო ნაშრომს  
დასახელებით: "მექანიზმებსა და მანქანებში მიმდინარე პროცესების  
მოდელირება მათი საიმედოობის გაზრდის მიზნით" და ვაძლევთ  
რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სადისერტაციო  
საბჭოში მის განხილვას დოკტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად.

თარიღი: \_\_\_\_\_

ხელმძღვანელი: დავით თავხელიძე

გ.მ.დ. სრული პროფესორი \_\_\_\_\_

რეცენზენტი: თამაზ ბაციკაძე

გ.მ.დ. სრული პროფესორი \_\_\_\_\_

რეცენზენტი: მიხეილ შილაკაძე

გ.მ.დ. სრული პროფესორი \_\_\_\_\_

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2013 წელი

ავტორი: ზეიად მიდელაშვილი

დასახელება: მექანიზმებსა და მანქანებში მიმდინარე პროცესების  
მოდელირება მათი საიმედოობის გაზრდის მიზნით

ფაკულტეტი: სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: " " 2013 წელი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ  
ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით  
მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა  
და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ  
უნივერსიტეტს.

დოქტორანტი \_\_\_\_\_ ზეიად მიდელაშვილი

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და  
არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების  
გადახსნა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია  
ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო  
უფლებებით დაცულ მასალაზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა  
(გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ  
სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს  
მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა  
მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

## რეზიუმე

საიმედოობა არის მეცნიერება, რომელიც სარგებლობს მზარდი ყურადღებით მთელს მსოფლიოში. უკვე მრავალი წლის მანძილზე საიმედოობის უზრუნველყოფა, არსებული დონის შენარჩუნება და მისი ამაღლება იქცა უმთავრეს პრობლემად ტექნიკის განვითარებაში. პროდუქციის საიმედოობის ამაღლების საკითხებით ინტერესდებიან, როგორც ცალკეული მეცნიერები და ინჟინრები, ასევე კვლევითი ცენტრები, ლაბორატორიები, სახელმწიფო დაწესებულებები და სხვა ორგანიზაციები.

კონკრეტული ტექნიკური ნაკეთობისა თუ მთლიანობაში სისტემის საიმედოობის გაანგარიშება არის რთული და კომპლექსური ამოცანა, რომელიც მოითხოვს სხვადასხვა განმსაზღვრელი ფაქტორისა და პარამეტრის გათვალისწინებას. მაგალითად, ტექნიკური მექანიზმის საიმედოობის გასაანგარიშებლად საჭიროა ვიცოდედ მისი არა მარტო თითოეული შემადგენელი ელემენტარული დეტალის საიმედოობის მაჩვენებელი, არამედ ამ დეტალის ფიზიკური-ქიმიური თვისებების განმსაზღვრელი პარამეტრები და საიმედოობაზე მათი გავლენის მოდელიც.

აქედან გამომდინარე, რაც უფრო მრავალფეროვანია სისტემა მისი შემადგენელი ელემენტებით, მათი ურთიერთკავშირებით, შესასრულებელი ფუნქციებით, თითოეულ ელემენტზე და მთლიანობაში სისტემაზე მოქმედი ძალებით, მით უფრო რთულდება საიმედოობის შეფასების ამოცანა. საჭირო ხდება თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება რთული მათემატიკური მოდელების ამოხსნისა და მათი მოდელირებისათვის, რათა მიღებულ იქნას მაღალი სიზუსტის შედეგი დროის მცირე მონაკვეთში.

საფრენი აპარატი ისევე, როგორც სხვა მექანიზმი, წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ფართო სპექტრის კონსტრუქციული ელემენტების ერთობლიობას, ამიტომაც ასე აქტუალურად და სამართლიანად დგება მისი, როგორც ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების, ასევე მათი ერთობლიობის (კინემატიკური ჯაჭვები და მათი რგოლები), სიმტკიცეზე გაანგარიშების პროგრესული და უფრო დახვეწილი გზების გამოკვლევის ამოცანა. აღნიშნული კი პირდაპირ კავშირშია საიმედოობასთან.

თანამედროვე მანქანებისა და მექანიზმების კინემატიკისა და დინამიკის ამოცანათ გადაჭრისას კომპიუტერულ-გამოთვლითი ტექნიკის ფართო გამოყენება იწვევს გაანგარიშებებში გამოყენებული ალგორითმების დახვეწის აუცილებლობას. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს გაანგარიშების ზოგადი ანალიტიკური მეთოდების გამოყენება, თუნდაც გამოთვლითი სამუშაოების დიდი მოცულობის მიუხედავად, მაგრამ პროგრამირებისათვის მოსახერხებელი სახით.

დინამიკური დატვირთვების გათვალისწინებით მექანიკური სისტემების გაანგარიშების მეთოდების განხილვა-ანალიზის ჩატრებისა და მათი დახვეწისათვის საჭიროა აღინიშნოს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება. მექანიკაში განხილული დინამიკური სისტემების უმრავლესობაში ძირითადი ყურადღება ენიჭება მოძრაობის პერიოდულ (ძირითადი) რეჟიმებს, ხოლო გარდამავალი პროცესები კი

განიხილება მხოლოდ, როგორც სისტემის პერიოდული რეჟიმის დამყარების წინმსწრები მოძრაობის ეტაპი. რეალობაში კი სახვადასხვა მექანიზმების მოძრაობის მუშა რეჟიმები წარმოადგენენ გარდამავალი პროცესების ერთობლიობას, რომლებიც შედგება თანამიმდევრული აჩქარების, დამყარებული მოძრაობისა და დამუხრუჭების ეტაპებისაგან. მოძრაობის რეჟიმის აღნიშნული არასტაციონარულობა იწვევს საანგარიშო ძირითად გადაადგილებებზე, რომლებიც აღიწერება ციკლური კოორდინატების ცვლილების კანონებით, კინემატიკური ჯაჭვის რგოლების დეფორმაციით გამოწვეული დამატებითი დრეკადი გადაადგილებების დადებას. აღნიშნული დეფორმაციები ატარებენ რხევით ხასიათს და ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას, როგორც სისტემის კინემატიკურ სიზუსტეზე, ასევე ჯაჭვის რგოლებში დინამიკური დატვირთვებისა და ძაბვების სიდიდეზე. გარდა ამისა დეფორმაციის ზრდით მატულობს დინამიკური დატვირთვების მნიშვნელობაც, რაც თავის მხრივ იწვევს მექანიკური სისტემების სწრაფქმედების შეზღუდვას მათი სიმტკიცის კრიტერიუმების მიხედვით.

განხილული საკითხებისა და დასმული ამოცანების მნიშვნელოვნობიდან გამომდინარე საიმედოობის გაზრდის მიზნით მექანიზმებსა და მანქანებში მიმდინარე პროცესების მოდელირების განსახორციელებლად საჭიროდ მივიჩნიეთ სხვადასხვა სტრუქტურის მქონე კინემატიკური ჯაჭვების დრეკადად დაკავშირებულ რგოლებში, მათ მიერ მოცემული მოქმედებების შესრულების შედეგად, წარმოქმნილი დეფორმაციებისა და რხევების ნამდვილი მნიშვნელობებით გაანგარიშების ამოცანის ანალიზისა და სინთეზის საკითხების გადაჭრა და მიღებული დამოკიდებულებების საფუძველზე ამდაგვარი მექანიკური სისტემების პროექტირების მეთოდებისა და პროგრამული მოდელების შემუშავება.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე განხორციელდა:

- 1) კინემატიკური ჯაჭვების მოძრაობის განტოლებათა გამოყენებით მრავალკავშირა ჯაჭვური სისტემების დინამიკის ანალიზი და სინთეზი;
- 2) დინამიკური სისისტის მეთოდის გამოყენების საფუძველზე სივრცული დია კინემატიკური ჯაჭვის საკუთარ რხევათა რხევების განსაზღვრის მეთოდის აგება;
- 3) დრეკადი მექანიკური სისტემების ფიზიკურ პარამეტრებზე (საკუთარი რხევების სისტირე) დამოკიდებული სიმტკიცეზე გაანგარიშების მეთოდის ჩამოყალიბება და შესაბამისი რეკურენტული ტიპის განტოლებების გამოყვანა;
- 4) ა სისტირის მქონე გარე პარმონული ძალის ზემოქმედების ქვეშ მყოფი რგოლის, როგორც ქელის, რხევათა ანალიზის საფუძველზე შესაბამისი პირობის მიღება, რომელიც უზრუნველყოფს გადანაწილებული მასისა და ძელის დამყოლობის გათვალისწინების სიზუსტეს 1%-ის ფარგლებში.
- 5) მიღებული თანაფარდობების მეშვეობით უპილოტო საფრენი აპარატის ფრთის მექანიზაციისა და მართვის სისტემის შემადგენელი მძიმე საექსპლუატაციო პირობებში მომუშავე სხვადასხვა სტრუქტურის მქონე კინემატიკური ჯაჭვების რგოლთა კვეთებში მოქმედი ძაბვების განსაზღვრა, რის საფუძველზეც წარმოდგენილ იქნა კონკრეტული რეკომენდაციები მექანიზმების

რგოლთა სიმტკიცის მახასიათებლების გაუმჯობესების აუცილებლობაზე მათი საიმედოობის ამაღლების მიზნით.

- 6) კომპიუტერული მოდელირება საანგარიშო პროცესის ავტომატიზაციისა და მიღებული შედეგების სისტემატიზაციისათვის;
- 7) საიმედოობის შედარებითი ანალიზი, შეფასება და გაკეთდა შესაბამისი დასკვნები საიმედოობის ამაღლებაზე მიმართული აუცილებელი დონისმიებების შესახებ.

## SUMMARY

Reliability is the science field that has increasing interest all over the world. During many years providing and rising reliability became one of the main problems in development of technique. About issues of rising reliability are being interested by individual scientists and engineers as well as research centers, labs, state institutions and other organizations.

Specific technical piece of work or calculation of full system reliability is a difficult and complex task that needs considerations in various determining factors and parameters. E.g. When calculating reliability of technical mechanism it is essential to know not only its constituent detail's constructional reliability indicator but its physical and chemical determining parameters and the model that effects reliability.

Therefore, the more varied the system is with its constituent elements, with interconnections, functions, power that impacts separate element and full system, the more difficult is the task of reliability. It is necessary to use not only contemporary computer systems for solving difficult mathematical models and its modeling, but the consideration of additional initial data in theoretical depictions to receive high accuracy result in short time.

Aircraft, like other mechanical object represents interconnection wide spectrum constructive element unity. For this reason it's urgent to solve the task that depicts right and more progressive ways for separate constructive elements as well as for its unity (kinematic chains and its rings). Above mentioned is directly connected with reliability.

Currently in order to solve kinematics and dynamic tasks of machines and mechanisms, wide usage of computing technique causes the necessity to refine used algorithms that are implemented in calculation. One of the examples is the usage of analytical methods regardless vast number of calculative work, but it is useful for programming.

Envisaging dynamic loads it is important to note that for estimation methods of mechanical systems and it's analyze and refinement one important circumstance is to be mentioned. Within dynamic systems that are discussed in mechanics, main attention is given to periodical regime of movement but transitional process is discussed as preceding movement step for establishing periodical regime. Actually working regimes of various mechanisms represent the unity of transitional processes that consists of sequential acceleration, established movement and brake phases. Above mentioned non-stationary state of movement regime causes counting complications on the main movement that are described by rules of changed digital coordinates, also taking into account additional flexible movement that is caused by kinematics chain rings deformation. These deformations have vibration and effect system's kinetic accuracy as well tension size and dynamic loads of chain rings. Besides by deformation in time increases meaning of dynamic load that by itself causes restriction of speed of mechanical activity according to its endurance criteria.

According to the importance of the discussed issues and set of tasks with aim of increasing reliability we consider that for modeling of current processes in mechanisms and machines is important to solve tasks about various structures of kinematic flexible chain rings, that is the result of activities. Also estimating created deformations and vibration's real meaning and solving task's analyze and synthesis issues. Above mentioned issues causes necessity of developing projection methods and programming models.

Based on researches the following important issues are:

- 1) By implementation of kinematic chains movement equations analyses and synthesis of multiple connection chain system dynamics.
- 2) Based on usage of dynamic rigidity method, establish method of kinematic chain's own vibration frequency.
- 3) Establish endurance method of flexible mechanical systems' physical parameters (own vibration frequency) and solve relevant recurrence type equations.
- 4)  $\omega$  Frequency harmonic power effects ring and based on its vibration analysis relavent condition should be get. That insures 1% accuracy of apportioned mass and beam flaxibility.
- 5) Through received correspondence detarmine operational tension within various structural kinematic chain rings`sections in unmanned aircraft`s wing mechanization constituent heavy operational terms. Based on above mentioned specific recomendations are presented to improve characteristic of mechanizems` ring endurance for rising there reliability.
- 6) Computer modeling for automatization of calculating process.
- 7) Comparative analysis of reliability was evaluated and made appropriate conclusions for necessary arrangements.

## შინაარსი

შესავალი.....	13
თავი 1. ლიტერატურის მიმღებლება.....	19
1. ზოგადი ცნობები სივრცული კინემატიკური ჯაჭვებისადმი მიძღვნილი შრომების შესახებ.....	19
1.2. ზოგადი ცნობები მანქანათა სიმტკიცისა და საიმედოობის ურთიერთკავშირის შესახებ.....	26
თავი 2. შედებები და მათი ბანსჯა.....	29
თავი 2.1. ტექნიკური ნაკეთობების საიმედოობა და მისი უზრუნველყოფის პრობლემები.....	29
2.1.1. საიმედოობის არსი და დანიშნულება.....	29
2.1.2. საიმედოობის ძირითადი ცნებები და ზოგიერთი განმარტებები.....	38
2.1.3. საიმედოობის ორდენობრივი მახასიათებლები და მაჩვენებლები.....	50
2.1.4. საიმედოობის ფიზიკური და მათემატიკური მოდელები.....	61
თავი 2.2. ღია კინემატიკური ჯაჭვების დინამიკა განზოგადებული კოროლინატების მცირე ცვლილებისას.....	71
2.2.1. კინემატიკური ჯაჭვის მონაკვეთების დინამიკის განტოლებები მათი შემადგენელი რგოლების დრეკადობის გათვალისწინებით.....	71
2.2.2. სივრცული ღია კინემატიკური ჯაჭვის საკუთარ რხევათა სისტემის გაანგარიშება.....	85
თავი 2.3. დინამიკური მახასიათებლების გავლენის გათვალისწინებით კინემატიკური ჯაჭვის რგოლებში ძაბვების განსაზღვრა.....	91
2.3.1. კინემატიკური ჯაჭვის რგოლებში ძაბვების განსაზღვრის ზოგადი მეთოდი.....	91
2.3.2. უპილოტო საფრენი აპარატის ფრთის მექანიზაციისა და მართვის სისტემის შემადგენელ კონსტრუქციულ ელემენტებში, როგორც კინემატიკური ჯაჭვის რგოლებში, ძაბვების განსაზღვრა.....	104
დასკვნა.....	119
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.....	121

## ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1:	ნაკეთობების მტყუნებათა კლასიფიკაცია გამოვლენის პარამეტრების ცვლილებათა ხასიათისა და წარმოქმნის მიზეზების მიხედვით.....	41
ცხრილი 2:	ტექნიკური ნაკეთობების მტყუნებათა ფიზიკურ-ქიმიური პროცესების და ამ მტყუნებების დამახასიათებელი მექანიზმების კლასიფიკაცია.....	45
ცხრილი 3:	ურთიერთკავშირი საიმედოობის მახასიათებლებს შორის..	57
ცხრილი 4:	საიმედოობის მთავარი მაჩვენებლები.....	59
ცხრილი 5:	ტექნიკური ნაკეთობების მტყუნებების ფორმირების ფიზიკურ-ქიმიური მოდელების მაგალითები.....	62
ცხრილი 6:	უმტყუნო მუშაობის დროის განაწილების ძირითადი კანონები.....	68

## ნახაზების ნუსხა

ნახ. 1:	ტექნიკის ექსპლუატაციისას წარმოქმნილი პროცესები.....	35
ნახ. 2:	ტექნიკური ნაკეთობების მტყუნებათა ფორმირების ფიზიკური მოდელი.....	43
ნახ. 3:	ნაკეთობების მტყუნებათა ხასიათის განმსაზღვრელი ნიშან-თვისებების ერთობლიობის საკლასიფიკაციო სტრუქტურული სქემა.....	49
ნახ. 4:	მტყუნებათა მექანიზმის განმსაზღვრელი ნიშან-თვისებების ერთობლიობის საკლასიფიკაციო სტრუქტურული სქემა.....	49
ნახ. 5:	ნაკეთობების საექსპლუატაციო თვისებების განმსაზღვრელი ნიშან-თვისებების ერთობლიობის საკლასიფიკაციო სტრუქტურული სქემა.....	49
ნახ. 6:	$P(t)$ , $Q(t)$ და $f(t)$ ფუნქციათა მიახლოებითი სახე.....	53
ნახ. 7:	ტიპური $\lambda$ მახასიათებელი.....	54
ნახ. 8:	განივი რხევების განტოლებათა გამოყვანის დეროს დუნვის საანგარიშო სქემა.....	72
ნახ. 9:	სტანდარტული საანგარიშო მონაკვეთის მქონე ეპივალენტური დისკრეტული მონაკვეთის სქემა.....	76
ნახ. 10:	კინემატიკური ჯაჭვის რგოლის დისკრეტიზირებული მონაკვეთის გრძივი დრეკადი გადაადგილების საანგარიშო სქემა.....	79
ნახ. 11:	ბრუნვის პორიზონტალური დერძის მქონე მეხუთე კლასის კინემატიკური წყვილების მეშვეობით საანგარიშო მონაკვეთების (რგოლთა შეუდლების ადგილები) შეუდლების საანგარიშო სქემა.....	81
ნახ. 12:	ბრუნვის ვერტიკალური დერძის მქონე მეხუთე კლასის კინემატიკური წყვილების მეშვეობით საანგარიშო მონაკვეთების (რგოლთა შეუდლების ადგილები) შეუდლების საანგარიშო სქემა.....	82
ნახ. 13:	კინემატიკური ჯაჭვის რგოლის საანგარიშო მონაკვეთების შეუდლების სქემა კინემატიკური წყვილის ბრუნვის დერძის თანხვედრისას რგოლის დერძთან.....	84
ნახ. 14:	რგოლის მუდმივი კვეთის მქონე საანგარიშო მონაკვეთების შეუდლების სქემა დუნვით რხევებთან მიმართებაში.....	85
ნახ. 15:	ლია კინემატიკური ჯაჭვის გამომავალი რგოლის საანგარიშო მონაკვეთების შეუდლების სქემა დუნვით რხევებთან მიმართებაში.....	85
ნახ. 16:	ლია კინემატიკური ჯაჭვის საკუთარი რხევების სიხშირის განსაზღვრის საანგარიშო სქემა.....	86

ნახ. 17:	სივრცული მექანიზმის დერო-ელემენტის კვეთში ძაბვათა განსაზღვრის საანგარიშო სქემა.....	97
ნახ. 18:	ფრთის მექანიზაციის კონსტრუქციული ელემენტების სქემა.....	104
ნახ. 19:	ფრთის მექანიზაციის კონსტრუქციული ელემენტის (კინემატიკური ჯაჭვის I რგოლი) კვეთში მოქმედი ლუნვის ძაბვის განსაზღვრის საანგარიშო სქემა.....	105
ნახ. 20:	ფრთის მექანიზაციის კონსტრუქციული ელემენტის (კინემატიკური ჯაჭვის II რგოლი) კვეთში მოქმედი ლუნვის ძაბვის განსაზღვრის საანგარიშო სქემა.....	107
ნახ. 21:	სიმტკიცეზე გაანგარიშების კომპიუტერული მოდელი.....	109
ნახ. 22:	ფრთის მექანიზაციის კონსტრუქციულ ელემენტზე მოქმედი ლუნვის ძაბვის გრაფიკი.....	110
ნახ. 23:	მართვის სისტემის კონსტრუქციულ ელემენტში ძაბვათა განსაზღვრის საანგარიშო სქემა.....	111
ნახ. 24:	გრეხითი მომენტის განაწილება დეტალის სიგრძის მიხედვით.....	115
ნახ. 25:	ლუნვის ნორმალური ძაბვის განაწილება დეტალის სიგრძის მიხედვით.....	116
ნახ. 26:	ლუნვის მხები ძაბვის განაწილება დეტალის სიგრძის მიხედვით.....	117
ნახ. 27:	გრეხის მხები ძაბვის განაწილება დეტალის სიგრძის მიხედვით.....	118

## შესავალი

პრობლემის აქტუალობა. საიმედოობა არის მეცნიერება, რომელიც სარგებლობს მზარდი ყურადღებით მთელს მსოფლიოში. საიმედოობის პრობლემა არის გადამწყვეტი ტექნიკის განვითარებაში უკვე მრავალი წლის მანძილზე. პროდუქციის საიმედოობის ამაღლების საკითხებით ინტერესდებიან, როგორც ცალკეული მეცნიერები და ინჟინრები, ასევე კვლევითი ცენტრები, ლაბორატორიები, სახელმწიფო დაწესებულებები და სხვა ორგანიზაციები.

საიმედოობამ, როგორც კვლევის ცალკეულმა საგანმა, უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა მეცნიერების სხვადასხვა სფეროებში: ეკონომიკა, მედიცინა, ბიოლოგია, ქიმია, მშენებლობა, მანქანატმშენებლობა, ტრანსპორტი, მეტალურგია და ა.შ.. მისი მნიშვნელოვნობა შემთხვევითი არაა, ვინაიდან მოწყობილობაზე დაკისრებული შესასრულებელი ფუნქციის ზრდა იწვევს აღნიშნული მოწყობილობის გართულებასაც და შესაბამისად მტყუნების ან გაუმართაობის წარმოქმნის ალბათობის ზრდასაც. დაუშვებელია, რომ მოწყობილობებში, რომლებიც ითვლიან მრავალ ათას ელექტრონულ და მექანიკურ ელემენტს, მწყობრიდან გამოვიდეს ერთი მათგანიც კი და შედეგად დაირღვას მთელი სისტემის მუშაობის პროცესი. ტექნიკური მოწყობილობებისა ან სისტემების და მათი შემადგენელი ელემენტარული ნაწილების მუშაუნარიანი მდგომარეობის უზრუნველყოფასთან ერთად საიმედოობა წარმატებით ითავსებს პროდუქციის ეკონომიკური უფექტურობის კრიტერიუმების და წარმოების ორგანიზების ოპტიმალური გზების შემუშავებას, რაც თავის მხრივ იქცა მის ცენტრალურ – გლობალურ ამოცანად.

საიმედოობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანს ასევე წარმოადგენს რთული კომპლექსების აგების ისეთი მეთოდების შექმნა, რომლებიც შეძლებენ უზრუნველყონ სისტემის საიმედო მუშაობა ცალკეული ელემენტების მწყობრიდან გამოსვლის პირობებშიც კი, ისევე როგორც ცოცხალი ორგანიზმის შემთხვევაში ცალკეული დაზიანებები არ იწვევენ მისი ნორმალური ფუნქციონირების დარღვევას. აღნიშნული მიმართულებით უკვე შემოთავაზებულია არაერთი პრინციპი და აქედან გამომდინარე ისმის საიმედოობის უზრუნველყოფის თეორიული

საფუძვლების შექმნის ამოცანა. ერთ-ერთი ამ ამოცანათაგანია სისტემის საიმედოობის გაანგარიშება.

სისტემის საიმედოობის გაანგარიშება წარმოებს რამოდენიმე ხერხით:

- დაფუძნებული პარალელურ-მიმდევრული სისტემების გამოყენებაზე;
- დამყარებული ლოგიკური განტოლებების უშუალო გამოყენებაზე;
- დაფუძნებული მუშაუნარიანობათა სხვადასხვა მდგომარეობაში ნაკეთობის გადასვლების გრაფის შედგენაზე;
- დამყარებული წარმომქმნელი (მწარმოებელი) ფუნქციების გამოყენებაზე;
- ფუნქციური საიმედოობის გამოთვლა და სხვა.

ჩამოთვლილთაგან თითოეულ მეთოდს მათი გამოყენების არეალიდან გამომდინარე გააჩნია, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. აქედან გამომდინარე საიმედოობის სწორად გაანგარიშება დამოკიდებულია შესაბამისი მეთოდის ზუსტ არჩევაზე, სისტემაში მიმდინარე პროცესების აღწერისათვის შესაბამისი მათემატიკური მოდელის ჩამოყალიბებაზე, გამოთვლებში მონაწილე პარამეტრების სწორად შერჩევაზე, მიღებული განაწილებების შესახებ პიპოთეზის წამოყენებისა და მისი დადასტურების სისწორეზე და ა.შ.

სისტემის საიმედოობის გაანგარიშება არის რთული და კომპლექსური ამოცანა, რომელიც მოითხოვს სხვადასხვა განმსაზღვრელი ფაქტორისა თუ პარამეტრის გათვალისწინებას. მაგალითად, ტექნიკური მექანიზმის საიმედოობის გამოსათვლელად საჭიროა ვიცოდედ მისი არა მარტო თითოეული შემადგენელი ელემენტარული დეტალის საიმედოობის მაჩვენებელი, არამედ ამ დეტალის ფიზიკური-ქიმიური თვისებების განმსაზღვრელი პარამეტრები და საიმედოობაზე მათი გავლენის მოდელიც.

აქედან გამომდინარე, რაც უფრო მრავალფეროვანია სისტემა მისი შემადგენელი ელემენტებით, მათი ურთიერთკავშირებით, შესასრულებელი ფუნქციებით, თითოეულ ელემენტზე და მთლიანობაში სისტემაზე მოქმედი ძალებით, მით უფრო რთულდება საიმედოობის შეფასების ამოცანა. საჭირო ხდება თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება რთული მათემატიკური მოდელების

ამოხსნისათვის, რათა მიღებულ იქნას მაღალი სიზუსტის შედეგი დროის მცირე მონაკვეთში.

საფრენი აპარატი ისევე, როგორც სხვა მექანიზმი, წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული კონსტრუქციული ელემენტების ერთობლიობას, ამიტომაც ასე აქტუალურად და სამართლიანად დგება მისი, როგორც ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების, ასევე მათი ერთობლიობის (კინემატიკური ჯაჭვები და მათი რგოლები), სიმტკიცეზე გაანგარიშების პროგრესული და უფრო დახვეწილი გზების გამოკვლევის ამოცანა. აღნიშნული კი პირდაპირ კავშირშია საიმედოობასთან.

თანამედროვე მანქანებისა და მექანიზმების კინემატიკისა და დინამიკის ამოცანათა გადაჭრისას კომპიუტერულ-გამოთვლითი ტექნიკის ფართო გამოყენება იწვევს გაანგარიშებებში გამოყენებული ალგორითმების დახვეწის აუცილებლობას. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს გაანგარიშების ზოგადი ანალიტიკური მეთოდების გამოყენება, თუნდაც გამოთვლითი სამუშაოების დიდი მოცულობის მიუხედავად, მაგრამ პროგრამირებისათვის მოსახერხებელი სახით.

ტექნიკის სხვადასხვა დარგში არსებული მექანიზმებისა და მანქანების სტრუქტურული სქემების უდიდესი უმრავლესობა შეიძლება მიკუთვნებულ იქნას მრავალკავშირა ჯაჭვური სისტემების კლასისადმი. აღნიშნულ კლასს მიეკუთვნება ის მექანიკური სისტემები, რომლებშიც შემადგენელი რგოლების დრეკადი თვისებების გათვალისწინებას გააჩნია პირველადი მნიშვნელობა. ასეთებია მაგალითად, მანქანათა როტორები, გემებისა და საფრენი აპარატების კორპუსები, ტურბომანქანების ნიჩბები და ნიჩბების პაკეტები, დრეკადი დაკავშირებული დიდი ზომის მყარი სხეულებისაგან შემდგარი სისტემები, სხვადასხვა სახის ბრტყელი და სივრცული ბერკეტული მექანიკური სისტემები და ა.შ.

ჩამოთვლილთაგან გამოვყოთ ბრტყელი და სივრცული დეროვანი მექანიკური სისტემების კლასი, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა ტიპის მანქანებში შემსრულებელი მექანიზმის სახით და წარმოადგენენ სხვადასხვა სტრუქტურის კინემატიკურ ჯაჭვებს. შესაბამისად, კინემატიკურ ჯაჭვურ სისტემას უწოდებთ ნებისმიერ რხევით სისტემას,

რომელიც შედგება ნებისმიერი სტრუქტურის მქონე ერთი-მეორის მიუოლებით მდგარი ან მოძრავად შეუდლებული ან დრეკადი კავშირების მქონე ელემენტებისაგან.

მექანიკური სისტემების დინამიკური დატვირთვების გათვალისწინებით გაანგარიშების მეთოდების განხილვა-ანალიზის ჩატრებისა და მათი დახვეწისათვის საჭიროა აღინიშნოს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება. მექანიკაში განხილული დინამიკური სისტემების უმრავლესობაში ძირითადი ყურადღება ენიჭება მოძრაობის პერიოდულ რეჟიმებს, ხოლო გარდამავალი პროცესები კი განიხილება მხოლოდ როგორც სისტემის ძირითადი პერიოდული რეჟიმის დამყარების წინმსწრები მოძრაობის ეტაპი. რეალობაში კი სახვადასხვა მექანიზმების მოძრაობის მუშა რეჟიმები წარმოადგენენ გარდამავალი პროცესების ერთობლიობას, რომლებიც შედგება თანამიმდევრული აჩქარების, დამყარებული მოძრაობისა და დამუხრუჭების ეტაპებისაგან. მოძრაობის რეჟიმის აღნიშნული არასტაციონარულობა ოწვევს საანგარიშო ძირითად გადაადგილებებზე, რომლებიც აღიწერება ციკლური კოორდინატების ცვლილების კანონებით, კინემატიკური ჯაჭვის რგოლების დეფორმაციით გამოწვეული დამატებითი დრეკადი გადაადგილებების დადებას. აღნიშნული დეფორმაციები ატარებენ რხევით ხასიათს და ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას, როგორც სისტემის კინემატიკურ სიზუსტეზე, ასევე ჯაჭვის რგოლებში დინამიკური დატვირთვებისა და ძაბვების სიდიდეზე. გარდა ამისა დეფორმაციის ზრდით მატულობს დინამიკური დატვირთვების მნიშვნელობაც, რაც თავის მხრივ ოწვევს მექანიკური სისტემების სწრაფქმედების შეზღუდვას მათი სიმტკიცის კრიტერიუმების მიხედვით.

**ნაშრომის მიზანი:** სხვადასხვა სტრუქტურის მქონე კინემატიკური ჯაჭვების დრეკადად დაკავშირებულ რგოლებში, მათ მიერ მოცემული მოქმედებების შესრულების შედეგად, წარმოქმნილი დეფორმაციებისა და რხევების ნამდვილი მნიშვნელობებით გაანგარიშების ამოცანის ანალიზისა და სინთეზის საკითხების გადაჭრა და მიღებული დამოკიდებულებების საფუძველზე ამდაგვარი მექანიკური სისტემების პროექტირების მეთოდებისა და პროგრამული მოდელების შემუშავება.

## **კვლევის ამოცანები.**

აღნიშნული ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე საჭირო იყო  
შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- კინემატიკური ჯაჭვების მოძრაობის განტოლებათა გამოყვანა, რომლებიც მოგვცემს მრავალკავშირა ჯაჭვური სისტემების დინამიკის ანალიზისა და სინთეზის ამოცანათა ამოხსნის საშუალებას;
- დრეკადი მექანიკური სისტემების ფიზიკურ პარამეტრებზე (საკუთარი რხევების სიხშირე) დამოკიდებული სიმტკიცეზე გაანგარიშების რეკურენტული ტიპის განტოლებების გამოყვანა, რომელთა მეშვეობითაც განხორციელდება კონკრეტული კონსტრუქციული ელემენტის სიმტკიცის პარამეტრების გაანგარიშება;
- მიღებულ მოდელზე დაყრდნობით განხორციელდება კომპიუტერული მოდელირება შემდგომი გამოთვლების დაწერებისათვის და მიღებული შედეგების სისტემატიზაციისათვის, მათი ანალიზი და შესაბამისი დასკვნების წარდგენა საიმედოობის ამაღლებაზე მიმართული დონისძიებების და მათი გატარების აუცილებლობისა შესახებ.

**კვლევის ობიექტი.** უპილოტო საფრენი აპარატის ფრთის მექანიზაციისა და მართვის სისტემის კონსტრუქციული ელემენტები.

### **მეცნიერული სიახლე:**

- განხორციელდა კინემატიკური ჯაჭვების მოძრაობის განტოლებათა გამოყენებით მრავალკავშირა ჯაჭვური სისტემების დინამიკის ანალიზი და სინთეზი;
- გამოყვანილ იქნა დრეკადი მექანიკური სისტემების ფიზიკურ პარამეტრებზე (საკუთარი რხევების სიხშირე) დამოკიდებული სიმტკიცეზე გაანგარიშების რეკურენტული ტიპის განტოლებები;
- ჩამოყალიბებული მეთოდიკის მიხედვით განხორციელდა უპილოტო საფრენი აპარატის ფრთისა და მართვის სისტემის კონსტრუქციული ელემენტების სიმტკიცის პარამეტრების გაანგარიშება;

- მიღებული შედეგების საფუძველზე განხორციელდა კომპიუტერული მოდელირება საანგარიშო პროცესის ავტომატიზაციისა და სისტემატიზაციისათვის;
- მიღებული საერთო შედეგების მიხედვით განხორციელდა განხილული კონსტრუქციების კლემენტების საიმედოობის შედარებითი ანალიზი, შეფასება და გაკეთდა შესაბამისი დასკვნები საიმედოობის ამაღლებაზე მიმართული აუცილებელი ღონისძიებების შესახებ.

## თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

### 1.1. ზოგადი ცნობები სივრცული კინემატიკური ჯაჭვებისადმი მიძღვნილი შრომების შესახებ

მანქანათა და მექანიზმების თეორიაში კინემატიკური ჯაჭვების, როგორც სივრცული მექანიზმების, ანალიზისა და პროექტირების საკითხები განხილულ და შესწავლილ იქნა მრავალი მეცნიერის ნაშრომში.

აღნიშნული მიმართულებით მრავალი ნაშრომის არსებობის გათვალისწინებით შემოვიყარგლოთ მხოლოდ ძირითადების განხილვით, რომლებიც მრავალრგოლა მექანიზმების პროექტირებისათვის ამა თუ იმ მოცულობით შეიცავენ საკვამო მნიშვნელობის მეთოდებს. აქეე პირველ რიგში აუცილებელია აღინიშნოს მონოგრაფია [1], რომელშიც ჩამოყალიბებულია სივრცული მექანიზმების სტრუქტურის, კლასიფიკაციისა და კინემატიკის საკითხები და რომლის კვლევის ძირითადი ნაწილი მოიცავს რთული ჩაკეტილი კინემატიკური ჯაჭვების სიჩქარეთა და აჩქარებების განსაზღვრის მეთოდებს. ნაშრომში [2] გრაფიკული მეთოდის გამოყენების საფუძველზე მოყვანილია სივრცული მექანიზმების კინემატიკური ანალიზი, სადაც განხილულია შვიდრგოლა სივრცული მექანიზმის მდებარეობების განსაზღვრის ამოცანები. სტატიაში [3] პირველად სივრცული მექანიზმებისათვის ვაქტორული მეთოდის გამოყენების საფუძველზე განსაზღვრულ იქნა კინემატიკურ ჯაჭვში მოქმედი ძალები. ნაშრომში [4] ძირითადი ყირადლება დათმობილი აქვს სფერული მექანიზმების (მექანიზმები, რომელთა ბრუნვის ღერძები გადაიკვეთება ერთ წერტილში) კვლევის საკითხებს.

მექანიზმის მდებარეობის შესახებ ამოცანის ამოხსნის გარეშე შეუძლებელია მრავალრგოლა სივრცული ბერკეტული მექანიზმების კინემატიკისა და დინამიკის საკითხთა გამოკვლევა. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია აღინიშნოს შრომები [5, 6], სადაც გამოკვლეულია სივრცით ოთხრგოლებში მრუდმხარას არსებობის

პირობები და ასევე ნაშრომი [7], რომელშიც მოცემულია ანალიტიკური გეომეტრიის განტოლებათა გამოყენების საფუძველზე სივრცული ოთხერგოლას მდებარეობის განსაზღვრის მეთოდი. ნაშრომში [8] ჩაკეტილი კონტურის შემოვლის მეთოდის მეშვეობით ამოხსნილია სივრცული ბერკეტული მექანიზმის მდებარეობის განსაზღვრის ამოცანა, რა დროსაც გამოყენებულია მატრიცები, სადაც ელემენტები წარმოადგენენ დუალურ რიცხვებს.

მექანიზმების მდებარეობის განმსაზღვრული საკითხების ამოხსნასთან დაკავშირებული შრომების განხილვისას აუცილებელია აღინიშნოს [9, 10] შრომები, სადაც განზოგადებულია და ჩამოყალიბებულია სივრცული ბერკეტული მექანიზმების მოძრაობის კვლევის მეთოდები და მოყვანილია ამ მეთოდების კლასიფიკაცია. ამავე შრომებში, ზოგადი ანალიტიკური მეთოდის საფუძველზე, მოცემულია სივრცული დია კინემატიკური ჯაჭვების კინემატიკური ანალიზის საკითხთა გადაჭრის მეთოდები.

როგორ მექანიკური სისტემების კინემატიკისა და დინამიკის ნებისმიერი ამოცანის შესწავლის პროგრესი დამოკიდებულია გამოყენებული მათემატიკური აპარატის სრულყოფილებაზე. ასე მაგალითად, სივრცული დია კინემატიკური ჯაჭვების კვლევისას უფრო გავრცელებულს წარმოადგენს მეთოდიკა [11], სადაც შემოთავაზებულია მექანიზმის სტრუქტურის სიმბოლური განტოლების სახით წარმოდგენის ხერხი. მოცემულ განტოლებას შეესაბამისობაში უდგება მექანიზმის ჩაკეტილობის მატრიცული განტოლება, რომელშიც შემოღებულია წერტილის ერთგვაროვანი კოორდინატები და კოორდინატების გარდაქმნის მეოთხე ხარისხის მატრიცები.

სხვადასხვა სტრუქტურის მქონე კინემატიკური ჯაჭვების გაანგარიშებისას და მათი მოძრაობის რეჟიმების დადგენისას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია არა მარტო კინემატიკური ანალიზისა და სინთეზის საკითხებს, არამედ მაგვარი როგორ მექანიკური სისტემების დინამიკური მახასიათებლების განსაზღვრასაც. თუ კი გეომეტრიული ანალიზი საშუალებას გვაძლევს ავაგოთ კინემატიკური ჯაჭვის მმართველი კოორდინატების ცვლილების კანონები, მაშინ სისტემის დინამიკური გაანგარიშება თავის მხრივ

საჭიროა ძალვებისა და მომენტების, რომლებიც უნდა წარმოიქმნან კინემატიკური ჯაჭვების ამძრავით ან ამძრავებით და უზრუნველყონ აღნიშნული მოძრაობის კანონები, დროში ცვლილების კანონების განსაზღვრისათვის. დინამიკური გაანგარიშება ასევე საჭიროა კინემატიკური ჯაჭვების მოძრაობისას მათ რგოლებში წარმოქმნილი ძაბვების მნიშვნელობათა პოვნისათვის.

სისტემის სტატიკური დატვირთვისას მრავალრგოლა სივრცული მექანიზმების სახსრებსა და რგოლებზე მოქმედ ძალთა და მომენტების გაანგარიშების ამოცანები განხილულია შრომებში [12] და [13]. ნაშრომში [14] გამოყვანილია ნებისმიერი სტრუქტურის მქონე ლია კინემატიკური ჯაჭვის მოძრაობის განტოლებათა კოეფიციენტების გასაანგარიშებელი ზოგადი განტოლებები, რომელთა მეშვეობითაც ცალცალკე გაითვალისწინება ჯაჭვის რგოლებსა და ამძრავებზე მოდებული ინერციის ძალების და მომენტების მოქმედება.

მაგრამ კინემატიკური ჯაჭვების კვანძებისა და რგოლების გაანგარიშების განხორციელებით მხოლოდ სტატიკური დატვირთვისას მივყევართ დინამიკის ამოცანის არასრულ ამოხსნამდე. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება ლია კინემატიკურ ჯაჭვებს, სადაც სისტემების დინამიკური მახასიათებლები წარმოადგენენ ცვალებად სიდიდეებს, რომლებიც იცვლებიან მექანიზმის რგოლების ფარდობითი გადაადგილების დროს და რომლებიც მოძრაობის დაგეგმილი ტრაექტორიის აღწარმოებისას ცდომილებების წარმოქმნაში წარმოადგენენ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს. ამასთან დაკავშირებით სულ უფრო და უფრო იმატა შრომების რაოდენობამ, რომლებშიც შეისწავლება ლია კინემატიკური ჯაჭვების პრობლემატიკა და წარმოდგენილია სხვადასხვა ალგორითმის მქონე კომპიუტერული პროგრამები მრავალრგოლა ბერკეტული მექანიზმების მოძრაობის განტოლებათა გამოყვანის პროცედურის ავტომატიზაციისათვის.

პროგრამირებისას გამოიყენებული ვარიაციული მეთოდების გარდა ფართო გამოყენება პპოვეს ვექტორულებმაც, რომელთა მეშვეობითაც ზემოხსენებული მექანიკური სისტემების დინამიკის ამოცანათა ამოხსნისათვის კომპიუტერული პროგრამირების კუთხით

შესაძლებელი ხდება ერთ-ერთი სრულყოფილი სახის ალგორითმების შედგენა.

ნაშრომთა შორის, რომლებიც ეხება კინემატიკური ჯაჭვების დინამიკის კვლევებს მათი რგოლების დრეკადობის გათვალისწინებით, აღსანიშნავია ნაშრომი [15], სადაც ამოხსნილია დრეკადი რგოლების მქონე სახსრული მექანიზმების დინამიკის ანალიზის ამოცანა, თანაც მექანიზმების რგოლთა დრეკადი გადაადგილებები განიხილება მათივე მდებარეობების მიმართ დრეკადობის გათვალისწინების გარეშე. მოცემულ ნაშრომში საანგარიშო განტოლებები შედგენილია თავისუფლების ერთი ხარისხის მქონე სახსრული ოთხრგოლასათვის, რომლის დინამიკური მოდელიც წარმოდგენილია ჰარმონული აგზების მქონე ერთ ან ორ მასიანი სისტემის სახით.

შემსრულებელი მექანიზმების სახით დია კინემატიკური ჯაჭვების კვლევისა და გაანგარიშებისათვის შრომებში [16] და [17] მოდებულია მათემატიკური მოდელი, რომელიც განიხილება ამძრავთა მოდელის ქვესისტემის, საინფორმაციო სისტემისა და მართვის სისტემის სახით. შემსრულებელი მექანიზმის დინამიკა აღიწერება აპკელის განტოლებებით, ხოლო რგოლთა დრეკადობა კი ითვლება თავმოყრილად მექანიკური სისტემის რგოლთა მოძრავ შეუდლებებში.

მეცნიერულ შრომებში [18, 19] განხილულია დია კინემატიკური ჯაჭვების, მათი რგოლების დრეკადობის გათვალისწინებით, მოძრაობის მოდელირების რეკურენტული განტოლებების შედგენის საკითხები, სადაც დრეკადი თვისებების გათვალისწინებით მექანიზმის დინამიკის ანალიზისათვის საანგარიშო სქემის სახით მიიღება დია კინემატიკური ჯაჭვი, რომელიც შედგება ბოლოებში თავმოყრილი მასების მქონე დრეკადი არაინერტული დეროებისაგან. ამავდროულად მექანიკური სისტემა იტვირთება გარე ძალებითა და მომენტებით, რომელთა მნიშვნელობებიც გაანგარიშებულია ნომინალურ რეჟიმში.

პრაქტიკაზე გვხვდება მექანიზმების კონსტრუქციები, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ უწყვეტად განაწილებული პარამეტრების მქონე სისტემებს, რის გამოც მექანიზმების რგოლები ხასიათდება თავისუფლების ხარისხის უსასრულო რიცხვით. აქედან გამომდინარე, რხევებისას კონსტრუქციის ან მისი რგოლების დრეკადი

გადაადგილებების განსაზღვრისათვის არ არის საკმარისი ღუნვის ან სხვა სახის დეფორმაციების ორდინატთა სასრული რიცხვის მინიჭებით შემოფარგვლა, არამედ საჭიროა დროის ნებისმიერი მომენტისათვის გაგვაჩნდეს დრეკადი ღუნვის ხაზის განტოლება, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ დრეკადი გადაადგილებების სიდიდე მექანიზმის რგოლების ყველა მნიშვნელოვან წერტილში.

უსასრულო სპექტრის მქონე რხევებისას კინემატიკური ჯაჭვის რგოლების დრეკადი გადაადგილებების განსაზღვრის სირთულე ხდება ნათელი, თუ კი გავითვალისწინებთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში პრაქტიკაში არსებული ხისტი კავშირები, როგორც წესი, ცვალებადია, ხოლო მასები გადანაწილებულია რგოლებს შორის არათანაბრად.

დინამიკის გაანგარიშებებში დასმული ამოცანის ამოხსნის გაადვილების მიზნით მექანიკური სისტემის რგოლები იცვლება სწორად შერჩეული საანგარიშო სქემით. ამავდროულად საჭიროა ვეცადოდ, რომ მიღებულმა საანგარიშო სქემამ მაქსიმალურად ზუსტად ასახოს არა მარტო განსახილები მექანიკური სისტემის რგოლების თვისებები, არამედ მთლიანობაში მანქანისაც. ამიტიმაც დინამიკის გაანგარიშებების წარმოებისას, რხევათა თეორიაში გამოყენებულ სხვა დაშვებებთან ერთად, ასევე ხდება ორი ძირითადი მიმართულებიდან ერთ-ერთის არჩევა. პირველი მიმართულების თანახმად – გადანაწილებული პარამეტრების მქონე სისტემა იცვლება დისკრეტული პარამეტრების მქონე სისტემით, ანუ თავისუფლებათა ხარისის სასრული რიცხვის მქონე სისტემით. მეორე მიმართულების თანახმად – მოქმედი მასები და ფაქტიური სიხისტეები ამა თუ იმ ხერხით დაიყვანება კვლევის ქვეშ მყოფი მექანიზმის რგოლებს შორის შესაბამისად თანაბრად გადანაწილებულებამდე. ამავდროულად, როგორც წესი, პირველი მიმართულება, რომელიც მნიშვნელოვნად აადვილებს ამოცანის ამოხსნას, გვაძლევს მექანიზმის რგოლებში მათი მუშაობისას მიმდინარე დინამიკური პროცესების საკმაოდ უხეშ ამსახველ შედეგებს, რასაც ხშირად მივყავართ მექანიზმის კონსტრუქციული პარამეტრების შესახებ მცდარ დასკვნებამდე.

შესაბამისად, სხვადასხვა სტრუქტურის მქონე კინემატიკურ ჯაჭვებში მიმდინარე დინამიკური პროცესების უფრო ზუსტი

ასახვისათვის, საჭიროა განხილულ იქნას ფიზიკური პარამეტრების გადანაწილება რგოლთა გასწვრივ მთელს სიგრძეზე. ნაშრომთაგან, რომლებშიც დეროვანი სისტემები განიხილება უწყვეტად გადანაწილებული პარამეტრების მქონე რგოლთა სისტემების სახით, შეიძლება აღნიშნოს შრომები [20], [21] და [22], სადაც ძირითადად განხილულია მაგალითები სამშენებლო მექანიკასა და მანქანათმშენებლობიდან, რგოლთა შორის კინემატიკური კავშირების გავლენის გათვალისწინების გარეშე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ნათელი ხდება, რომ მოძრაობის გადამცემი მექანიზმების პროექტირებისას აუცილებელია მათში წარმოქმნილი დინამიკის პროცესების გათვალისწინება. ამავდროულად, დინამიკის მოცემული პროცესები და განსაკუთრებით სისტემის მოძრაობისას გარდამავალ რეჟიმებზე წარმოქმნილი პროცესები, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ კინემატიკური ჯაჭვების, როგორც კინემატიკაზე, ასევე მათ დინამიკაზე.

მოძრაობის გადამცემი მექანიზმების რგოლებში გარდამავალი პროცესების კვლევისათვის წარმატებით იყენებენ ოპერაციულ აღრიცხვას. უკანასკნელმა ფართო გამოყენება პპოვა მას შემდეგ, წარმატებით იქნა გამოყენებული წრფივ ელექტრულ სისტემებში გარდამავალი პროცესის კანონზომიერების გაანგარიშებისათვის. მოძრაობის გადამცემ რთულ მექანიზმებში გარდამავალი პროცესის დინამიკის ამოცანის ამოხსნა მოცემული მეთოდის მეშვეობით დაიყვანება გარდამავალი პროცესის მაღალი ხარისხის მქონე დიფერენციალური განტოლებების ამოხსნამდე. ცნობილია, რომ ამგვარი განტოლებების ზოგადი ამოხსნა თავის მხრივ წარმოადგენს კერძო ამონასხების წრფივ კომბინაციას, რომლებიც შეიცავენ დამახასიათებელ რიცხვებს, ანუ სისტემის საკუთარი რხევების სიხშირეებს. საკუთარი რხევების სიხშირეთა რიცხვითი მნიშვნელობები მიიღება ალგებრული განტოლებების მიახლოებითი ამოხსნით. მაგრამ, მიღებული სიდიდეები აშკარა სახით არ შეიცავენ სისტემის პარამეტრებს, რის გამოც იკარგება კავშირი გარდამავალი პროცესის ხასიათსა და მოძრაობის გადამცემი მექანიზმის კონსრუქციულ პარამეტრებს შორის. აღნიშნულის შედეგად რამდენიმე თავისუფლების

ხარისხის მქონე სისტემის ანალიზი და სინთეზიც ხდება თითქმის შეუძლებელი. ნათელია, რომ მოძრაობის გადამცემი მექანიზმების პროექტირებისას სისტემის რხევადობის შესამცირებლად და მისი ოპტიმალური პარამეტრების დანიშვნისათვის აუცილებელია ზემოხსენებული კავშირების დადგენა.

ამასთან დაკავშირებით შრომებში [23, 24] და [25] ნაჩვენებია, რომ სისტემებში, რომლებიც აღიწერება მაღალი ხარისხის წრფივი დიფერენციალური განტოლებებით, ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას უფრო მიესადაგება ა.ნ. გოლუბენცევის მიერ შემუშავებული მეთოდი [26], სადაც ოპტიმალური პროცესების მათემატიკური თეორია აგებულია პარამეტრთა სივრცეში საკითხის წრფივად დასმის პირობებში. აღნიშნული საშუალებას გვაძლევს მექანიზმების კონსტრუქციული ელემენტების შერჩევის ამოცანა ამოიხსნას ისე, რომ ამ ელემენტთა დანიშვნისას, გარდამავალ პროცესში განვითარებული დრეკადობის ძალთა მომენტის მაქსიმალური მნიშვნელობა ხდება უმცირესი, ხოლო თვითონ პროცესი კი მიიღევა უმოკლეს დროში.

სხვადასხვა კინემატიკური ჯაჭვების მოძრაობის გადამცემი მექანიზმების განხილვისას საჭიროა აღინიშნოს, რომ მოცემულ მექანიზმებში გადამცემი ელემენტების გარდა შედის არაწრფივი მახასიათებლების მქონე სხვადასხვა კვანძი. შესაბამისად, მოძრაობის გადამცემი მექანიზმების კინემატიკურ ჯაჭვებში წარმოქმნილი რხევითი მოვლენები ყოველთვის ვერ იქნება შესწავლილი წრფივი მოდელების მეშვეობით. უმრავლეს შემთხვევაში მოცემული მექანიზმები უნდა იქნას განხილული მრავალმასური სისტემების სახით, რომლებიც შედგება არაწრფივი მახასიათებლების მქონე ერთმანეთთან დრეკადი კავშირებით დაკავშირებული დისკრეტული მასათა სასრული რიცხვისაგან.

არაწრფივი ამოცანების ამოხსნის საწყისს წარმოადგენს მცირე პარამეტრის მეთოდი, რომელიც შემოთავაზებული იყო პუანკარეს მიერ და გამოიყენება მარტივი არაწრფივი სისტემების მიმართ. მცირე პარამეტრის მეთოდის დახასიათებისას საჭიროა აღინიშნოს, რომ უკანასკნელს პერიოდული ამოხსნების ნამდვილი მნიშვნელობისას მივყევართ დიდ და ხშირად გადაულახავ სირთულეებამდე, რაც

გვაიძულებს პრაკტიკაში პუანტარეს თეორიის გამოყენების არეალის შემცირებას.

სხვადასხვა სახის რთული და დატვირთული მანქანების შექმნამ განაპირობა სიმტკიცეზე გაანგარიშების უფრო ზუსტი მეთოდების შემუშავების აუცილებლობა იმ მოვლენათა გათვალისწინებით, რომლებიც წარმოიქმნება განსახილველი მექანიკური სისტემების რგოლთა რხევების პროცესში. ამასთან დაკავშირებით რხევათა თეორიაში მკვლევართა წინაშე დადგა ამოცანა – რხევით სისტემებში არასტაციონარული პროცესების შესწავლა. რხევითი სისტემის სიხშირეთა და დრეკადობის პარამეტრების ცვლილებისას წარმოქმნილი არასტაციონარული პროცესების შესწავლას ეძღვნება მრავალი მეცნიერის, მათ შორის ი.ა. მიტროპოლსკის შრომები [27, 28]. ასიმპტოტური განშლის გამოყენებაზე დაფუძნებული გაანგარიშების ზოგადი თეორია ჩამოყალიბებული იყო, ასევე ლ.ს. პონტრიაგინის ნაშრომში [29]. ამძრავი მექანიზმების არაწრფივი ამოცანების შესწავლა წარმოდგენილია ვ.ლ. ვეიცის [30] და სხვათა შრომებში. მიუხედავად ამისა, მექანიკური არაწრფივი სისტემების პრაქტიკული გაანგარიშებების ჩატარებისას, ხშირად ვაწყდებით სერიოზულ სირთულეებს, რომლებიც უკავშირდება ამოცანის ამოხსნის რაციონალური მეთოდების არჩევასა და ამ მეთოდების დაკონკრეტებას. ამგვარი სირთულეები წარმოიშვება არაწრფივი მახასიათებლების ან მდებარეობის განმსაზღვრელი არაწრფივი ფუნქციების მქონე დრეკადი რგოლებისაგან შემდგარი სხვადასხვა კონსტრუქციის მოძრაობის გადამცემი მექანიზმების ანალიზისა და განსაკუთრებით სინთეზისას.

## 12. ზოგადი ცნობები მანქანათა სიმტკიცისა და საიმუდოობის ურთიერთკავშირის შესახებ

მანქანათა დეტალების დაღლილობითი დაშლის შეჩერება ხდება სულ უფრო აქტუალური. აღნიშნული გამოწვეულია:

- პირველ რიგში – მანქანების მასალათატევადობის შემცირების მოთხოვნით, რაც დაკავშირებულია მათი დეტალების დაძაბულობის დონისა და უმთავრესად ვიბროდაძაბულობის გაზრდასთან;
- მეორე რიგში – მანქანათა რესურსის გაზრდის მოთხოვნით, რასაც მივყევართ მთლიანი მსახურის ვადის განმავლობაში ცვალებადი ძაბვების მქონე ციკლების გაზრდილი რაოდენობისაკენ და მცირე ცვალებადი დატვირთვების გავლენის ზრდისაკენ, რომელთა გვერდის ავლაც შეუძლებელია ექსპლუატაციის პროცესში;
- მესამე რიგში – ტექნიკაში გამოყენებულ მასალათა ნაკრების გაფართოებით, რომელთა დაღლილობითი დაშლის მიმართ წინააღმდეგობის მახასიათებელთა თვისებებიც არაა შესწავლილი სრულყოფილად.

ამიტომაც დაღლილობითი დაშლის მიმართ წინააღმდეგობის სარწმუნო მახასიათებელთა ცოდნას გააჩნია დიდი მნიშვნელობა.

მასალათა დაღლილობითი მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს, როგორც წესი, დაღლილობითი ექსპერიმენტი, რომლის მოცულობა და შრომატევადობა შეიძლება იყოს ძალიან დიდი.

აღნიშნული მიმართულებით აღსანიშნავია შრომები [41, 44], სადაც განხილუია კონსტრუქციული მასალების დაშლის კანონზომიერებები, საფრენი აპარატების და ზოგადად მანქანების კონსტრუქციის ელემენტების მზიდუნარიანობისა და რესურსის შეფასების მეთოდების შემუშავების საკითხები დაგროვილი დაზიანებების ალბათობის კრიტერიუმის მიხედვით.

ნაშრომში [43], [45] განხილულია დაღლილობითი დაშლის კანონზომიერებები და გამოცდების ჩატარების მეთოდიკა. ნაჩვენებია კონსტრუქციული, ტექნოლოგიური და საექსპლუატაციო ფაქტორების გავლენა გამძლეობაზე და აღწერილია მანქანათა დეტალების სიმტკიცეზე გაანგარიშების მეთოდები, დროში ცვალებადი დატვირთვების პირობებში საკითხის, როგორც დეტერმინისტული კუთხით დასმის შემთხვევაში, ასევე ალბათობის ასპექტითაც.

ექსპერიმენტის ჩატარების გარეშე ან შემცირებული მოცულობის შემთხვევაში მანქანათა დეტალების რესურსის პროგნოზირების

ამოცანის გადაჭრამ დიდი ხანია მიიზიდა მანქანათმშენებლობის მრავალი დარგის მეცნიერი თუ ინჟინერი.

ამ მიმართულებით უნდა აღინიშნოს მ.ნ. სტეპნოვის [44] ხელმძღვანელობით ჩატარებული უნიკალური კვლევები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ექსპერიმენტაციურად დადგენილიყო დაღლილობის წინაღობის მახასიათებელთა გაფანტვის ალბათობის კანონზომიერებები. აღნიშნული კი თავის მხრივ საფუძვლად დაედო კონსტრუქციის ელემენტების სიმტკიცეზე და მათი რესურსის გაანგარიშების ალბათობის თანამედროვე მეთოდებს. კვლევების ჩატარებისას გამოცდას გადიოდა არაერთი ათასი იდენტური ნიმუში, რამაც შესაძლებელი გახადა, ალბათობისა და საიმედოობის კუთხით, დასაბუთებულიყო დაღლილობის მახასიათებელთა გაფანტვის არამარტო ხარისხობრივი კანონზომიერებები, არამედ სანდოობის მაღალი ხარისხით დადგენილიყო კონსტრუქციის მასალებისა და ელემენტების დაღლილობითი მახასიათებლების განაწილების ფუნდამენტური კანონები.

## თავი 2. შედეგები და მათი განსჯა

### 2.1. ტექნიკური ნაკათობების საიმედოობა და მისი უზრუნველყოფის პრობლემები

#### 2.1.1. საიმედოობის არსი და დანიშნულება

ტექნიკის პროექტირების, წარმოებისა და ექსპლუატაციის პროცესები წარმოიქმნება სამუშაოთა მიმდევრობითი სტადიების სახით, რომელთაგან თვითოვეულის დროს მიმდინარეობს საიმედოობის კვლევები, რასაც თან სდევს მიღებული გადაწყვეტილებების ერთობლიობის არჩევა და დასაბუთება.

საიმედოობის კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს დონისძიებათა შემუშავება, რომელთა გატარებაც უზრუნველყოფს ტექნიკის უსაფრთხოების ამაღლებას, ტექნიკური ექსპლუატაციის პროცესების სრულყოფასა და მისი გამოყენების მაღალ ეფექტურობას.

საიმედოობის თეორია, თავისი არსითა და დანიშნულებით, ითვალისწინებს შემდეგი ამოცანების გადაჭრაზე მიმართული დონისძიებების შემუშავებასა და დახვეწას:

- 1) მტყუნებების წარმოქმნის კანონზომიერებათა განსაზღვრა და ნაკეთობების მუშაუნარიანობის აღდგენა;
- 2) ნაკეთობებში მიმდინარე პროცესებზე გარე და შიდა ზეგავლენების ზემოქმედების შესწავლა;
- 3) პროექტირების ეტაპზე სისტემების საიმედოობის გამოთვლითი მეთოდების შემუშავება;
- 4) კონსტრუირებისა და დამზადებისას საიმედოობის ამაღლების საშუალებებისა და აგრეთვე ხანგრძლივი ექსპლუატაციის პროცესში მისი საჭირო დონის შენარჩუნების გზების გამოძებნა;
- 5) საექსპლუატაციო საიმედოობის დამახასიათებელი სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, აღრიცხვისა და ანალიზის მეთოდიკების შემუშავება;

6) საიმედოობაზე გამოცდისა და მოცემული დონის დადასტურების მეთოდიკების შემუშავება.

მაღალი საიმედოობის უზრუნველმყოფელი გადაწყვეტილებების არჩევასა და დასაბუთებას ახორციელებენ კვლევათა სხვადასხვა სახის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შემუშავებულია საიმედოობის, ექსპლუატაციის, მასიური მომსახურების, ექსპერიმენტის დაგეგმვისა და სხვა თეორიათა საფუძველზე. აღნიშნულ სამუშაოებს ასრულებს საპროექტო-საკონსტრუქტორო, მწარმოებელი და საექსპლუატაციო საწარმოების საიმედოობის განყოფილებები და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები.

პროექტირების პროცესების სრულყოფისა და ტექნიკის ფუნქციური სისტემების საიმედოობის დონის მიყვანისათვის ვარგისიანობის ნორმებით დადგენილ მდგომარეობამდე, საჭიროა პროექტირების ეტაპზე:

– ფუნქციური სისტემების შემუშავებაზე ტექნიკურ დავალებაში მოცემული საიმედოობის მოთხოვნების და ეკონომიკური მაჩვენებლების შესრულების შესაძლებლობის თეორიული დასაბუთება;

– ტექნიკურ-ეკონომიკური გათვლების საფუძველზე განისაზღვროს რთული სისტემების აგების სქემატურ-კონსტრუქციული ვარიანტები მაკომპლექტებელი ნაწილების მოცემული მახასიათებლების გათვალისწინებით;

– შეფასდეს ტექნიკის ყველა ნაკეთობის კონსტრუქციულ გადაწყვეტილებების დაბალანსებულობა საექსპლუატაციო ფაქტორებთან ერთობლიობაში;

– ფუნქციური სისტემების საიმედოობის მოცემული დონის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულ იქნას ტექნიკის ნაკეთობათა საიმედოობის ამაღლების ღონისძიებები;

– განისაზღვროს კონსტრუქციული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნიკის ნაკეთობათა ტექნიკური ექსპლუატაციის ეკონომიკობას;

– შეირჩეს ტექნიკის ნაკეთობათა კონტროლისა და დიაგნოსტირების ოპტიმალური სისტემა;

— აპრიორი შეფასებულ იქნას დამუშავებათა ეფექტურობა ექსპლუატაციაში მათი რეალიზაციის შესაძლებლობიდან გამომდინარე და ა.შ.

თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების, მათემატიკური და ფიზიკური მოდელირების გაერთიანება იძლევა აპრიორი და აპოსტერიორი ინფორმაციის უფრო რაციონალურად გამოყენების საშუალებას მიმდინარე და სამომავლო გადაწყვეტილებების სწორი მიღებისათვის.

პროექტირებისას ატარებენ ტექნიკის სისტემებისა და მათი შემადგენელი ელემენტების პროექტის დონეზე საიმედოობის კვლევას. ამისათვის წარმოებს სისტემების ალტერნატიული ვარიანტების საიმედოობის შეფასების მოდელების შემუშავება, ელემენტების საიმედოობის ნორმირება და იმ ვარიანტის არჩევა, რომელიც აკმაყოფილებს საიმედოობის შეზღუდვებსა და მოთხოვნებს.

საპროექტო-კონსტრუქტორული შემუშავებისა და ჩატარებული კვლევების საფუძველზე ირჩევენ სისტემების საბოლოო ვარიანტებს, რომელთა რეალიზებაც წარმოებს ნაკეთობის შემდგომ სასიცოცხლო სტადიებზე, და ასევე წარმოებს ნაკეთობის საიმედოობის უზრუნველყოფის პროგრამის დასაბუთებაც.

საიმედოობის უზრუნველყოფის პროგრამა — ეს არის ურთიერთგანპირობებული საორგანიზაციო-ტექნიკური მოთხოვნებისა და ღონისძიებების განმსაზღვრელი დოკუმენტი. აღნიშნულის გატარება წარმოებს ნაკეთობის სასიცოცხლო ციკლის განსაზღვრულ ეტაპებზე და მიმართულია საიმედოობის მოცემული მოთხოვნების უზრუნველყოფაზე და (ან) მის ამაღლებაზე.

საესკიზო და ტექნიკური პროექტების შემუშავების ეტაპებზე საიმედოობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა რიცხვს განეკუთვნება: მასალებისა და ელემენტების არჩევა, ოპტიმიზაცია, რეზერვირება, კონსტრუქციის კონტროლი და რემონტ-გამოსადეგარობის უზრუნველყოფა, წარმოებასა და ექსპლუატაციაში კონტროლისა და დიაგნოსტირების რაციონალური მეთოდებისა და საშუალებების შერჩევა, ტექნიკის შექმნის შემდგომი ეტაპებისათვის საიმედოობის

მიმართ წაუკისტებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მოთხოვნების დაზუსტება.

ექსპერიმენტული დამუშავების მთავარ ამოცანას წარმოადგენს: საქართველოს კირობების მთელს დიაპაზონში ტექნიკის ნაკეთობებისა და სისტემების მუშაუნარიანობის კვლევა, მუშაუნარიანობის მარაგის შემოწმება, ტექნიკის დამუშავების პროცესში საიმედოობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა ეფექტურობის შემოწმება.

დამაბოლოებელ გამოცდებს ატარებენ ექსპლუატაციის რეალურ პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში და იმ დოკუმენტაციის მიხედვით, რომელიც შემდგომში გადაეცემა სერიულ წარმოებას და მაქსპლუატირებელ ორგანიზაციას. აღნიშნული გამოცდები ქმნიან უფრო ზუსტ წარმოდგენას ტექნიკური სისტემისა და მთლიანობაში ნაკეთობის საიმედოობის შესახებ.

ექსპერიმენტული დამუშავების პროგრამის დასაბუთებისას იყენებენ შემდეგ მეთოდებს:

- სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზის ან მატრიცულ მეთოდს, რაც საშუალებას იძლევა სისტემის ყოველი ელემენტის მიერ შესასრულებელი ყველა ფუნქციის დეტალური გაანალიზებისა სისტემის ფუნქციონირების ნებისმიერ პერიოდში;
- არამუშაუნარიან მდგომარეობათა და მათი გამოვლენის ექსპერიმენტული ხერხების "ხის" აგების მეთოდებს;
- გრაფთა თეორიისა და დაგეგმვის წრიულ მეთოდებს;
- მსგავსების თეორიის მეთოდებს;
- ექსპერტულ მეთოდებს.

ექსპერიმენტული დამუშავების პროგრამის ოპტიმიზაციას, მის დეტერმინირებულ და სტრუქტიკურ შემადგენლებთან ერთად, ახორციელებენ დინამიკური პროგრამირებისა და სტატისტიკური მოდელირების მეთოდების გამოყენებით.

საკონტროლო ქარხნულ გამოცდებს (წინასწარი – კვლევითი წარმოებისათვის; მიღება-ჩაბარებითი, პერიოდული, ტიპიური და გამოცდები საიმედოობაზე – სერიული წარმოებისათვის) ატარებენ ტექნიკის დამზადების პროცესში ნაკეთობის ხარისხისა და საწარმოო პროცესის სტაბილურობის კონტროლის მიზნით.

მთლიანობაში ექსპერიმენტული დამუშავების პროცესი შეიძლება დახასიათებულ იქნას ეფექტურობის კრიტერიუმებით, რომლებიც განსაზღვრავენ ექსპერიმენტულ დამუშავებაზე, მიღებული შედეგების სიზუსტე-სისწორეზე და გამოცდების ინფორმაციულობაზე დროისა და სახსრების დანახარჯების ეფექტურობას.

ექსპლუატაციის სტადიაზე ტექნიკის ეფექტურობისა და საიმედოობის კვლევისას წარმოებს შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

– სისტემის საექსპლუატაციო მახასიათებლებისა და ექსპლუატაციის პროგრამის ოპტიმიზაცია საიმედოობის გათვალისწინებით;

– ტექნიკის ნაკეთობათა ტექნიკური მომსახურების ოპტიმალური რეჟიმებისა და სტრატეგიების არჩევა;

– ექსპლუატაციის ობიექტთა საექსპლუატაციო თვისებების უზრუნველყოფი რეკომენდაციების შემუშავება რეგიონალური თავისებურებების გათვალისწინებით;

– ტექნიკის ტექნიკური მომსახურების ახალი მეთოდების დანერგვა და წარმოების ტექნოლოგიური პროცესებით მართვა;

– ტექნიკის ნაკეთობათა ტექნიკური მდგრადიერების დიაგნოსტირება და პროგნოზი;

– ტექნიკის საიმედოობის უზრუნველყოფა და საექსპლუატაციო ვარგისიანობის შენარჩუნება.

აღნიშნული ამოცანების გადაჭრისას ეკონომიკური ეფექტურობის მთავარ წყაროებს წარმოადგენებ:

– ტექნიკურ მომსახურებაზე ტექნიკის დგომის შემცირება ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის მოცულობისა და რეჟიმების ოპტიმიზაციისა და ორგანიზების სრულყოფის, ტექნიკის ნაკეთობათა ხარისხის გაზრდის ხარჯზე;

– ექსპლუატაციის ობიექტთა ტექნიკური მომსახურების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა;

– ტექნიკური მომსახურების ოპტიმალური სტარტეგიების გამოყენება;

– კონტროლის მოცულობისა და რეჟიმების ოპტიმიზაცია, დიაგნოსტირების პროცესების გაუმჯობესება.

ტექნიკის ნაკეთობათა საიმედოობის უზრუნველყოფელ სამუშაოთა საერთო კომპლექსის შემაღვენელ ნაწილს წარმოადგენს ექსპლუატაციის შედეგების ანალიზი და ნაკეთობათა საიმედოობის მაჩვენებელთა შეფასება.

ექსპლუატაციაში ტექნიკის ნაკეთობათა საიმედოობის ანალიზის მთავარ ამოცანას წარმოადგენს:


- არასწორი კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური გადაწყვეტილებებით გამოწვეული მტყუნებების გამოვლენა და აღმოფხვრა;
- მუშაუნარიანობაზე მოქმედი საექსპლუატაციო ფაქტორების განსაზღვრა;
- საიმედოობის მაჩვენებელთა განსაზღვრა და სარეგლამენტო სამუშაოთა მოცულობისა და რეჟიმების ოპტიმიზაცია;
- საიმედოობის უზრუნველყოფისა და ამაღლების ღონისძიებების შემუშავება და ა.შ.

ტექნიკის ექსპლუატაციისას წარმოიქმნება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესი (იხ. ნახ. 1):

- ნაკეთობის ტექნიკური მდგომარეობის ცვლილება ცვეთის შედეგად და ელემენტების სტრუქტურის ფიზიკურ-ქიმიური ცვლილება მათი ფუნქციონირებისას;
- ნაკეთობის ტექნიკური მდგომარეობის აღდგენის პროცესი ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის დროს.

საიმედოობის განმსაზღვრელი კონსტრუქციულ-ტექნიკური ფაქტორები გამოიხატება:

- ტექნიკის სისტემების სტრუქტურული აგებით, რაც ადგენს ურთიერთკავშირს ელემენტებსა და მათი მუშაობის რეჟიმებს შორის;
- ცალკეული ელემენტებისა და მთლიანობაში სისტემის კონსტრუქციული შემუშავებებით;
- ტექნიკის ფუნქციონირების რეალურ პირობებთან კონსტრუქციული და სქემატური გადაწყვეტილებების შესაბამისობის ხარისხით;



**ნახ. 1: ტექნიკის ექსპლუატაციისას წარმოქმნილი პროცესები**

– მტყუნებების წარმოქმნის შემთხვევაში ტექნიკური მომსახურებისა და მუშაუნარიანობის აღდგენისადმი ტექნიკის ნაკეთობათა გამოსადეგარობის ხარისხით.

საწარმოო-ტექნოლოგიური ფაქტორები განისაზღვრება:

- მოწინავე ტექნოლოგიური პროცესების რეალიზებით;
- თანამედროვე აღჭურვილობის გამოყენებით;
- ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნათა დაცვით;
- ტექნიკის ნაკეთობათა ხარისხის სტაბილურობის უზრუნველყოფით.

საექსპლუატაციო-ტექნიკური ფაქტორები განისაზღვრება მუშაობის პირობებით და სისტემაზე მოქმედი გარე დატვირთვებით (რაც ამცირებს ტექნიკის საიმედოობას) სარემონტო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებთან ერთობლიობაში, რომლებიც მოიცავს ექსპლუატაციისას სისტემის საიმედოობის შენარჩუნებისა და უზრუნველყოფის პროცესების აქტიური მართვის ფაქტორებს.

მომსახურების სისტემათა კვლევის პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს ექსპლუატაციის ადაპტური მოდელებისა და სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ექსპლუატაციის მოდელების შემუშავება, რომლებიც გამოიყენება ინფორმაციის დაგროვებიდან გამომდინარე სისტემათა მდგომარეობის მართვის ხარისხის სრულყოფისათვის. ადაპტური მოდელების შემუშავებისა და

გამოყენებისათვის საჭიროა განისაზღვროს მათი რეალიზაციის ტექნიკური შესაძლებლობები და გამოთვლითი ბაზა.

მიღებული გადაწყვეტილებების მოცემულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ხარისხი შეიძლება შემოწმდეს ექსპლუატაციის ობიექტის ფუნქციონირების პროცესის მოდელირების საფუძველზე, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით, მისი სისტემების ელემენტთა სხვადასხვა მდგომარეობების შეხამების პირობებში.

წარმოების მაღალი ტექნიკური დონე ითხოვს შესაბამის საორგანიზაციო დონესაც. ამ დროს იზრდება საწარმოო პროექტების მდგომარეობათა შესახებ საექსპლუატაციო ინფორმაციის როლი, რაც წარმოადგენს ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს, ზრდის საწარმოო პროცესების მართვადობას და უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირების სიზუსტეს.

მართვის ეფექტურობა მიიღწევა არამარტო ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის პროგრესული მეთოდების გამოყენების, სამუშაო დროის დანაკარგის შემცირების, საინჟინრო-ტექნიკური შემადგენლობის შეცდომების შემცირების ხარჯზე, არამედ ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის დაწესებულებათა საორგანიზაციო და ტექნიკური კულტურის დონის ამაღლების, წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის სრულყოფის მეშვეობითაც.

თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობების საიმედოობისა და უსაფრთხოების მაღალი დონის შენარჩუნება, ასევე ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის პროგრესული მეთოდების დანერგვა შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნას დიაგნოსტირების მეთოდებისა და საშუალებების ყოველმხრივი გამოყენების გარეშე. ექსპლუატაციის ობიექტთა ტექნიკური მდგომარეობის ობიექტური და თავისდროული შეფასება და მასზე დაყრდნობით ნაკვთობის ან მისი ცალკეული სისტემისა თუ კვანძის შემდგომი ექსპლუატაციის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება შესაძლებელია მხოლოდ დიაგნოსტირების სხვადასხვა მეთოდების კომპლექსური გამოყენების პირობებში. აღნიშნული მეთოდები უნდა უფრო მნიშვნელოვანი იქნას სისტემებისა და კვანძების მუშაობის ძირითადი პარამეტრების ცვლილების, მეტად დატვირთული კონსტრუქციული ელემენტების რესურსის გამომუშავების

ინტენსიურობისა და ურდვევი კონტროლის საშუალებათა გამოყენების შედეგების ანალიზს.

ამგვარად ტექნიკის საიმედოობის ფორმირება არის რთული პროცესი. იგი დამოკიდებულია ტექნიკურ და საორგანიზაციო ფაქტორებზე, რომლებიც მოიცავენ პროექტირების, წარმოებისა და ექსპლუატაციის ეტაპებს.

ტექნიკის მაღალი საიმედოობის უზრუნველყოფისათვის საჭიროა მისი ფორმირების პროცესით მართვა, მის ცალკეულ ეტაპებზე გავლენის მოხდენა და მმართველი გავლენების ეფექტურობის კონტროლი. ამ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გადაწყვეტილებების ობიექტური შეფასების საშუალებათა შემუშავებისა და ექსპლუატაციაში ტექნიკის საიმედოობით მართვის ეკონომიკურად ეფექტური მექანიზმის შექმნის საკითხები.

ნაკეთობის საიმედოობა ახასიათებს იმ თვისებათა ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების გამოსადეგარობას და დაკავშირებულნი არიან ექსპლუატაციისას მტყუნებების წარმოქმნის შესაძლებლობასთან. ნაკეთობის საიმედოობა, როგორც ხარისხის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, ხასიათდება სპეციფიური თვისებებით, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ აღნიშნული ნაკეთობისათვის და რომელთა გამოვლინება წარმოებს მისი მუშაობის მხოლოდ განსაზღვრულ პირობებსა და რეგლამენტირებული დროის განმავლობაში. საიმედოობა შეიძლება ჩაითვალოს დროის მიხედვით ნაკეთობის გადანაწილებულ ხარისხედ.

ნებისმიერი სრულყოფილი და მაღალეკონომიკური ტექნიკური მოწყობილობის შექმნა გარდაუვლადაა დაკავშირებული მდგრადობის, სიმტკიცის, თერმოდაპაბულობის ზღვრული მნიშვნელობების მახლობლად მისი მუშა რეჟიმების შენარჩუნებასა და ასევე სხვა მრავალი პარამეტრის ოპტიმალური შეხამების უზრუნველყოფასთან.

საიმედოობის მაღალი დონის მქონე ნაკეთობების შექმნა წარმოადგენს რთულ და კომპლექსურ ამოცანას, რომლის გადაჭრაც უნდა მიმდინარეობდეს მათი შემუშავებისა და დამზადების ყველა ეტაპზე. საიმედოობა უნდა ჩაიდოს პროექტირებისას, უზრუნველყოფილ იქნას წარმოებისას და შენარჩუნდეს ექსპლუატაციის პროცესში.

ნაკეთობის საიმედოობის დონე განისაზღვრება მოცემული დროის განმავლობაში უმტყუნო მუშაობის ალბათობით ან ნამუშევრით ერთ მტყუნებაზე.

## 2.12. საიმედოობის ძირითადი ცნებები და ზოგიერთი განმარტებები

საიმედოობა, როგორც კომპლექსური თვისება არ შეიძლება დახასიათდეს ერთი პარამეტრით ან რაოდენობრივი მაჩვენებლით. იგი როგორც თვისებაა, რომელიც ნაკეთობის დანიშნულებისა და გამოყენების პირობებზე დამოკიდებულებით შედგება თვისებათა ნაკრებისაგან: უმტყუნებლობა, რემონტგამოსადეგარობა, ხანგამძლეობა და შენახვადობა. ამ ნაკრების თვითონეულ თვისებათაგანს გააჩნია თავისი დანიშნულება და მნიშვნელოვნობა. ისინი თავს იჩენენ გარემოს განსაზღვრული ზემოქმედებისას და ექსპლუატაციის პროცესში და შესაბამისად აღნიშნულ თვისებებს უწოდებენ საექსპლუატაციოებს.

საიმედოობის თეორიაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ სისტემებსა და ელემენტებს. სისტემა გულისხმობს ერთად მოქმედი ელემენტების ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფენ გაპვეული ამოცანების შესრულებას. ელემენტს კი არ გააჩნია დამოუკიდებელი საექსპლუატაციო დანიშნულება კონკრეტული ამოცანის შესრულებისას, იგი სისტემაში მხოლოდ და მხოლოდ ასრულებს გარკვეულ ფუნქციას.

ხანგრძლივი ექსპლუატაციის პროცესში სისტემა თუ ელემენტი შეიძლება გადადიოდეს ერთი მდგომარეობიდან მეორეში. ტექნიკური მდგომარეობა ხასიათდება ნაკეთობის თვისებათა ერთობლიობით, რომლებმაც წარმოებისა და ექსპლუატაციის პროცესში განიცადეს გარკვეული ცვლილებები. ამ ცვლილებათა დასაშვები დონის მიხედვით განასხვავებენ ნაკეთობის მდგომარეობის შემდეგ სახეებს: გამართული - გაუმართავი, მუშაუნარიანი - არამუშაუნარიანი, ზღვრული.

გამართული მდგომარეობა – ნაკეთობის მდგომარეობაა, რომლის დროსაც ის შეესაბამება ნორმატიულ-ტექნიკური და კონსტრუქციული დოკუმენტაციის ყველა მოთხოვნას.

გაუმართავი მდგომარეობა – ნაკეთობის მდგომარეობაა, რომლის დროსაც ის არ შეესაბამება ნორმატიულ-ტექნიკური და კონსტრუქციული დოკუმენტაციის ერთ მოთხოვნას მაინც.

მუშაუნარიანი მდგომარეობა – ნაკეთობის მდგომარეობაა, რომლის დროსაც ყველა პარამეტრის მნიშვნელობა, რომლებიც ახასიათებენ მოცემული ფუნქციების შესრულების უნარს, შეესაბამება მხოლოდ ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

არამუშაუნარიანი მდგომარეობა – ნაკეთობის მდგომარეობაა, რომლის დროსაც ერთი პარამეტრის მნიშვნელობა მაინც, რომელიც ახასიათებს მოცემული ფუნქციის შესრულების უნარს, არ შეესაბამება მხოლოდ ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

ზღვრული მდგომარეობა – ნაკეთობის მდგომარეობაა, რომლის დროსაც მისი შემდგომი ექსპლუატაცია ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის თანახმად დაუშვებელია ან არაა მიზანშეწონილი მისი მუშაუნრიანი მდგომარეობის დარღვევის აღმოფხვრის შეუძლებლობით ამა თუ იმ მიზეზის გამო. ასევე აღნიშნული მდგომარეობა ხასიათდება მუშა პარამეტრების გასვლით დადგენილ საზღვრებს გარეთ.

საიმედოობის თეორიის ძირითად ცნებას წარმოადგენს *მტკუნება* – მოვლენა, რომელიც მდგომარეობს ნაკეთობის მიერ საჭირო ფუნქციის შესრულების უნარის დაკარგვაში ანუ ნაკეთობის მუშაუნარიანი მდგომარეობის დარღვევაში.

ნაკეთობის მუშაობის რომელიდაც მომენტში შეიძლება მოხდეს მისი მუშაუნარიანობის დარღვევა ანუ მტკუნება.

ისმის კითხვა – თუ რატომ ხდება, თუნდაც მცირე ალბათობით, ნაკეთობის მუშაობის დროის შემთხვევით მომენტებში მტკუნება იმის გათვალისწინებით, რომ ნაკეთობა და მისი შემადგენელი ელემენტები დამუშავებული იყო მაღალ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ დონეზე მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდებისა და ანალოგების კონსტრუირების გამოცდილების გამოყენებით.

ობიექტური მიზეზები იმისა, რომ მტყუნება ან გაუმართაობა არის შემთხვევითი მოვლენა და ჩვენ არ შეგვიძლია წინასწარ განვსაზღვროთ დროის რომელ მომენტში მოხდება ის, იყოფა ორ ჯგუფად.

პირველ ჯგუფს განეკუთვნება მიზეზები, რომლებიც წარმოადგენენ მოცემული ტიპის ნაკეთობის თვითოვაული ეგზემპლარის დამზადებისას განსხვავების შედეგს:

– საწყისი მასალების (ნედლეულის) ფიზიკური და სიმტკიცის მახასიათებლების გაფანტვა;

– მოძრავი და უძრავი შეერთებების გეომეტრიული პარამეტრების არაზუსტი შესაბამისობა ნახაზებით გათვალისწინებულ მნიშვნელობებთან;

– ტექნოლოგიური პროცესების არასტაბილურობა.

მეორე ჯგუფს განეკუთვნება მიზეზები, რომლებიც წარმოადგენენ მუშაობის რეჟიმებისა და ექსპლუატაციის პირობების არააბსოლუტური იდენტურობის შედეგს:

– გარე ზემოქმედებისა და დატვირთვების შეხამების შემთხვევითი ხასიათი;

– სხვადასხვა კლიმატურ ზონებში ექსპლუატაციის პირობების მოსალოდნელისგან გადახრა;

– მუშაობისას გარე პირობების განსხვავება სასტენდო გამოცდების ჩატარებისას აღწარმოებულისგან.

მტყუნებებისა და გაუმართაობების სწორი კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა საიმედოობის თეორიაში არსებული კანონებისა და გამოთვლის მოდელების გამოყენებით უმტყუნებლობის გაანგარიშების პროცესში, ნაკეთობის გამოცდებისა და ექსპლუატაციის შედეგების მიხედვით, შესაბამისი მაჩვენებლების შეფასებისას გამოვრიცხოთ შეცდომები.

მტყუნებები, როგორც შემთხვევითი მოვლენები, გამოვლენის პარამეტრების ცვლილებათა ხასიათის მიხედვით შეიძლება იყოს – დამოუკიდებული და დამოკიდებული, ერთობლივი და არაერთობლივი, თანდათანობითი და უეცარი, ხოლო წარმოქმნის მიზეზებიდან გამომდინარე – კონსტრუქციული, საწარმოო და საექსპლუატაციო.

ნიშანთვისებათა კლასიფიკაცია	მტყუნებათა სახეები	ცნების განსაზღვრა	მაგალითები
ნაკეთობის პარამეტრის ცვლილების ხასიათი	უეცარი	მტყუნება ხასიათდება ნაკეთობის მოცემული პარამეტრის მნიშვნელობათა ნახტომისებური ცვლილებით.	კომპრესორის პირველი საფეხურის ნიჩბთა ჩანაჭყლებულები. საფრენი აპარატის დაფრენისას ავასაბურავის დაშლა.
	თანდათანობითი	მტყუნება ხასიათდება ნაკეთობის ერთი ან რამოდენიმე მოცემული პარამეტრის თანდათანობითი ცვლილებით.	აკსიალურ-დგუშიანი ჰიდროტუბმბოს დგუშიანი წყვილების სახსრულ შეერთებებში ფოლხვის გაზრდა.
მტყუნების წარმოქმნის მიზეზი	კონსტრუქციული	მტყუნება წარმოიქმნება ნაკეთობის კონსტრუქტორებისა დადგენილი წესებისა და (ან) არასრულყოფილების ან დარღვევის გამო.	ცტაბილიზატორის შემონაკერის ბზარები. ზოლურებისა და ქანქარების ფოლხვისა და ხანუნის ზრდა, გაჭედვა. ძრავას მართვის გვარლური გაყანილობის დაშლა.
	საწარმოო	მტყუნება წარმოიქმნება ნაკეთობის და სარემონტო საწარმოში რემონტის დადგენილი პროცესის არასრულყოფილების ან დარღვევის გამო.	საწვევ-ზეოოვანი რადიასტორების შიდა არაპერმეტულობა. აკსიალურ-დგუშიანი ჰიდროტუბმბოს დგუშიანი წყვილების სახსართა შემჭიდროებების დაშლა. საწვავის ავზ-კესინების არაპერმეტულობა.
	საექსპლუატაციო	მტყუნება წარმოიქმნება ნაკეთობის ექსპლუატაციის დადგენილი წესების და (ან) პირობების დარღვევის გამო.	საბურავის დაშლა. აირტურბინული ძრავას საწვავის მიწოდების რეგულირების სისტემის ელემენტების მტყუნება. საწვავის ფილტრის მტყუნება.
მტყუნების გამოვლენის ხასიათი	აშკარა	გამოვლინდება ტექნიკური ჟერსონალის მიერ ნაკეთობის მომზადებისას ან მისი ფუნქციონირების დროს.	აირტურბინული ძრავას საკისართა დაშლა. აირტურბინული ძრავას კომპრესორის პომპაჟი. საწვავის ფილტრის ბადის გაბიდვა. კომპრესორის პირველი საფეხურის ნიჩბთა ჩანაჭყლებულები.
	ფარული	ფუნქციონირების პროცესში თავისთვავად არ ვლინდება და ამისათვის საჭიროებს დააგნოსტირების შეთოვებისა და ხელსაწყოების გამოყენებას.	ჰიდროსისტემაში მამტუბბავი ტუმბოს შემდეგ შიდა არაპერმეტულობა. ერთ-ერთი ჰიდროაგუმულატორის მტყუნება.
მტყუნებათა დამოკიდებულება	დამოკიდებული	ნაკეთობის მტყუნება განპირობებულია სხვა ნაკეთობის მტყუნებით.	მაღალი წნევის საწვავის ტუმბოს დამჭრენი კვანძის დაშლა მიმტუბბავი ტუმბოს მტყუნების გამო. ჰიდროტუბმბოს სამაჯე შემჭიდროების დაშლა ამბრავის საკისარის დაშლის გამო.
	დამოუკიდებული	ნაკეთობის მტყუნება არ არის განპირობებულია სხვა ნაკეთობის მტყუნებით.	ფუზლაჟის შემონაკერის გარე ზედაპირის კოროზია. ქანქური და მოქლონური შეერთებების შესუსტება.

ცხრილი 1: ნაკეთობების მტყუნებათა კლასიფიკაცია გამოვლენის პარამეტრების ცვლილებათა ხასიათისა და წარმოქმნის მიზეზების მიხედვით

მტყუნებების კლასიფიკაცია გამოვლენის პარამეტრების ცვლილებათა ხასიათისა და წარმოქმნის მიზეზების მიხედვით მოყვანილია ცხრილში 1.

დამოკიდებული ეწოდებათ მტყუნებებს, რომელთა წარმოქმნაც განპირობებულია სხვა ნაკეთობების მტყუნებებით, ხოლო დამოუკიდებლები კი – რომლებიც წარმოიქმნებიან სხვა ნაკეთობების მდგომარეობის მიუხედავად.


სისტემის მუშაობისას ცალკეული ელემენტების ერთდროულად წარმოიქმნილ მტყუნებებს ეწოდება ერთობლივი, ხოლო არაერთობლივი კი – ისეთებს, რომელთაგანაც არც ერთი არ შეიძლება მოხდეს ერთდროულად.

თანდათანობითი მტყუნებები ხასიათდება ნაკეთობის ერთი ან რამოდენიმე პარამეტრის თანდათანობითი ცვლილებით (მასალათა ცვეთა, კოროზია, დაღლილობა, დენადობა). ექსპლუატაციის პროცესში შესაძლებელია ამგვარი პარამეტრების ცვლილების დაფიქსირება და შესაბამისად მუშაუნარიანი მდგომარეობის დარღვევის სავარაუდო მომენტის პროგნოზირება შემდგომი პროფილაქტიკური სარემონტო ან შეცვლითი სამუშაოების გატარებით.

უკარი მტყუნებები ხასიათდება ნაკეთობის ერთი ან რამოდენიმე პარამეტრის ნახტომისებური ცვლილებით. ისინი წარმოიქმნება არასასურველი ფაქტორებისა და შემთხვევითი გარე ზეგავლენის, დატვირთვების დამთხვევისა და გაერთიანების შედეგად, რომლებიც აღემატება გათვლით მნიშვნელობებს. მათი წარმოქმნის ალბათობაზე არ მოქმედებს ნაკეთობის ნამუშევარი და ექსპლუატაციის კალენდარული ხანგრძლივობა.

ნებისმიერი ტექნიკური ნაკეთობის მტყუნებებისა და გაუმართობების წარმოქმნის მიზეზების ანალიზისათვის, რაც მიმართულია მათი უსაფრთხო მტყუნებისა და უმტყუნებლობის გაზრდის ეფექტური ღონისძიებების შემუშავებაზე, დიდი მნიშვნელობა გააჩნია მათ კლასიფიკაციას ფაქტორების მიხედვით – ფიქსაციის მომენტის, შედეგების, მიზეზების და აღმოფხვრის მეთოდების მიხედვით.

ერთ-ერთი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემა, რომლის გადაჭრაც წარმოებს ტექნიკური ნაკეთობების მაღალი საიმუდოობის



ნახ. 2: ტექნიკური ნაკეთობების მტყუნებათა ფორმირების ფიზიკური მოდელი

უზრუნველყოფის მიზნით, მდგომარეობს მტყუნებათა წარმოქმნის ფიზიკური არსის დადგენაში.

ნაკეთობის მტყუნება შემთხვევითი მოვლენაა, მაგრამ ნებისმიერი მტყუნების წარმოქმნის მიზეზი დაკავშირებულია განსაზღვრულ ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებთან, რაც განპირობებულია შემდეგი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების ზემოქმედებით (ნახ. 2):

- ნაკეთობათა საწყისი მასალების (ნედლეულის) სტრუქტურული არასრულყოფილებით, რაც განპირობებულია მინარევების, დისლოკაციების, კონცენტრაციის გრადიენტების და ა.შ. არსებობით ( $\gamma_1, \dots, \gamma_i, \dots, \gamma_n$ );

- წარმოების პროცესის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დეფექტებით ( $d_1, \dots, d_j, \dots, d_m$ );

- გარე დატვირთვებით  $G$ ;

- გამოყენების რეჟიმით  $Q$ .

ჩამოთვლილი ფაქტორების კომპლექსური გავლენა განსაზღვრავს ნაკეთობაში ფიზიკურ-ქიმიური პროცესების ერთობლიობის მიმდინარეობას –  $X = F(V_1, \dots, V_r, \dots, V_k, t)$ , სადაც

$V_r = f(\gamma_i, d_j, Q, G, t)$  არის  $r$  ფიზიკურ-ქიმიური პროცესის, რომელიც განსაზღვრავს ნაკეთობათა შესაბამისი მტყუნების სახეს, მიმდინარეობის სიჩქარე, ხოლო  $t$  დროა.

ცალკეული ნაკეთობებისათვის მტყუნების კონკრეტული მოდელი განისაზღვრება მტყუნებათა წარმოქმნისა და განვითარების პროცესზე სხვადასხვა სახის ფიზიკური ფაქტორების გავლენის ხასიათით. ასეთ ფაქტორებს განეკუთვნება მასალათა ცვეთა და დაბერება, დაღლილობითი დაზიანებების დაგროვება, საწარმოო-ტექნოლოგიური დეფექტებისა და დაზიანებათა ადგილობრივი კონცენტრატორების არსებობა, მასალათა არაერთგვარობა, ბზარები, ბეჭვბზარები, ფაქტიური პირობებისა და დატვირთვების შეუსაბამობა გაანგარიშებით მიღებულ დასაშვებ მნიშვნელობებთან.

როგორი ტექნიკური ნაკეთობების მტყუნებებს გააჩნია წარმოქმნის სხვადასხვა მიზეზები და გამოვლენის სხვადასხვა სახეები. მათი მტყუნებების გამოვლენის უფრო დამახასიათებელ სახეს წარმოადგენს ფუნქციური სისტემებისა და მათი აგრეგატების საწყისი პარამეტრების გადახრა ნორმატიული მნიშვნელობებიდან ან მათი გასვლა დადგენილ საზღვრებს გარეთ, რასაც მოჰყვება ბზარების, დაზიანებებისა და დეფორმაციების წარმოქმნა.

როგორი ტექნიკური ნაკეთობების მტყუნებათა განვითარების ხასიათისა და გამოვლენის სახეზე დამოკიდებულებით განასხვავებენ:

- ფუნქციურ საიმედოობას – ნაკეთობას შეუძლია მოცემული ფუნქციების შესრულება;
- პარამეტრულ საიმედოობას – შესრულებული ფუნქციები არ აქმაყოიდებენ სიზუსტის, ეპონომიურობისა და ეფექტურობის მოთხოვნებს;
- სიმტკიცური საიმედოობა – ნაკეთობათა დამტკრევა და დაზიანება.

ნაკეთობათა მტყუნებების წარმოქმნის მექანიზმი განისაზღვრება მათი თვისებებისა და პარამეტრების ცვლილებით დროში, რაც განპირობებულია მიკრონაწილაკების მდგომარეობის ცვლილებით მიზეზ-შედეგობრივი კავშირების კინეტიკის გამო და შესაბამისად მტყუნებების წარმოქმნის მიზეზიც ხდება. მასალათა თვისებების

ცვლილებას თან სდევს ერთი სახის ენერგიის გარდაქმნა მეორე სახის ენერგიაში. რაც უფრო დიდია შიდა კავშირების ძალები, მით უფრო მეტი ენერგიის დახარჯვაა საჭირო მათ დასარღვევად. ნაკეთობების მასალებში სხვადასხვა სახის დეფექტების არსებობის გამო წარმოქმნილი არაერთგვაროვანი მდგომარეობა ააქტიურებს მასის გადამტან პროცესებს, რასაც მოჰყვება მასალის შიგნით ფაზათა განაწილების საზღვრებზე წყვეტა. მტყუნებებს თან სდევს: ლოკალური დაძაბულობების კონცენტრაცია, მიკროზარების დაგროვება, კოროზიული და ეროზიული ცვეთა, ორთქლის, მტვერისა და ფხვნილების ადგეზია, დაბერება.

მტყუნების წარმოქმნა წარმოადგენს მუდმივ კინეტიკურ პროცესს, რომლის მიმდინარეობის მექანიზმი და სიჩქარე განისაზღვრება მასალის სტრუქტურითა და თვისებებით, დაძაბულობებით, ტემპერატურით და სხვა. აქედან გამომდინარე ტექნიკური ნაკეთობების მტყუნებათა კლასიფიკაცია, მათი ფიზიკური არსის გამო, უნდა წარმოებდეს პირველ რიგში მტყუნებათა ფიზიკურ-ქიმიური პროცესებისა და მათი მიმდინარეობის მექანიზმების მიხედვით (იხ. ცხრილი 2).

პროცესები	მტყუნებათა მექანიზმები	მაგალითები
თერმული	დეფორმაციები, სტრუქტურული და ფაზური გარდაქმნები.	ძრავას ტურბინის ელემენტები.
დიფუზიური	კოროზია, ბზარების წარმოქმნა, დისლოგაციები.	კორპუსის და მართვის სისტემის ელემენტები.
მექანიკური	მექანიკური ცვეთა, მიწებება, დეფორმაციები, დაშლა.	სამუხრავე მოწყობილობები, კონსტრუქციის და შასის მაღური ელემენტები.
სორბციული	ეროზია, დაბერება, ზედაპირის გაჭუჭყიანება.	ტურბინის ნიჩბები, ძრავას დგუშები, ძრავას გამჭოლი ან გამოსაბოლქვი ნაწილი.

**ცხრილი 2: ტექნიკური ნაკეთობების მტყუნებათა ფიზიკურ-ქიმიური პროცესების და ამ მტყუნებების დამახასიათებელი მექანიზმების კლასიფიკაცია**

ნებისმიერი ტექნიკური მოწყობილობის ელემენტთა  
მუშაუნარიანობის უზრუნველყოფასა და მტყუნებების წარმოქმნაში  
გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია პროცესებს, რომლებიც  
მიმდინარეობენ კონსტრუქციის ზედაპირზე, რომელიც თავის მხრივ  
განიცდის გარემოს, ტენიანობის და დაბინძურების უშუალო გავლენას.

დეტალების მოძრავ და უძრავ შეერთებებში წარმოქმნება  
მექანიკური და ელექტროეროზიული ცვეთის, კონტაქტური კოროზიის  
სხვადასხვა სახეები. ფიზიკურ ქიმიური პროცესების უმრავლესობა  
წარმოადგენს თერმოაქტიურს, ანუ პროცესების მიმდინარეობის  
ინტენსიურობა იზრდება ნაკეთობის შეთბობისას.

სითბურ პროცესებს უკავია გადამწყვეტი როლი თერმულად  
დატვირთულ მდგომარეობაში მყოფი ნაკეთობების მასალათა  
თვისებებისა და მახასიათებლების ცვლილებაში, დაშლისა და  
დაბერების პროცესებში.

ტექნიკური ნაკეთობების მტყუნებებისა და დაზიანებების  
წარმოქმნის მექანიზმიდან გამომდინარე მათი დაყოფა შეიძლება შემდეგ  
ჯგუფებზე:

- 1) დაღლილობითი ხასიათის დაშლა – საექსპლუატაციო  
დატვირთვებით გამოწვეული ბზარების და დეფორმაციები;
- 2) მოძრავი შეერთებებისა და მოქლონური ნაკერების ფოლხვა –  
კონსტრუქციის ელემენტების ნაცვეთი და ცვეთის სხვა სახეები;
- 3) დაშლა და დეფორმაცია, რაც გამოწვეულია გათვლით  
მნიშვნელობებთან შედარებით გადაჭარბებული დატვირთვის  
ერთჯერადი მოქმედებით;
- 4) საპონი მასალებისა და სპეციალური სითხეების მიერ შემზეთავი  
თვისებების დაკარგვა;
- 5) ლაქ-საღებავი და დამცავი საფარების დაშლა;
- 6) კონსტრუქციის ელემენტების კოროზია;
- 7) მექანიკური დაზიანებები.

პირველი ორი ჯგუფის მტყუნებებისა და დაზიანებების  
წარმოქმნა ძირითადში დაკავშირებულია ნაკეთობის ექსპლუატაციის  
რეჟიმებთან.

მესამე ჯგუფის მტყუნებებისა და დაზიანებების წარმოქმნა დაკავშირებულია ნაკეთობის ექსპლუატაციის ხარისხთან.

მტყუნებებისა და დაზიანებების შემდეგი სამი ჯგუფი უმთავრესად დამოკიდებულია ექსპლუატაციის კლიმატურ პირობებზე და გატარებული ტექნიკური მომსახურების რეჟიმებსა და ხარისხზე.

მტყუნებებისა და დაზიანებების ბოლო ჯგუფის წარმოქმნა დაკავშირებულია ტექნიკური ნაკეთობის მომსახურებაზე მიმართული სამუშაოების ორგანიზაციის ნაკლოვანებებთან.

ყველა ზემოთ აღნიშნული ჯგუფის მტყუნებებისა და დაზიანებების წარმოქმნას ხელს უწყობს კონსტრუქციულ-საწარმოო ხასიათის მქონე შემთხვევითი ფაქტორები: კონსტრუქციის ელემენტების ექსპლუატაციის პირობების არასაკმარისად შესწავლა, ნაკეთობის შემუშავებისას მიღებული მცდარი კონსტრუქციული გადაწყვეტილებები, უხარისხო მასალების გამოყენება, დამზადებისას დამუშავების რეჟიმების დარღვევა და ა.შ.

ტექნიკური ნაკეთობების მტყუნებათა მიზეზების კვლევას გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა საიმედოობის უზრუნველყოფის ამოცანის გადაჭრისას. ამ დროს წარმოებს ნაკეთობათა ტექნიკური მდგომარეობის, მათ მიერ მუშაუნარიანობის დაკარგვის მიზეზებისა და გარემოებების, მტყუნებათა მექანიზმის გამოკვლევა და კეთდება შესაბამისი დასკვნები მტყუნებათა წარმომქმნელი ფაქტორების შესახებ.

ტექნიკური ნაკეთობების საიმედოობის ანალიზი მოიცავს შემდეგ უმთავრეს ეტაპებს:

- 1) მტყუნებათა მიზეზების ინჟინრული (ხარისხობრივი) ანალიზი;
- 2) დაკვირვების შედეგების ინჟინრულ-ტექნიკური დამუშავება;
- 3) საიმედოობის მათემატიკური (რაოდენობრივი) ანალიზი;
- 4) საიმედოობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის შედეგების განზოგადებასთან და სათანადო მმართველი ზეგავლენების შემუშავებასთან დაკავშირებული პროცედურები.

ტექნიკური ნაკეთობების მტყუნებათა მიზეზების ხარისხობრივი ანალიზის მიზანს წარმოადგენს იმ ფიზიკური მოვლენებისა და პროცესების განსაზღვრა, რომლებიც განაპირობებს მტყუნებათა

ფორმირებას და ნაკეთობაში ფუნქციური სისტემების მუშაუნარიანობაზე ამ მტყუნებათა გავლენის სიდიდეს.

დაკვირვების შედეგების ინჟინრულ-ტექნიკური დამუშავება მიზნად ისახავს სტატისტიკური მასალის გაერთიანებას, მისი ერთგვარობის უზრუნველყოფასა და დაკვირვების დაჯგუფებული შედეგების მომზადებას საიმედოობის მათემატიკური ანალიზისათვის.

სხვადასხვაგვარი საექსპლუატაციო ინფორმაციის ინჟინრულ-ტექნიკური დამუშავება ხორციელდება ორ ეტაპად.

პირველ ეტაპზე წარმოებს:


- ჩანაწერების დაწვრილებითი ანალიზი;
- მტყუნებების მიზეზების შესახებ მონაცემების დაზუსტება და შევსება;
- ინფორმაციის დაჯგუფება ერთნაირი ტიპის ნაკეთობების მიხედვით.

მეორე ეტაპზე მიმდინარეობს ნაკეთობათა საიმედოობის შესახებ ინფორმაციის კლასიფიკაცია და გაერთიანება არჩეული ნიშნების მიხედვით და მტყუნებათა შედეგების, მუშაობის რეჟიმების, გარემოს გავლენის, მტყუნებათა მექანიზმის და სხვათა გათვალისწინებით.

ტექნიკური ნაკეთობების მტყუნებათა გამოვლენის მიზეზებისა და ხასიათის ინჟინრული ანალიზის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია ყოველი მტყუნების განმსაზღვრელი არგუმენტების, ფაქტორებისა და მოვლენების სწორ დაკავშირებას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია სათანადო სტრუქტურული სქემები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება უმნიშვნელოვანესი კავშირებისა და მათი ხარისხობრივი თვისებების გამოყოფა, ასევე წარმოებს ნაკეთობათა სრულყოფის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

ნიშან-თვისებათა ერთობლიობის მიხედვით ტექნიკური ნაკეთობების ყველა სახის მტყუნება შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებზე:

- 1) მტყუნებათა ხასიათის განმსაზღვრელი ნიშან-თვისებების ერთობლიობა (იხ. ნახ. 3);



- 2) მტყუნებათა მექანიზმის განმსაზღვრელი ნიშან-თვისებების ერთობლიობა (იხ. ნახ. 4);
- 3) ნაკეთობათა საექსპლუატაციო თვისებების განმსაზღვრელი ნიშან-თვისებების ერთობლიობა (იხ. ნახ. 5).

ნიშან-თვისებათა ერთობლიობის პირველი ჯგუფი ახასიათებს მტყუნებას მისი ფუნქციური მნიშვნელოვნობიდან, გამოვლინების ხასიათიდან, წარმოქმნის მიზეზიდან გამომდინარე და წარმოადგენს ტექნიკური ნაკეთობების საიმედოობის ამაღლებაზე მიმართულ კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დონისძიებების შემუშავების საფუძველს.

მეორე ჯგუფი წარმოადგენს ინფორმაციის მნიშვნელოვან დამატებით წყაროს, რომელიც ახასიათებს მტყუნებათა ფორმირების პროცესს და წარმოადგენს დაზიანებების დაგროვების საზომს. ასევე საშუალებას იძლევა დადგენილ იქნას დაკვირვებადი მოვლენების მიზეზობრივი კავშირი და წარმოადგენს ტექნიკური ნაკეთობების საიმედოობის უზრუნველყოფისათვის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შემუშავებისა და საექსპლუატაციო დონისძიებების გატარების საფუძველს.

მესამე ჯგუფი ასახავს ნაკეთობათა საექსპლუატაციო თვისებებს და ახასიათებს ტექნიკური მომსახურების სამუშაოთა ეფექტურობას, ასევე წარმოადგენს მტყუნებათა შესაძლო შედეგების თავიდან აცილებაზე მიმართული საექსპლუატაციო დონისძიებების შემუშავების საფუძველს.

### **2.1.3. საიმედოობის რაოდენობრივი მახასიათებლები და მაჩვენებლები**

ნებისმიერი ნაკეთობის საიმედოობის შეფასებისას იყენებენ შესაბამის რაოდენობრივ მახასიათებლებს.

ნაკეთობის უმტყუნებლობა რაოდენობრივად შეიძლება შეფასებულ იქნას ისეთი პარამეტრით, როგორიცაა ნამუშევარი

მტყუნებამდე (რომელმაც გამოიწვია დაკისრებული ფუნქციის შეუსრულებლობა) –  $T_\delta$ .

$$T_\delta = \frac{t}{n_\delta} \quad (2.1.1)$$

სადაც:  $t$  – მოცემული ტიპის ნაკეთობის ჯამური ნამუშევარი განსახილველი პერიოდის განმავლობაში;  $n_\delta$  – აღნიშნული ტიპის ნაკეთობების მტყუნებათა, რომლებმაც გამოიწვიეს დაკისრებული ფუნქციის შეუსრულებლობა, ჯამური რაოდენობა იმავე განსახილველი პერიოდის განმავლობაში.

ნაკეთობის და მისი სისტემების უმტყუნებლობის გაანგარიშებისას ფართოდ იყენებენ ისეთ მაჩვენებელს, როგორიცაა მტყუნებათა ნაკადის პარამეტრი –  $\omega_\delta$ , რომელიც არის  $T_\delta$ -ის შებრუნებული სიდიდე და არსობრივად წარმოადგენს მტყუნებების რაოდენობას ერთ საათ ნამუშევარზე.

$$\omega_\delta = \frac{1}{T_\delta} \quad (2.1.2)$$

უმტყუნებლობის მაჩვენებელთა გამოსახატავად ასევე გამოიყენება უმტყუნო მუშაობის ალბათობა კონკრეტული დროის განმავლობაში –  $P(\tau)$ , და მტყუნების ალბათობა –  $Q(\tau)$ .

ნებისმიერი ტექნიკის პროექტიების, დამზადების, გამოცდისა და ექსპლუატაციის პროცესში სხვადასხვა საინჟინრო მნიშვნელობის მქონე ამოცანების გადასაჭრელად საჭიროა საიმედოობის რაოდენობრივი მახასიათებლების გამოყენება. ნაკეთობის მტყუნებაზე ნამუშევრის დრო დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, რომელთა მეშვეობითაც წარმოებს მტყუნებათა რაოდენობისა და მათი წარმოქმნის დროის განხილვა შემთხვევითი სიდიდეების სახით. სწორედ მოვლენათა წარმოქმნის შემთხვევითობა წარმოადგენს ექსპლუატაციის ობიექტთა საიმედოობის შესწავლისას არსებული პრობლემების დამახასიათებელ თავისებურებას.

ამიტომაც ასეთი მოვლენების წარმოქმნის კანონზომიერებათა შესწავლისათვის საიმედოობის თეორიაში გამოიყენება ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ელემენტები.

ნაკეთობის მტყუნებას განმარტავენ შემთხვევით მოვლენად, ხოლო მტყუნების წარმოქმნამდე მუშაობის პერიოდ  $\tau$ -ს – შემთხვევით სიდიდე. ამგვარად, მტყუნება არის მოვლენა, რომლის დროსაც შემთხვევითი სიდიდე  $\tau$  ნაკლებია ნაკეთობის მუშაობის მოცემულ პერიოდ  $t$ -ზე. თუ კი სრულდება მეტობა  $\tau > t$ , მაშინ ნაკეთობის მტყუნება  $t$  დროის განმავლობაში არ წარმოიქმნება.

ნაკეთობის საიმედოობის მთავარ რაოდენობრივ მახასიათებლად, რომელიც ახასიათებს დროში მტყუნებათა წარმოქმნის კანონზომიერებებს, მიღებულია უმტყუნო მუშაობის ალბათობა  $P(t)$ :

$$P(t) = P(\tau > t) \quad (2.1.3)$$

მტყუნების ალბათობას განსაზღვრავენ, როგორც ალბათობას იმისა, რომ უმტყუნო მუშაობის დრო  $\tau$  ნაკლებია მუშაობის მოცემულ დრო  $t$ -ზე:

$$Q(t) = Q(\tau < t) \quad (2.1.4)$$

ვინაიდან, ნამუშევარი  $t$ -ს ნებისმიერი მნიშვნელობისას ნაკეთობა შეიძლება იყოს მუშაუნარიანი ან არამუშაუნარიანი, ამიტომ ჭეშმარიტია შემდეგი ტოლობა:

$$P(t) + Q(t) = 1 \quad (2.1.5)$$

აღნიშნული მახასიათებლების სტატისტიკური განსაზღვრებებია:

$$P^*(t) = \frac{N(t)}{N_0} = 1 - \frac{n(t)}{N_0}; \quad Q^*(t) = \frac{n(t)}{N_0} \quad (2.1.6)$$


სადაც:  $N(t)$  – გამართული ნაკეთობების რაოდენობა  $t$  დროის მომენტი;  $N_0$  – გამართული ნაკეთობების რაოდენობა დროის საწყის მომენტი;  $n(t)$  – ნაკეთობების რაოდენობა, რომლებმაც განიცადეს მტყუნება  $t$  დროის განმავლობაში.

ექსპლუატაციაში მყოფი ნაკეთობის საიმედოობის ცვლილების სიჩქარის დახასიათებისათვის იყენებენ უმტყუნო მუშაობის დროის განაწილების სიმპგრივეს  $f(t)$ :

$$f(t) = \frac{dQ(t)}{dt} = -\frac{dP(t)}{dt} \quad (2.1.7)$$

აღნიშნული მახასიათებლის სტატისტიკური განსაზღვრებაა:

$$f^*(t) = \frac{\Delta n(t, \Delta t)}{N_0 \cdot \Delta t} \quad (2.1.8)$$



ნახ. 6:  $P(t)$ ,  $Q(t)$  და  $f(t)$  ფუნქციათა მიახლოებითი სახე

სადაც:  $\Delta n(t, \Delta t)$  – იმ ნაკეთობათა რაოდენიბა, რომლებმაც განიცადეს მტყუნება დროის ინტერვალზე  $(t, t + \Delta t)$ ;  $N_0$  – გამართული ნაკეთობების რაოდენობა დროის საწყის მომენტზე;  $\Delta t$  – დროის ინტერვალის ხანგრძლივობა.

თუ კი შემთხვევით სიდიდე  $\tau$ -ს გააჩნია განაწილების სიმკვრივე  $f(t)$ , მაშინ:

$$P(t) = 1 - Q(t) = \int_t^{\infty} f(t) dt = 1 - \int_0^t f(t) dt \quad (2.1.9)$$

$P(t)$ ,  $Q(t)$  და  $f(t)$  ფუნქციათა მიახლოებითი სახე და მათი ურთიერთკავშირი ნაჩვენებია ნახ. 6-ზე. მრავდი  $f(t)$ -ს თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ფართობი მის ქვეშ ყოველთვის ტოლია ერთის.

საიმედოობის ურთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს მტყუნებების ინტენსიურობა  $\lambda$ . პრაქტიკაზე ნაკეთობის საიმედოობის ცვლილების კანონზომიერებათა გამოკვლევა იწყება სწორედ ამ მახასიათებლის აგებით.

$$\lambda(t) = \frac{f(t)}{P(t)} \quad (2.1.10)$$

აღნიშნული მახასიათებლის სტატისტიკური განსაზღვრებაა:


$$\lambda^*(t) = \frac{\Delta n(t, \Delta t)}{N(t) \cdot \Delta t} \quad (2.1.11)$$

სადაც:  $\Delta n(t, \Delta t)$  – იმ ნაკეთობათა რაოდენიბა, რომლებმაც განიცადეს მტყუნება დროის ინტერვალზე  $(t, t + \Delta t)$ ;  $N(t)$  – გამართული ნაკეთობების რაოდენობა დროის მომენტისთვის  $t$ ;  $\Delta t$  – დროის ინტერვალის ხანგრძლივობა.

რა ინფორმაციის მატარებელია მტყუნებების ან გაუმართაობების განაწილება ნამუშევრის მიხედვით? პირველ რიგში ის ახასიათებს იმ პროცესებს, რომლებიც იწვევენ მტყუნებების ან გაუმართაობების წარმოქმნას. არსებობს გარკვეული ურთიერთკავშირი ნაკეთობის ფუნქციონირების პროცესში კონსტრუქციის თვისებების ცვლილებასა და ნამუშევრის მიხედვით მტყუნებათა განაწილების მაჩვენებლებს შორის. კონსტრუქციის თვისებების ცვლილებებზე, რომლებიც დაკავშირებულია მტყუნებების წარმოქმნასთან, უფრო თვალსაჩინოდ გვიჩვენებს ნამუშევრის მიხედვით მტყუნებათა ინტენსიურობის ან მტყუნებათა ნაკადის პარამეტრის ცვლილების მრუდი.

λ მახასიათებლის მრუდის ტიპური სახე ნაჩვენებია ნახ. 7-ზე. მას გააჩნია სამი დამახასიათებელი მონაკვეთი – დაღმავლობის, მუდმივი მნიშვნელობისა (თითქმის მუდმივი) და აღმავლობის. მათ შესაბამისად ნაკეთობის მთლიანი ნამუშევარიც იყოფა სამ პერიოდად:

– მონაკვეთი I – ექსპლუატაციის საწყისი პერიოდი, რომელსაც უწოდებენ მისახმარისებების პერიოდს. როგორც წესი აღნიშნული პერიოდი არც თუ ისე დიდია და მის განმავლობაში მტყუნებათა



ნახ. 7: ტიპური  $\lambda$  მახასიათებელი

ინტენსიურობის დაღმავლობა და უმტკუნებლობის ამაღლება ნამუშევრის მიხედვით დაკავშირებულია იმასთან, რომ ექსპლუატაციის დაწყებასთან ერთად ვლინდება ნაკეთობის ფარული საწარმოო ნაკლოვანებები. მათ განეკუთვნება მასალათა ნაკლოვანებები, დამზადების ტექნოლოგიის დარღვევა, არაზუსტი აწყობა, არასწორი რეგულირება და სხვა. აღნიშნული ნაკლოვანებების მტკუნებათა ან გაუმართაობათა სახით გამოვლენის კვალდაკვალ მიმდინარეობს მათი აღმოფხვრაც და ნაკეთობის უმტკუნებლობა იზრდება;

– მონაკვეთი II – ექსპლუატაციის მეორე პერიოდი არის ძირითადი და ეწოდება ნორმალური ექსპლუატაციის პერიოდი. ამ დროს უმტკუნებლობის დონე განისაზღვრება კონსტრუქციის თავისებურებებით, წარმოების ტექნოლოგიითა და ექსპლუატაციის პირობებით. ექსპლუატაციის აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ნაკეთობის მრავალრიცხოვან სისტემებში წარმოქმნილი შემთხვევითი მტკუნებები გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზებით, მათ შორის დასაშვები გადატვირთვების შემთხვევითი გადამეტებითაც;

– მონაკვეთი III – ექსპლუატაციის მესამე პერიოდი წარმოადგენს დამაბოლოებელს და ეწოდება ცვეთისა და დაბერების პერიოდი. აღნიშნულ პერიოდში ნაკეთობის უმტკუნებლობის შემცირება და მტკუნებათა ინტენსიურობის გაზრდა გამოწვეულია კონსტრუქციის დაღლილობითი დაზიანებების დაგროვებით, ცვეთის შედეგად შეერთებათა ფოლხვის გაზრდით დასაშვებზე მეტ მნიშვნელობებამდე, საკისრებში ხახუნის ზრდით, მრავალი მასალის კოროზითა და სტრუქტურული ცვლილებებით. მტკუნებათა ინტენსიურობის (ან მტკუნებათა ნაკადის პარამეტრის) გაზრდა წარმოადგენს კონსტრუქციაში დაბერებისა და ცვეთის პროცესების განვითარების სიმპტომს. რაც უფრო რთული და ძვირია ნაკეთობა, მით უფრო ხანმოკლე უნდა იყოს აღნიშნული პერიოდი. დაღლილობითი და ცვეთური მტკუნებების ინტენსიურობის მკვეთრი გაზრდისას ნაკეთობის შემდგომი ექსპლუატაცია, როგორც წესი, ხდება ეკონომიკურად მიზანშეუწონელი.

ტექნიკური სისტემის უმტკუნო მუშაობის ალბათობას მტკუნებათა ინტენსიურობის მეშვეობით დროის მონაკვეთზე ( $t_1, t_2$ ) განსაზღვრავენ შემდეგი გამოსახულებით:

$$P\left(\frac{t_1, t_2}{t_1}\right) = e^{-\int_{t_1}^{t_2} \lambda(t) dt} \quad (2.1.12)$$

თუ  $t_1 = 0$  და  $P(t) = 1$ , მაშინ გამოსახულება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$P(t) = e^{-\int_0^t \lambda(t) dt} \quad (2.1.13)$$

აღნიშნული გამოსახულება წარმოადგენს ექსპლუატაციაში მყოფი ნაკეთობების საიმედოობის განმსაზღვრელ ყველაზე ზოგად ფორმულას.

განსხვავება მტკუნებათა ინტენსიურობა  $\lambda(t)$ -სა და განაწილება  $f(t)$ -ს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ალბათობის შემადგენელი ელემენტი  $f(t)dt$  ახასიათებს ნაკეთობის მტკუნების ალბათობას დროის ელემენტარულ მონაკვეთ  $dt$ -ზე და ამავდროულად არ არის ცნობილი გამართული იყო აღნიშნული ნაკეთობა დროის ამ მონაკვეთის დასაწყისისათვის, თუ მან განიცადა მტკუნება მუშაობის წინა პერიოდში. ხოლო პირობითი ალბათობის შემადგენელი ელემენტი  $\lambda(t)dt$  ახასიათებს ნაკეთობის მტკუნების ალბათობას დროის ელემენტარულ მონაკვეთ  $dt$ -ზე იმ პირობით თუ კი ცნობილია, რომ დროის ამ მონაკვეთის დასაწყისისათვის აღნიშნულ ნაკეთობას არ უმტკუნია.

სხვაობა მტკუნებათა ინტენსიურობასა და სიმკვრივეს შორის, მათი მცირე მნიშვნელობებისას, უმნიშვნელოა  $-f(t) \approx \lambda(t)$ . თუ  $t = 0$ , მაშინ ალბათობა  $P(t) = 1$  და  $f(0) = \lambda(0)$ . მაგრამ ასევე  $f(0) \neq \lambda(0)$  ყველა  $P(t) < 1$  მნიშვნელობებისათვის. ცხრილში 3 ნაჩვენებია ურთიერთკავშირი საიმედოობის მახასიათებლებს შორის.

ზემოსენებულ ფუნქციებთან ერთად აღუდგენელი ნაკეთობებისათვის ხშირად იყენებენ საშუალო ნამუშევარს მტკუნებამდე  $T_0$ :

$$T_0 = \int_0^t t \cdot f(t) dt = \int_0^t P(t) dt \quad (2.1.14)$$

ცნობილი ფუნქცია	უცნობი ფუნქციების განმსაზღვრული ფორმულები			
	$P(t)$	$Q(t)$	$f(t)$	$\lambda(t)$
$P(t)$	—	$1 - P(t)$	$-\frac{dP(t)}{dt}$	$-\frac{1}{P(t)} \cdot \frac{dP(t)}{dt}$
$Q(t)$	$1 - Q(t)$	—	$\frac{dQ(t)}{dt}$	$\frac{1}{1 - Q(t)} \cdot \frac{dQ(t)}{dt}$
$f(t)$	$\int_t^{\infty} f(t) dt$	$\int_0^t f(t) dt$	—	$\frac{f(t)}{\int_t^{\infty} f(t) dt}$
$\lambda(t)$	$e^{-\int_0^t \lambda(t) dt}$	$1 - e^{-\int_0^t \lambda(t) dt}$	$\lambda(t) \cdot e^{-\int_0^t \lambda(t) dt}$	—

ცხრილი 3: ურთიერთკავშირი საიმედოობის მახასიათებლებს შორის

ბოლო ინტეგრალი შეესაბამება ფუნქცია  $P(t)$ -ს გრაფიკის ქვეშ არსებულ ფართობს (იხ. ნახ. 6).

უმტყუნო მუშაობის საშუალო დრო ახასიათებს ნაკეთობის ნამუშევარს მტყუნების წარმოქმნის მომენტისათვის. ამავდროულად ექსპლუატაციაში მყოფი ერთი ტიპის ნაკეთობებიდან რადაც ნაწილი იმუშავებს უმტყუნოდ  $T_0$  დროზე დიდხანს, ხოლო ნაწილი – განიცდის მტყუნებას არმისული  $T_0$  დრომდე. ნაკეთობის უმტყუნო მუშაობის დროის გადახრას საშუალო მნიშვნელობიდან ასახავს უმტყუნო მუშაობის დროის დისპერსია  $D$ . დისპერსია ახასიათებს უმტყუნო მუშაობის დროის გაფანტვის სიდიდეს მათემატიკური ლოდინის მიმართ:

$$D = \int_0^{\infty} (t - T_0)^2 f(t) dt = \int_0^{\infty} t^2 \cdot f(t) dt - T_0^2 = 2 \int_0^{\infty} t \cdot P(t) dt - T_0^2 \quad (2.1.15)$$

უმტყუნო მუშაობის დროის დისპერსიას გააჩნია განზომილება – დროის კვადრატი. გაფანტვის თვალსაჩინო დახასიათებისათვის მოსახერხებელია გამოყენებულ იქნას სიდიდე, რომლის განზომილება ემთხვევა შემთხვევითი სიდიდე  $t^*$ -ს განზომილებას. ასეთს წარმოადგენს საშუალო კვადრატული გადახრა  $\sigma$ :

$$\sigma = \sqrt{D} \quad (2.1.16)$$

უმტყუნო მუშაობის დროის განაწილების ფუნქცია წარმოადგენს ექსპლუატაციის ობიექტის საიმედოობის ამომწურავ მახასიათებელს. პრაქტიკაში საიმედოობის შეფასება უფრო მოსახერხებელია მაჩვენებლებით, რომლებიც ახასიათებენ ნაკეთობის თვისებებს დროის

გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის დადგენილი რეჟიმებისას, აღდგენის სამუშაოთა შესრულების მოცემული პირობებისას და სხვა. თუ კი ცნობილია განაწილების ფუნქცია, მაშინ ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება განისაზღვროს საიმედოობის ნებისმიერი მაჩვენებელი.

საიმედოობის მაჩვენებლების მეშვეობით შესაძლებელია შეფასდეს ნაკეთობების თვისებები მოცემული დროისა და ექსპლუატაციის პერიოდის განმავლობაში, მაშინაც კი, როდესაც უცნობია მტყუნებაზე ნამუშევრის განაწილების ფუნქცია. აღნიშნული თვისება კი თავის მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექნიკური ნაკეთობებისათვის, რომელთა ექსპლუატაციაც მიმდინარეობს დადგენილი რესურსების ფარგლებში.

გარდა ამისა, საიმედოობის მაჩვენებელთა შეფასება ითხოვს გამოცდების ჩატარებას (საექსპლუატაციო დაკვირვება) მნიშვნელოვნად ნაკლები მოცულობით, ვიდრე განაწილების ფუნქციის შეფასება.

საიმედოობის შესაფასებლად იყენებენ ერთეულოვან და კომპლექსურ მაჩვენებლებს (იხ. ცხრილი 4). ერთეულოვანი მაჩვენებელი ახასიათებს საიმედოობის ერთ-ერთ თვისებას, მაშინ, როდესაც კომპლექსური – რამოდენიმეს.

აღუდგენელი ნაკეთობების უმტყუნებლობის მაჩვენებლებს წარმოადგენენ უმტყუნო მუშაობის ალბათობა  $P(t)$ , საშუალო ნამუშევარი მტყუნებამდე  $T_0$  და მტყუნებათა ინტენსიურობა  $\lambda(t)$ , ხოლო აღდგენადი ნაკეთობების უმტყუნებლობის მაჩვენებლებს კი – მტყუნებათა ნაკადის პარამეტრი  $\omega(t)$  და საშუალო ნამუშევარი მტყუნებაზე  $T_0$ . აღდგენადი ნაკეთობების უმტყუნო მუშაობის ალბათობა შეიძლება გაანგარიშებული იქნას იმ პირობით, რომ ერთნაირი ნაკეთობების შეფასებას აწარმოებენ თვითოვეულის პირველ მტყუნებამდე მისი შემდგომი გამორიცხვით გამოსაკვლევი ერთობლიობიდან. მოლოდინის რეჟიმში მყოფი ნაკეთობებისათვის, რომლებიც დანიშნულია წამიერი ოპერაციების შესასრულებლად, საიმედოობის მაჩვენებლის სახით ირჩევენ მზადყოფნის კოეფიციენტს  $A_\theta(t)$ . თუ კი ამავდროულად ნაკეთობა დანიშნულია ხანგრძლივი

გამოყენებისათვის, მაშინ იყენებენ ოპერატიული მზადეოფნის კოეფიციენტს  $A_{\sigma\theta}(t)$ .

საიმედოობის თვისება	საიმედოობის მაჩვენებელი	საიმედოობის მაჩვენებელთა განმსაზღვრელი ფორმულები	
		პარამეტრული შემთხვევა	არაპარამეტრული შემთხვევა
<b>ერთეულოვანი მაჩვენებლები</b>			
უმტკუნებლობა	უმტკუნო მუშაობის ალბათობა $P(t)$	$\int_0^t f(t)dt$	$\frac{N - n(t)}{N}$
	საშუალო ნამუშევარი მტკუნებამდე $T_0$	$\int_0^t t \cdot f(t)dt$	$\frac{1}{N} \sum_{i=1}^N t_i$
	მტკუნებათა ინტენსიურობა $\lambda(t)$	$\frac{f(t)}{P(t)}$	$\frac{N(t) - N(t + \Delta t)}{N(t) \cdot \Delta t}$
	საშუალო ნამუშევარი მტკუნებაზე $T_0$	—	$\frac{1}{n} \sum_{i=1}^N T_i$
	მტკუნებათა ნაკადის პარამეტრი $\omega(t)$	$\lim_{\Delta t \rightarrow 0} \frac{n_r(t, t + \Delta t)}{\Delta t}$	$\frac{\sum_{i=1}^N r_i(t + \Delta t) - \sum_{i=1}^N r_i(t)}{N(t) \cdot \Delta t}$
ხანგამდებობა	გამმა-პროცენტული რესურსი $t_{R\gamma}$	$1 - \int_0^{t_{R\gamma}} f(t)dt = \frac{\gamma}{100}$	$\frac{n(t_i) + 1}{N} \leq 1 - \frac{\gamma}{100}$
	საშუალო რესურსი $\bar{t}_R$	$\int_0^{\bar{t}_R} t \cdot f(t)dt$	$\frac{1}{N} \sum_{i=1}^N t_i$
რემონტგამო- სადეგარობა	აღდგენის ალბათობა $M(t)$	$\int_0^{t_s} f_s(t)dt$	$\frac{n_s(t)}{N}$
	აღდგენის საშუალო დრო $T_s$	$\int_0^{T_s} t \cdot f_s(t)dt$	$\frac{1}{N} \sum_{i=1}^N t_i$
	აღდგენის ინტენსიურობა $\mu(t)$	—	$\frac{1}{T_s}$
შენახვადობა	შენახვადობის გამმა-პროცენტული გადა $t_{\partial\gamma}$	$1 - \int_0^{t_{\partial\gamma}} f_\gamma(t)dt = \frac{\gamma}{100}$	$\frac{n(t_i) + 1}{N} \leq 1 - \frac{\gamma}{100}$
<b>კომპლექსური მაჩვენებლები</b>			
უმტკუნებლობა და რემონტგა- მოსადეგარობა	მზადეოფნის კოეფიციენტი $A_\theta(t)$	$\frac{1}{N \cdot T_{\mathcal{X}\mathcal{A}\mathcal{B}}} \cdot \sum_{i=1}^N \xi_i$	$\frac{1}{T_0 + T_s}$
	ტექნიკური გამოყენების კოეფიციენტი $K_{\mathcal{O}\mathcal{B}}$	$\frac{\int_0^t P(t)dt}{\int_0^t P(t)dt + (T_\sigma + T_s) + T_s}$	$\frac{t_{\mathcal{X}\mathcal{A}\mathcal{B}}}{t_{\mathcal{X}\mathcal{A}\mathcal{B}} + t_{\mathcal{O}\mathcal{A}\mathcal{X}} + t_{\mathcal{O}\mathcal{B}\mathcal{X}}}$
	ოპერატიული მზადეოფნის კოეფიციენტი $A_{\sigma\theta}$	$\frac{T_0 - \int_0^t P(t)dt}{T_0 + T_s}$	$A_\theta(t) \cdot P(t)$

ცხრილი 4: საიმედოობის მთავარი მაჩვენებლები

## გაგრძელება

$N$ – დაკვირვების ქვეშ მყოფი ნაკეთობების (გამოცდების) რაოდენობა;
$n(t)$ – მტყუნებათა რაოდენობა $t$ დროის განმავლობაში;
$t_i$ – შემთხვევითი სიდიდის ცალკეული მნიშვნელობა (ნამუშევარი მტყუნებაზე, რესურსი, აღდგენის დრო);
$n$ – მტყუნებათა რაოდენობა დაკვირვების დროის განმავლობაში;
$T_i$ – $i$ ნაკეთობის ნამუშევარი;
$r_i(t)$ – $i$ ნაკეთობის მტყუნებათა რაოდენობა;
$n_r$ – ყველა ნაკეთობის მტყუნებათა ჯამური რაოდენობა;
$n(t_i)$ – $(t_i)$ მნიშვნელობის წინამორბედ წევრთა რაოდენობა, რომლებიც ერთიანდებიან ვარიაციულ რიგში;
$n_s(t)$ – მუშაუნარიანი მდგომარეობის აღდგენათა რაოდენობა მოცემული $t_\theta$ დროის განმავლობაში;
$T_{\text{ჯსან}}$ – ექსპლუატაციის ხანგრძლივობა;
$\xi_i$ – მუშაუნარიან მდგომარეობაში $i$ ნაკეთობის ყოფნის ჯამური დრო;
$t_{\text{ჯამ}}$ – ყველა ნაკეთობის ჯამური ნამუშევარი;
$t_{\text{რამ}}$ – გეგმიური და არაგეგმიური რემონტის შედეგად ყველა ნაკეთობის შეყოვნების ჯამური დრო; $t_{\text{ტაქ}}$ – ტექნიკური მომსახურების შედეგად ყველა ნაკეთობის შეყოვნების ჯამური დრო.

საიმედოობის მაჩვენებელთა არჩევისას ხელმძღვანელობენ  
შემდეგით:

- აღდგენადი ნაკეთობებისათვის უთითებენ რესურსებს ან ექსპლუატაციის კალენდარულ ვადებს მოხსნისა ან ჩამოწერისათვის, ხოლო აღუდგენელი ნაკეთობებისათვის – მხოლოდ მოხსნისათვის;
- ირჩევენ მტყუნებათა ინტენსიურობა  $\lambda$ -ს ნაკეთობებისათვის, რომელთათვისაც  $\lambda$  ექსპლუატაციის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში შეიძლება ჩაითვალოს მუდმივად, ხოლო დანარჩენი ნაკეთობებისათვის –  $T_0$ -ს ან მოჰყავთ ფუნქცია  $\lambda(t)$  გრაფიკის ან ანალიტიკური გამოსახულების სახით;
- ირჩევენ ციკლის განმავლობაში უმტყუნო მუშაობის ალბათობას ნაკეთობებისათვის, რომლებიც ყოველი ციკლის მანძილზე ექვემდებარებიან მოხსნას ან შეკეთებას;
- ირჩევენ რესურსებს ნაკეთობებისათვის, რომელთა მტყუნების ან ზღვრული მდგომარეობის დადგომა განპირობებულია ნამუშევრით (მაგალითად ცვეთის შედეგად). მსახურის ვადებს ირჩევენ ნაკეთობებისათვის, რომელთა მტყუნების ან ზღვრული მდგომარეობის

დადგომა განპირობებულია კალენდარული დროით (მაგალითად ატმოსფერული კოროზის შედეგად). ნაკეთობებისათვის, რომელთა ტექნიკური მდგომარეობის ცვლილება დაკავშირებულია, როგორც ნამუშევართან, ასევე კალენდარულ გადებთან, ირჩევენ ორივე მაჩვენებელს.

#### **2.1.4. საიმედოობის ფიზიკური და მათემატიკური მოდელები**

ნებისმიერი ნაკეთობის საიმედოობის შეფასებისას განსაკუთრებული როლი უკავია მტყუნებების ფიზიკური და მათემატიკური მოდელების სწორად არჩევასა და შემდგომ გამოყენებას, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს წარმოებული გაანგარიშებებისა და მიღებული შედეგების სისწორეს.

ტექნიკური ნაკეთობების საიმედოობის მიმართ მოთხოვნათა მუდმივმა ზრდამ, გამოთვლითი ტექნიკისა და ექსპერიმენტალური ბაზის განვითარებამ გამოიწვია მოდელირების ფართოდ გამოყენება პროექტირების, დამზადებისა და ექსპლუატაციის ამოცანების გადაჭრაში.

მათემატიკური და ფიზიკური მოდელირების მეთოდების გამოყენება იძლევა საიმედოობის გაანგარიშების, გამოცდების დაგეგმვის, მტყუნებებისა და გაუმართაობების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და გამოყენების ორგანიზების ამოცანათა გადაჭრის საშუალებას.

მტყუნებათა წარმოქმნის წინასწარ გაფრთხილების საკითხებს გააჩნია პრინციპული მნიშვნელობა უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. აქედან გამომდინარე სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა მტყუნებათა პროგნოზირების შესწავლასა და საიმედოობა-დიაგნოსტირების სფეროში კომპლექსური კვლევების ჩატარებას.

მტყუნებათა განმაპირობებელი ფიზიკური მოვლენების დრმა შესწავლისა და ყოველი ცალკეული სიტუაციის დაწვრილებითი გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია დაგროვებულ იქნას აუცილებელი

მასალა ნაკეთობის გამოსაყენებლად მომზადებისას ჩასატარებელი ტექნიკური მომსახურების წესების შემუშავებისათვის.

ფიზიკურ-ქიმიური პროცესების ფორმალიზება საშუალებას იძლევა შემუშავებულ იქნას მოდელები (იხ. ცხრილი 5), რომელთა საფუძველზეც შეისწავლება მტყუნებათა განვითარების დინამიკა, იწარმოებს ექსპლუატაციის ობიექტების ტექნიკური მდგომარეობის პროგნოზი, შეიმუშავება ოპტიმალური კონტროლის სისტემები და ტექნიკური მომსახურების მეთოდები.

მტყუნების მექანიზმი	გამოყენებული მოდელები
მექანიკური ცვეთა	$J = K \cdot \sqrt{\frac{h}{R} \cdot \frac{P}{P_2} \cdot \frac{1}{n}}$ $\frac{dJ}{dt} = \sigma_M \left[ \frac{1}{\eta} + \frac{1}{K \cdot E} \cdot e^{-\frac{t}{K}} \right]$
ელექტროქიმიური კოროზია	$m_t = \frac{i_0 \cdot S \cdot M \cdot t}{F} \cdot e^{\frac{\varphi}{B}}$
მასალათა დაბერება <sup>1</sup>	$\tau = \tau_0 \cdot e^{\frac{U}{kT}} = \tau_0 \cdot e^{\frac{U_0 - \gamma \cdot \sigma}{kT}}$

*J – ცვეთის სიდიდე; K – კოეფიციენტი (0,15...0,21); h,R – მიკროანაქერცლების სიმრუდის სიღრმე და რადიუსი; P – დატვირთვა; P<sub>2</sub> – ფაქტიური წნევა კონტაქტის ადგილზე; n – ციკლების რაოდენობა, რომლებსაც მოჰყვება მასალის აქერცვლა. σ<sub>M</sub> – მოქმედი დატვირთვა; η – მასალის სიბლანტე; E – დრეკადობის მოდული; t – ნამუშევარი.*

*m<sub>t</sub> – ნივთიერების რაოდენობა, რომელმაც მოახდინა რეაგირება; i<sub>0</sub> – კოროზიული დენის სიმკვრივე; S – ზედაპირის ფართობი; M – ნივთიერების ქიმიური ექვივალენტი; t – ნამუშევარი; F – ფარადეის რიცხვი; φ – გადამეტაბევა; B – ტაფელის მუდმივა.*

*τ – დრო დაშლამდე (ხანგამდლეობა); τ<sub>0</sub> – ატომთა სითბური რხევების პერიოდი, რომელიც დაახლოებით ტოლია 10<sup>-13</sup>წ; U = U<sub>0</sub> - γ · σ – ატომთაშორისი კავშირების გაწყვეტის აქტივაციის ენერგია თერმული ფლუქტუაციების ზეგავლენისას, თუ σ → 0, მაშინ U = U<sub>0</sub>; γ =  $\frac{\partial U}{\partial \sigma}$  – პარამეტრი, რომელიც დაკავშირებულია გადამეტებული ძაბვების კოეფიციენტან და კავშირების წყვეტის სააკტივაციო მოცულობასთან; T – აბსოლუტური ტემპერატურა; k – ბოლცმანის მუდმივა.*

**ცხრილი 5: ტექნიკური ნაკეთობების მტყუნებების ფორმირების ფიზიკურ-ქიმიური მოდელების მაგალითები**

<sup>1</sup> შურკოვის განტოლება.

ტექნიკურ ნაკეთობათა საიმედოობის უზრუნველყოფის საფუძველს წარმოადგენს დამოკიდებულებათა დადგენა ერთის მხრივ საიმედოობის მაჩვენებლებს და მეორეს მხრივ მტყუნების წარმოქმნის ცალკეულ მექანიზმის განმსაზღვრელ კონსტრუქციულ-ტექნოლოგიურ მახასიათებლებს, საექსპლუატაციო დატვირთვებსა და ფიზიკურ-ქიმიური პროცესების კინეტიკას შორის.

ნაკეთობების მტყუნებათა წარმოქმნის განმაპირობებელი ფიზიკური პროცესებისა და მოვლენების განხილვისას საჭიროა განისაზღვროს ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის დეტალიზაციის ოპტიმალური ზომა და პარამეტრების რაოდენობა, რომლებიც გამოიყენება მტყუნებათა ფიზიკურ-მათემატიკური მოდელების აგებისას. ასევე აუცილებელია სხვადასხვა შეზღუდვების შემოდების საჭიროების სწორად განსაზღვრაც.

ტექნიკური ნაკეთობის კონსტრუქციის მტყუნებათა მექანიზმის აღწერა საშუალებას იძლევა აღმოჩენილ იქნას ფარული მტყუნებები, ჩატარებულ იქნას დაჩქარებული გამოცდები, სხვადასხვა სიტუაციებში გაანგარიშდეს განმსაზღვრელი პარამეტრების ცვლილება.

მტყუნებათა მექანიზმის გამოკვლევა მოიცავს:

- ნაკეთობების ენერგიის გარდაქმნის ვარიანტებისა და ფუნქციონირების ფიზიკური არსის ანალიზს;
- კონსტრუქციაში შემავალი მასალების დანიშნულებისა და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების განსაზღვრას;
- დაფაქტოს წარმოქმნის მიზეზებისა და სხვადასხვა დატვირთვების გავლენის დონის შესწავლას;
- კონსტრუქციაში მასალების თავსებადობისა და ფიზიკურ-ქიმიური ურთიერთაქტიურობის ანალიზს;
- სიმტკიცის მინიმალური მარაგის მქონე ადგილების ლოკალიზებას;
- მტყუნებების კინეტიკურად აქტიური ფიზიკურ-ქიმიური პროცესების ამორჩევას;
- საიმედოობის ფიზიკური, მათემატიკური და სტატისტიკური მოდელების აგება.

საექსპლუატაციო ფაქტორების გავლენის ხარისხის შეფასებას ატარებენ საბაზო მნიშვნელობებთან შედარებით. აქედან გამომდინარე საიმედოობის ერთ-ერთი მაჩვენებლის – მტყუნებათა ინტენსიურობისათვის  $\lambda(t)$  შეიძლება ჩაწერილ იქნას მოდელი ზოგადი სახით:

$$\lambda(t) = \lambda_0 \cdot \alpha_1 \cdot \alpha_2 \cdot \dots \cdot \alpha_n = \lambda_0 \cdot \prod_{i=1}^n \alpha_i(t) \quad (2.1.17)$$

სადაც:  $\lambda_0$  – კონსტრუქციის ელემენტის მტყუნების ინტენსიურობის საბაზო მნიშვნელობა;  $n$  – გავლენის ფაქტორთა რაოდენობა;  $\alpha_i(t)$  –  $i$  ფაქტორის გავლენის კოეფიციენტი.

$\alpha_i(t)$  კოეფიციენტების მოდელების აგება ემყარება ტემპერატურის, ტენიანობის, მექანიკური და სხვა გავლენის თეორიულ და ექსპერიმენტულ კვლევებს იმის გათვალისწინებით, რომ რეალურ პირობებში მუშაობისას ნაკეთობებზე მოქმედ ჯამურ ენერგეტიკულ დატვირთვებს გააჩნია საბაზო მნიშვნელობებთან შედარებით განსხვავებული სიდიდეები:

$$\prod_{i=1}^n \alpha_i(t) = f\left\{\frac{W}{W_N}\right\} = f\left\{\frac{1}{W_N} \cdot (W_T + W_H + W_M + \dots)\right\} \quad (2.1.18)$$

სადაც:  $W$  – ჯამური ენერგეტიკული დატვირთვა ექსპლუატაციის რეალური პირობებისას;  $W_N$  – ენერგეტიკული დატვირთვა ექსპლუატაციის ნორმალური პირობებისას;  $W_T, W_H, W_M$  – ტემპერატურული, ტენიანობით გამოწვეული და მექანიკური დატვირთვები.

რაც უფრო მეტია  $\alpha_i(t)$  კოეფიციენტის მნიშვნელობა, მით უფრო მკაცრ საექსპლუატაციო პირობებში იმყოფება ნაკეთობა და მით ნაკლებია მისი საიმედოობა.

მტყუნებების საერთო მექანიზმის მიხედვით მოდელირებისას განტოლებას ექნება შემდეგი სახე:

$$\lambda(t) = \sum_{j=1}^N \lambda_j(t) \cdot \prod_{i=1}^n \lambda_i(t) \quad (2.1.19)$$

სადაც:  $N$  და  $j$  – მტყუნების მექანიზმის რაოდენობა და ნომერი.

კონკრეტული მოდელის აგება დამოკიდებულია კონსტრუქციის იერარქიული სტრუქტურის დონეთა რაოდენობაზე და საიმედოობის ფიზიკური არსის დეტალური ანალიზის თეორიული და ექსპერიმენტული შესაძლებლობების არსებობაზე.

საიმედოობის შეფასების ხერხების გამოყენება განსაკუთრებით ფიზიკურ მოდელებში არის შეზღუდული, ვინაიდან ფიზიკური მოდელების საფუძველზე მიღებული საიმედოობის მაჩვენებელთა ერთობლიობა არ ითვალისწინებს მტყუნებათა შემთხვევით ხასიათს და ახასიათებს ნაკეთობის გამოყენების მაქსიმალურ მნიშვნელობას ექსპლუატაციის რეალური რეჟიმების გათვალისწინების გარეშე.

სტატისტიკური და ალბათური მეთოდების სინთეზი ნაკეთობებში, მათი ექსპლუატაციისას, მიმდინარე პროცესების ფიზიკურ-ქიმიურ მოდელებთან წარმოადგენს ტექნიკური ნაკეთობების საიმედოობის კვლევის უფრო ეფექტურ მიმართულებას.

ნაკეთობების საიმედოობის კვლევის ჩატარებისას არანაკლებ მნიშვნელოვანია შესაბამისი მათემატიკური მოდელის აგება. ადნიშნული პროცესი ითვალისწინებს ნაკეთობის უმტყუნო მუშაობის ალბათობისათვის ანალიტიკური გამოსახულების განსაზღვრას. საიმედოობის ასეთი მოდელი ადგენს ნაკეთობის უმტყუნო მუშაობის ალბათობის დამოკიდებულებას მის შემადგენლობაში შემავალი ელემენტების საიმედოობის მაჩვენებლებზე საერთო სტრუქტურის (საიმედოობის სტრუქტურული სქემის სახე) გათვალისწინებით. მაგალითისათვის, მექანიკურად გაცვეთილი ნაკეთობების შემთხვევაში ელემენტების საიმედოობის მოდელი, ადგენს მათი უმტყუნო მუშაობის ალბათობის დამოკიდებულებას ცვეთის პროცესის პარამეტრებზე. მექანიკურად დაზიანებული ნაკეთობების შემთხვევაში, რომლებიც იშლება სტატიკური და ციკლური დატვირთვების ზემოქმედების ქვეშ, ამგვარი მოდელი ადგენს უმტყუნო მუშაობის ალბათობის დამოკიდებულებას დაძაბულობასა და სიმტკიცეზე და ა.შ.

შემთხვევითი სიდიდეების (ნამუშევარი, რესურსი და ა.შ.) განაწილების ფუნქციის ანალიტიკური გამოსახულების დადგენა საშუალებას იძლევა განსაზღვრულ იქნას საიმედოობის საჭირო მაჩვენებლები (საშუალო და გამმა-პროცენტული მაჩვენებლები,

უმტკუნო მუშაობის ალბათობა და ა.შ.). ამ შემთხვევაში მტყუნებების ამა თუ იმ თეორიული მოდელის არჩევა განაპირობებს საიმედოობის მიღებული რაოდენობრივი მაჩვენებლების გარკვეულ სიზუსტეს. ზოგი მოდელების საიმედოობის მაჩვენებელთა მეთოდურ ცდომილებებს შეიძლება გააჩნდეს დიდი მნიშვნელობა.

მტყუნებათა მოდელის არჩევა, ანუ განაწილების ფუნქციის ანალიტიკური გამოსახულების განსაზღვრა, წარმოებს შემდეგი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე:

- 1) მტყუნებაზე ნამუშევრების (რესურსის ან შენახვადობის) სტატისტიკური მონაცემების;
- 2) მტყუნებების განმსაზღვრელი დეგრადაციის ფიზიკური პროცესების (ზღვრული მდგომარეობა).

პირველი გზა – მტყუნებათა წარმოქმნის კანონზომიერებების დადგენა მდგომარეობს შემთხვევითი სიდიდეებისათვის მტყუნებათა მოდელების სახით საიმედოობაში ცნობილი გარკვეული განაწილებების გამოყენებაში. ამ შემთხვევაში მტყუნებებს განიხილავენ, როგორც აბსტრაქტულ შემთხვევით მოვლენებს, ხოლო მტყუნებათა მოდელებს უწოდებენ ალბათურ (სტატისტიკურ) მოდელებს.

მეორე გზა – მტყუნებათა წარმოქმნის კანონზომიერებათა დადგენა ხორციელდება მათი გამომწვევი ფიზიკური პროცესების გადინების სტატისტიკური კანონზომიერებების ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული მიდგომა განსაზღვრავს მტყუნებათა მოდელებს, რომლებიც სკეციალურადაა აგებული შესასწავლი მოვლენების აღწერისათვის. ამ შემთხვევაში განაწილების პარამეტრებს გააჩნია კონკრეტული ფიზიკური ინტერპრეტაცია, ხოლო მტყუნებების მოდელებს უწოდებენ ალბათურ-ფიზიკურებს.

რიგ შემთხვევებში არის მკაფიოდ განსაზღვრული დამოკიდებულებები მტყუნებათა მექანიზმებსა და განაწილების ფუნქციებს შორის, რაც თავის მხრივ საშუალებას იძლევა განხორციელდეს მათი დასაბუთებული არჩევა. ამ დროს მნიშვნელოვანია საიმედოობის მახასიათებელთა აპროქსიმირება ცნობილი განაწილების თეორიული ფუნქციებით.

ცხრილში 6 მოყვანილია უმტკუნო მუშაობის დროის განაწილების კანონები მახასიათებლებით, რომლებსაც უფრო ხშირად იყენებენ ტექნიკური ნაკეთობების საიმედოობის მათემატიკური მოდელების სახით.

საიმედოობის მოდელების არჩევა ხორციელდდება მტკუნებათა გამომწვევი პროცესების ფიზიკური არსის, ექსპლუატაციაში არსებული გამოცდილების და ანალოგიური ნაკეთობების მტკუნებაზე ნამუშევრის განაწილების კანონების ანალიზის საფუძველზე.

დამატებითი ინფორმაციის სახით იყენებენ მონაცემებს  $P_i^*(t)$ -ს,  $f_i^*(t)$ -ს და  $\lambda_i^*(t)$ -ს ცვლილების ხასიათის სესახებ, რომლებსაც განსაზღვრავენ შემდეგი გამოსახულებებით:

$$P_i^*(t) = \frac{N(t)}{N_0}; \quad f_i^*(t) = \frac{\Delta n_i}{N_0 \cdot \Delta t}; \quad \lambda_i^*(t) = \frac{N(t) - N(t + \Delta t)}{N(t) \cdot \Delta t}. \quad (2.1.20)$$

სადაც:  $N(t)$  –  $t$  დროის მომენტისათვის მუშაუნარიანი ნაკეთობების რაოდენობა;  $N_0$  – ნაკეთობების საერთო რაოდენობა;  $\Delta n_i$  – მტკუნებების რაოდენობა  $i$  ინტერვალში;  $\Delta t$  – დროის ინტერვალი.

მოცემული მაჩვენებლების ინტერვალების მიხედვით მნიშვნელობათა გაანგარიშებული შედეგების საფუძველზე აგებენ პისტოგრამებს და განსაზღვრავენ ნამუშევრის მიხედვით მათი ცვლილების ხასიათს.

მტკუნებათა მოდელების ფორმალიზებისას მათი ფიზიკური ბუნებისა და წარმოქმნის მიზეზების გათვალისწინება განსაზღვრავს მტკუნებების ფიზიკურ საფუძველს და საშუალებას იძლევა ეფექტურად იქნას გადაწყვეტილი საიმედოობის პრაქტიკული ამოცანები.

უმტკუნო მუშაობის დროის განაწილების ფუნქციის სახით რაიმე პიკოთეზის მიღება წარმოადგენს საპასუხისმგებლო ეტაპს საექსპლუატაციო პროცესის შედეგების დამუშავებისა და ანალიზის დროს. ექსპერიმენტალურად დადგენილია, რომ უეცარი მტკუნებების გამომწვევი პროცესები შეესაბამება განაწილების ექსპონენციალურ კანონს, ცვეთის პროცესები – ნორმალურ კანონს, ხოლო ექსპლუატაციის ობიექტის ელემენტთა დაღლილობითი დაშლის ან დაშლის სახეობათა ერთობლიობის გამომწვევი პროცესები შეიძლება აღწერილ იქნას ვეიბულის განაწილებით.

განაწილების კანონი	მახასიათებლები			გამოყენების არე
	$P(t)$	$f(t)$	$\lambda(t)$	
ექსპონენციალური:  $P(t) = e^{-\lambda \cdot t}$ $f(t) = \lambda \cdot e^{-\lambda \cdot t}$ $\lambda(t) = \text{const}$				გამოიყენება რთული სისტემების ანალიზისას, რომლებმაც გაიარეს მისახმარისების პერიოდი. ადნიშნულ კანონს შეესაბამება ნატურალური თანამიმდევრულ მტყუნებებს შორის დამყრევებული რეაქციებისას.
ექსპონენციალური ფუნქცია კვადრატული მაჩვენებლით <sup>1</sup> :  $P(t) = e^{-\lambda \cdot t^2}$ $f(t) = 2\lambda \cdot t \cdot e^{-\lambda \cdot t^2}$ $\lambda(t) = 2\lambda \cdot t$				იყი უფრო ზუსტად ახასიათებს მექანიკურ სისტემებში მიმდინარე პროცესებს მათთვის ელემენტების მუშაობის დამყარებულ ეტაპზე, ვიდრე ექსპონენციალური განაწილება და ამაღლოულად მას არ ახასიათებს რთული მათემატიკური აპარატი.
ნორმალური:  $P(t) = \frac{1}{b \cdot \sqrt{2\pi}} \cdot \int_t^{\infty} e^{-\frac{(t-a)^2}{2b^2}} dt$ $f(t) = \frac{1}{b \cdot \sqrt{2\pi}} \cdot e^{-\frac{(t-a)^2}{2b^2}}$ $\lambda(t) = \frac{1}{b} \cdot \frac{f_0 \cdot \left(\frac{t-a}{b}\right)}{\left(\frac{1}{2} - \frac{1}{2} \cdot \Phi \cdot \left(\frac{t-a}{b}\right)\right)}$				გამოიყენება ელემენტების ცვეთისა და დახერხების გამოწარმოებისას, ასევე სიღილით ერთნაირი დიდი რაოდენობის უაქტორთა ზეგავლენის შედეგად წარმოებნილი მტყუნებებისას.
გნედენკო-ვეიბულის:  $P(t) = e^{-\left(\frac{t}{t_0}\right)^m}$ $f(t) = \frac{m}{t_0} \cdot \left(\frac{t}{t_0}\right)^{m-1} \cdot e^{-\left(\frac{t}{t_0}\right)^m}$ $\lambda(t) = \frac{m}{t_0^m} \cdot t^{m-1}$				გამოიყენება საკისრების მსახურის გადის, სიმტკიცის მახასიათებლების, დაღლილობითი მდგრადიბის, მექანიკური სისტემების სანგამდევობის მახასიათებელთა აღწერისას.
გამა-განაწილება:  $P(t) = \int_0^t \frac{a^b \cdot t^{b-1} \cdot e^{-a \cdot t}}{\Gamma(b)} dt$ $f(t) = \frac{a^b}{\Gamma(b)} \cdot t^{b-1} \cdot e^{-a \cdot t}$ $\lambda(t) = \frac{t^{b-1} \cdot e^{-a \cdot t}}{\int_t^{\infty} t^{b-1} \cdot e^{-a \cdot t} dt}$				გამოიყენება მტყუნებაზე ნატურალის აღწერისათვის ცვეთისა ან დაზიანებების დაგროვების პირობებში, დარეზერვებული ელემენტების მქონე სისტემების მტყუნებაზე ნატურალის აღწერისას, ასევე აღდგენის დროის აღწერისათვის ( $\Gamma(b)$ - გამა-უნიცია).

ცხრილი 6: უმტყუნო მუშაობის დროის განაწილების ძირითადი კანონები

<sup>1</sup> აღებულია ავტორის წიგნიდან [45] გვ.82.

მათემატიკური მოდელის არჩევის სისწორის ობიექტურად შეფასებისათვის იყენებენ თანხმობის კრიტერიუმებს.

თეორიული და ემპირიული განაწილების შესაბამისობის შემოწმების პროცედურა მდგომარეობს კრიტერიუმის გამოთვლაში, რომელიც ახასიათებს ამ განაწილებათა განსხვავების ხარისხს, და მიღებული მნიშვნელობის შედარებაში კრიტიკულთან. აღნიშნულის საფუძველზე კი ხდება შესამოწმებელი ჰიპოთეზის (მოდელის) მიღება ან უარყოფა.

თანხმობის კრიტერიუმთა გამოყენების უმნიშვნელოვანეს პრინციპულ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ შესაბამისობის შემოწმების შედეგად შეუძლებელია რომელიმე ჰიპოთეზის სრულ თანხვედრაზე საუბარი. მიღებული ჰიპოთეზა მოწმობს მხოლოდ იმას, რომ არჩეული მოდელი არ ეწინააღმდეგება კვლევით მონაცემებს.

არსებული კრიტერიუმების დიდი ჯგუფიდან უფრო ხშირად იყენებენ კოლმოგოროვის,  $\chi^2$ -ის და რომანოვსკის კრიტერიუმებს.

კოლმოგოროვის კრიტერიუმის გამოყენებისას გაუთანხმოების სიდიდის სახით იყენებენ რიცხვ  $D$ -ს:

$$D = D_{max} \cdot \sqrt{n} \quad (2.1.21)$$

სადაც:  $D_{max}$  – განაწილების ემპირიული და თეორიული ფუნქციების სხვაობის მაქსიმალური აბსოლუტური მნიშვნელობა;  $n$  – ინტერვალთა რაოდენობა.

გაუთანხმოების სიდიდე  $D$ -ს კოლმოგოროვის განაწილების კვანტილ  $D_\alpha$ -თან შედარების საფუძველზე ( $\alpha$ -ს ერთი და იგივე მნიშვნელობით) წარმოებს წამოყენებული ჰიპოთეზის მიღება " $D < D_\alpha$ "-ს შემთხვევაში ან მისი უარყოფა " $D > D_\alpha$ "-ს შემთხვევაში.

$\chi^2$  კრიტერიუმის გამოყენებისას გაუთანხმოების სიდიდის სახით იყენებენ რიცხვ  $H$ -ს:

$$H = \sum_{i=1}^n \frac{(m_i - N \cdot Q_i)^2}{N \cdot Q_i} \quad (2.1.22)$$

სადაც:  $m_i$  – მტყუნებათა რაოდენობაა ნამუშევრის  $i$  ინტერვალში;  $n$  – ინტერვალთა რაოდენობა;  $N$  – ამონარჩევის მოცულობა (რაოდენობა);  $Q_i$  – მტყუნების თეორიული ალბათობა ნამუშევრის  $i$  ინტერვალში.

$H$ -ის მნიშვნელობის შედარების საფუძველზე  $\chi^2$ -ის კვანტილთან (თავისუფლების  $\ell$  ხარისხის მქონე  $\alpha$ -ს მნიშვნელობის განაწილება დონეების მიხედვით –  $\chi_{\alpha,\ell}^2$ ) აკეთებენ დასკვნას პიპოთების არჩევაზე. თუ " $H < \chi_{\alpha,\ell}^2$ " პიპოთებას იღებენ, ხოლო თუ " $H > \chi_{\alpha,\ell}^2$ " პიპოთებას უარყოფენ.

რომანოვსკის მიერ შემოთავაზებული ემპირიული და ნორმალური განაწილების თანხვედრის შეფასების მეთოდი მდგომარეობს შემდეგი ფარდობის გამოყენებაში:

$$\frac{\chi^2 - K}{\sqrt{K}} < 3 \quad (2.1.23)$$

სადაც:  $K$  – თავისუფლების ხარისხების რაოდენობა.

თუ აღნიშნული უტოლობა შესრულდა, მაშინ არათანხვედრა ითვლება უმნიშვნელოდ.


მიუხედავად ტექნიკური ნაკეთობის სირთულისა (ელემენტი, სისტემა, რთული სისტემა რეზერვირებით) მას ყოველთვის გააჩნია ნამუშევრის განაწილების გარკვეული ფუნქცია (მტყუნებათა მოდელი) და შესაბამისად ნაკეთობის საიმედოობის მაჩვენებელთა შეფასების პრობლემა დაიყვანება აღნიშნული განაწილების პარამეტრების შეფასებამდე.

## **თავი 2.2. დია პინემატიკური ჯაჭვების დინამიკა განზობადებული კოორდინატების მცირე ცვლილებისას**

### **2.2.1. კინემატიკური ჯაჭვის მონაკვეთების დინამიკის განზობადები მათი შემადგენელი რგოლების დრეკადობის გათვალისწინებით**

სივრცული მექანიკური სისტემის მოძრაობისას მის რგოლებში წარმოიქმნება ურთიერთდაკავშირებული ციკლური და დრეკადი გადაადგილებები. სისტემის თითოეული რგოლი თავის მხრივ წარმოადგენს განაწილებული მასის მქონე ელემენტს, ანუ თავისუფლების ხარისხის უსასრულო რიცხვის მქონე სისტემას. თავისუფლების ხარისხის უსასრულო რიცხვის მქონე რთული დრეკადი სისტემის დინამიკის შესწავლა დაკავშირებულია დიდ სირთულეებთან, ხოლო რიგ შემთხვევებში გარდამავალი პროცესების დინამიკის ამოცანის მათემატიკურად გადმოცემა შესაძლებელი ხდება გამოთვლებში გარკვეული გამარტივებების შემთხვების შემდეგ. ერთ-ერთ ამგვარ მაგალითს წარმოადგენს საწყისი დინამიკური სისტემის შეცვლა თავისუფლების ხარისხის სასრულო რიცხვის მქონე ეკვივალენტური დაყვანილი სისტემით. განვიხილოთ ქვემოთ განვითაროთ განვივის განვივით გაანგარიშების რეკურენტული მეთოდი მოყვანილი ნაშრომში [22].

აშკარაა, რომ განაწილებული მასის მქონე დეროს დაყოფით საკმაოდ დიდი რაოდენობის მონაკვეთებზე და მათი მასების თავმოყრით პირაპირებზე, მივიღებთ სასურველი სიზუსტის ხარისხის მქონე დისკრეტულ ჯაჭვურ სისტემას, რომელიც თავისი დინამიკური თვისებებით დაემთხვევა საწყისს. მაგრამ ამავდროულად გაურკვეველი რჩება თუ მონაკვეთების  $n$  რიცხვის რა სიდიდეა საკმაოდ დიდი, როგორაც დამოკიდებული მოცემული რიცხვი  $n$  განსახილებელი რჩევების სიხშირეზე და შესაძლებელია თუ არა თავმოყრილ მასათა (რომლებიც ცვლიან დეროს მონაკვეთების გადანაწილებულ მასას) ინერციული თვისებების უფრო სწორი შეხამების ხარჯზე შევამციროთ



ნახ. 8: განივი რხევების განტოლებათა გამოყვანის დეროს დუნვის  
საანგარიშო სქემა

ამ მონაკვეთების რაოდენობა ისე, რომ გამოირიცხოს გამოთვლების სიზუსტის გაუარესება.

მოცემულ კითხვებზე პასუხის გასაცემად განვიხილოთ ამოცანა გადანაწილებული მასის მუდმივი კვეთის მქონე დეროს დამყარებული იძულებითი რხევების შესახებ, რომლებიც აღიგზნებიან დეროს ბოლოებზე მოდებული სინუსოიდური ძალებით.

კოჭების განივი რხევები, თუ კი, როგორც კეთდება ხოლმე, უგულვებელყოფთ დუნვაზე მომუშავე გადამჭრელი ძალებისა და უსასრულოდ მცირე ელემენტების მობრუნების ინერციის გავლენას, ადიწერება კერძო წარმოებულებით გამოსახული ცნობილი დიფერენციალური განტოლებით (ნახ. 8):

$$\frac{\partial^4 \eta'}{\partial \varepsilon^4} + \frac{\rho}{EI} \cdot \frac{\partial^2 \eta'}{\partial t^2} = 0 \quad (2.2.1)$$

სადაც:  $\eta' = \eta'(\varepsilon, t) = \eta(\varepsilon) \sin \omega t$  – რხევებისას დეროს მიმდინარე გადუნვა;  $\varepsilon$  – კოორდინატი, რომელიც აითვლება დეროს გასწვრივ;  $EJ$  – დეროს დუნვითი დრეკადობა;  $\rho$  – დეროს სიგრძის ერთეულის მასა.

შესაბამისი ჩასმის გაკეთების შემდეგ ვღებულობთ:

$$\frac{\partial^4 \eta}{\partial \varepsilon^4} + \frac{\alpha^4}{\ell^4} \eta = 0 \quad (2.2.2)$$

სადაც:  $\alpha^4 = \frac{\rho \ell^4 \omega^2}{EI}$  (2.2.3)

(2.2.2) განტოლების საერთო ინტეგრალს გააჩნია შემდეგი სახე:

$$\eta(\varepsilon) = C_1 S \left( \alpha \frac{\varepsilon}{\ell} \right) + C_2 T \left( \alpha \frac{\varepsilon}{\ell} \right) + C_3 U \left( \alpha \frac{\varepsilon}{\ell} \right) + C_4 V \left( \alpha \frac{\varepsilon}{\ell} \right) \quad (2.2.4)$$

სადაც:  $C_i$  – ნებისმიერი მუდმივა.

$$\left. \begin{array}{l} S(x) = \frac{1}{2}(chx + \cos x); \\ T(x) = \frac{1}{2}(shx + \sin x); \\ U(x) = \frac{1}{2}(chx - \cos x); \\ V(x) = \frac{1}{2}(shx - \sin x). \end{array} \right\} \quad (2.2.5)^1$$

$C_i$  მუდმივების საპოვნელად საჭიროა გაგვაჩნდეს ოთხი ზღვრული პირობა. კერძოდ აღნიშნული მუდმივები შეიძლება გამოვსახოთ მონაკვეთების ბოლოებზე შემდეგი მნიშვნელობებით  $\eta(\varepsilon)$  და  $\frac{\partial \eta}{\partial \varepsilon}$ , ანუ  $\varepsilon = 0$  და  $\varepsilon = \ell$ ,  $\eta' = \eta \sin \omega t = y_{\partial \sigma_B} \sin \omega t$  ან  $\eta(0) = y_{\partial \sigma_B}$  შემთხვევისას.

$$\text{გარდა } \text{ამისა } \frac{\partial \eta'}{\partial \varepsilon} = \frac{\partial \eta}{\partial \varepsilon} \sin \omega t = -x_{\partial \sigma_B} \sin \omega t \quad \text{ან} \quad \left. \frac{\partial \eta}{\partial \varepsilon} \right|_{\varepsilon=0} = -x_{\partial \sigma_B} \\ \left. \frac{\partial \eta}{\partial \varepsilon} \right|_{\varepsilon=\ell} = -x_{\partial \sigma_K}.$$

ამგვარად  $C_i$  მუდმივების მნიშვნელობათა საპოვნელად საჭიროა ამოვხსნათ მიღებული ოთხი წრფივი ალგებრული განტოლება, რომლებიც თავის მხრივ მიიღება განტოლება (2.2.4)-ის დიფერენცირების გზით:

$$\left. \begin{array}{l} C_1 = Y_{\partial \sigma_B}; \\ C_2 = -\frac{\ell}{\alpha} X_{\partial \sigma_B}; \\ C_3 = \frac{1}{\alpha^2} [\ell F(\alpha) X_{\partial \sigma_B} + \ell H(\alpha) X_{\partial \sigma_K} - L(\alpha) Y_{\partial \sigma_B} + N(\alpha) Y_{\partial \sigma_K}]; \\ C_4 = \frac{1}{\alpha^2} [-\ell L(\alpha) X_{\partial \sigma_B} - \ell N(\alpha) X_{\partial \sigma_K} - R(\alpha) Y_{\partial \sigma_B} - \Pi(\alpha) Y_{\partial \sigma_K}]. \end{array} \right\} \quad (2.2.6)$$

სადაც:

$$\begin{aligned} F(\alpha) &= \alpha \frac{\sin \alpha \operatorname{cha} - \operatorname{sha} \cos \alpha}{1 - \operatorname{cha} \cos \alpha}; & H(\alpha) &= \alpha \frac{\operatorname{sha} - \sin \alpha}{1 - \operatorname{cha} \cos \alpha}; \\ L(\alpha) &= \alpha^2 \frac{\operatorname{sha} \sin \alpha}{1 - \operatorname{cha} \cos \alpha}; & N(\alpha) &= \alpha^2 \frac{\operatorname{cha} - \cos \alpha}{1 - \operatorname{cha} \cos \alpha}; \\ R(\alpha) &= \alpha^3 \frac{\sin \alpha \operatorname{cha} + \operatorname{sha} \cos \alpha}{1 - \operatorname{cha} \cos \alpha}; & \Pi(\alpha) &= \alpha^3 \frac{\operatorname{sha} + \sin \alpha}{1 - \operatorname{cha} \cos \alpha}. \end{aligned}$$

(2.2.6) და (2.2.4) განტოლების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება მღუნავი მომენტებისა და გადამჭრელი ძალების მნიშვნელობათა

<sup>1</sup> კრილოვის ფუნქციები.

პოვნა, რომლებიც თავის მხრივ დუნგის სიდიდეებთან დაკავშირებულია შემდეგი თანაფარდობებით:

$$X'(\varepsilon, t) = -EI \frac{\partial^2 \eta'}{\partial \varepsilon^2},$$

$$Y'(\varepsilon, t) = -EI \frac{\partial^3 \eta'}{\partial \varepsilon^3}.$$

თუ გავითვალისწინებთ დეროს ბოლოების აგზნების სინუსოიდალურ სახეს, მაშინ შეგვიძლია ჩავწეროთ:

$$\begin{aligned} X_{\partial \sigma_B} \sin \omega t &= X'(0, t); & X_{\partial \sigma_X} \sin \omega t &= X'(\ell, t); \\ Y_{\partial \sigma_B} \sin \omega t &= Y'(0, t); & Y_{\partial \sigma_X} \sin \omega t &= Y'(\ell, t). \end{aligned} \quad (2.2.7)$$

ზღვრული პირობებისა და (2.2.7)-ის გათვალისწინებით, ვპოვდობთ:

$$\begin{aligned} X_{\partial \sigma_B} &= -EI \frac{d^2 \eta}{d \varepsilon^2} \Big|_{\varepsilon=0}; & Y_{\partial \sigma_B} &= -EI \frac{d^3 \eta}{d \varepsilon^3} \Big|_{\varepsilon=0}; \\ X_{\partial \sigma_X} &= -EI \frac{d^2 \eta}{d \varepsilon^2} \Big|_{\varepsilon=\ell}; & Y_{\partial \sigma_X} &= -EI \frac{d^3 \eta}{d \varepsilon^3} \Big|_{\varepsilon=\ell}. \end{aligned} \quad (2.2.8)$$

შესაბამისი გარდაქმნების ჩატარების შემდეგ მივიღებთ თანაფარდობებს, რომლებიც აკავშირებენ მონაკვეთის ბოლოებზე მოქმედი ძალების ამპლიტუდებს შესაბამისი გადაადგილებების ამპლიტუდებთან:

$$\begin{aligned} -X_{\partial \sigma_B} &= \frac{EI}{\ell} \left[ F(\alpha) x_{\partial \sigma_B} - \frac{L(\alpha)}{\ell} y_{\partial \sigma_B} + H(\alpha) x_{\partial \sigma_X} + \frac{N(\alpha)}{\ell} y_{\partial \sigma_X} \right]; \\ -Y_{\partial \sigma_B} &= \frac{EI}{\ell} \left[ -\frac{L(\alpha)}{\ell} x_{\partial \sigma_B} + \frac{R(\alpha)}{\ell^2} y_{\partial \sigma_B} + \frac{N(\alpha)}{\ell} x_{\partial \sigma_X} - \frac{\Pi(\alpha)}{\ell^2} y_{\partial \sigma_X} \right]; \\ X_{\partial \sigma_X} &= \frac{EI}{\ell} \left[ H(\alpha) x_{\partial \sigma_B} - \frac{N(\alpha)}{\ell} y_{\partial \sigma_B} + F(\alpha) x_{\partial \sigma_X} + \frac{L(\alpha)}{\ell} y_{\partial \sigma_X} \right]; \\ Y_{\partial \sigma_X} &= \frac{EI}{\ell} \left[ \frac{N(\alpha)}{\ell} x_{\partial \sigma_B} - \frac{\Pi(\alpha)}{\ell^2} y_{\partial \sigma_B} + \frac{L(\alpha)}{\ell} x_{\partial \sigma_X} + \frac{R(\alpha)}{\ell^2} y_{\partial \sigma_X} \right]. \end{aligned} \quad (2.2.9)$$

განტოლებათა სისტემა (2.2.9) მატრიცულ ფორმაში მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\begin{aligned} -Q_{\partial \sigma_B} &= C q_{\partial \sigma_B} + B q_{\partial \sigma_X}; \\ Q_{\partial \sigma_X} &= B^T q_{\partial \sigma_B} + D q_{\partial \sigma_X}. \end{aligned} \quad (2.2.10)$$

აღნიშნულ განტოლებაში მიღებულია შემდეგი აღნიშვნები:

$$Q_{\partial \sigma_B} = \begin{vmatrix} X_{\partial \sigma_B} \\ Y_{\partial \sigma_B} \end{vmatrix}; \quad Q_{\partial \sigma_X} = \begin{vmatrix} X_{\partial \sigma_X} \\ Y_{\partial \sigma_X} \end{vmatrix}; \quad q_{\partial \sigma_B} = \begin{vmatrix} x_{\partial \sigma_B} \\ y_{\partial \sigma_B} \end{vmatrix}; \quad q_{\partial \sigma_X} = \begin{vmatrix} x_{\partial \sigma_X} \\ y_{\partial \sigma_X} \end{vmatrix};$$

$$C = \frac{EJ}{\ell} \begin{vmatrix} F(\alpha) & \frac{L(\alpha)}{\ell} \\ -\frac{L(\alpha)}{\ell} & \frac{R(\alpha)}{\ell^2} \end{vmatrix}; B = \frac{EJ}{\ell} \begin{vmatrix} H(\alpha) & \frac{N(\alpha)}{\ell} \\ -\frac{N(\alpha)}{\ell} & \frac{\Pi(\alpha)}{\ell^2} \end{vmatrix}; D = \frac{EJ}{\ell} \begin{vmatrix} F(\alpha) & \frac{L(\alpha)}{\ell} \\ \frac{L(\alpha)}{\ell} & \frac{R(\alpha)}{\ell^2} \end{vmatrix}.$$

მოყვანილი თანაფარდობებიდან ჩანს, რომ თუ გადანაწილებული მასის მქონე განხილული მონაკვეთი შედის ω სისტირის ტოლი ჰარმონიული რხევების შემსრულებელი რომელიდაც დრეკადი ჯაჭვური სისტემის შემადგენლობაში, მაშინ შესაძლებელია განხილული მონაკვეთის შეცვლა ისეთი დრეკადი სისტემით, რომელსაც თავის მხრივ უნდა გააჩნდეს შემდეგი თვისებები:

სისტემას გააჩნია ორი წერტილი – მარცხენა და მარჯვენა, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თავისუფლების ორი ხარისხი: რხევათა სიბრტყეში გაღუნვა და მობრუნება.

სისტემის დრეკადი და ინერციული თვისებები ისეთია, რომ თუ მის კიდურა წერტილებზე მოქმედებენ სინუსოიდური ამგზნები ძალები, მაშინ ამ ძალთა მოდების წერტილების გადაადგილებათა ამპლიტუდები დამყარებული იძულებითი რხევების დროს აკმაყოფილებენ განტოლებებს (2.2.9).


ზემოხსენებულის გათვალისწინებით შემცვლელი მონაკვეთის პარამეტრები საჭიროა შეირჩეს ისე, რომ ω სისტირეთა მნიშვნელობების მოცემული ინტერვალისათვის თანაფარდობები (2.2.9) სრულდებოდნენ რაღაც წინასწარ მოცემული სიზუსტით. ამგარი ცვლილების განხორციელებისას შესაძლებელია მივიღოთ სტანდარტული მონაკვეთების მქონე უკიგალენტური დისკრეტული სისტემა ω სისტირეთა ინტერვალისათვის. სისტემის სტანდარტული მონაკვეთი მოყვანილია ნახავთ 9.

მოყვანილი მონაკვეთისათვის ჩავწეროთ თავმოყრილ მასათა წონასწორობის განტოლებები:

$$\begin{aligned} Q_1 - Q_{\partial\sigma_B} &= H_{\partial\sigma_B} q_{\partial\sigma_B}; \\ Q_{\partial\sigma_X} - Q_2^* &= H_{\partial\sigma_X} q_{\partial\sigma_X}; \end{aligned} \quad (2.2.11)$$

და დეფორმაციის განტოლებები:

$$\begin{aligned} -Q_1 &= E^{-1} q_{\partial\sigma_B} - (E^{-1} R) q_{\partial\sigma_X}; \\ Q_2 &= (E^{-1} R)^T q_{\partial\sigma_B} + (R^T E^{-1} R) q_{\partial\sigma_X}. \end{aligned} \quad (2.2.12)$$



ნახ. 9: სტანდარტული საანგარიშო მონაკვეთის მქონე ეპვიგალენტური დისკრეტული მონაკვეთის სქემა

შეპირაპირების პირობების გათვალისწინებით:

$$Q_1^* = Q_{\partial\sigma_B}, \quad Q_2^* = Q_2 \quad (2.2.13)$$

და (2.2.11)-დან და (2.2.13)-დან ძალვათა ვექტორების  $Q_1, Q_1^*, Q_2, Q_2^*$  გამორიცხვით, ვღებულობთ:

$$\begin{aligned} -Q_{\partial\sigma_B} &= (E^{-1} + H_{\partial\sigma_B})q_{\partial\sigma_B} - (E^{-1}R)q_{\partial\sigma_X}; \\ Q_{\partial\sigma_X} &= (E^{-1}R)^T q_{\partial\sigma_B} + (R^T E^{-1}R + H_{\partial\sigma_X})q_{\partial\sigma_X}. \end{aligned} \quad (2.2.14)$$

სადაც:  $E$  – ინერციის არმქონე შეერთების სიხისტის კოეფიციენტების მატრიცა;  $H_{\partial\sigma_B}, H_{\partial\sigma_X}$  – შემცვლელი მონაკვეთის მარცხენა და მარჯვენა ბოლოების მდგრადობა;  $R$  – გადატანის მატრიცა.

$$R = \begin{vmatrix} 1 & 0 \\ \ell & 1 \end{vmatrix}$$

(2.2.10) და (2.2.14) განტოლებების გათვალისწინებით შესაბამისი გარდაქმნის შემდეგ ვღებულობთ:

$$\begin{aligned} E^{-1} &= \begin{vmatrix} N(\alpha) - H(\alpha) & -\frac{N(\alpha)}{\ell^2} \\ -\frac{\Pi(\alpha) - N(\alpha)}{\ell} & \frac{\Pi(\alpha)}{\ell^2} \end{vmatrix}; \\ H_{\partial\sigma_B} &= \frac{EJ}{\ell} \begin{vmatrix} F(\alpha) + H(\alpha) - N(\alpha) & \frac{N(\alpha) - L(\alpha)}{\ell} \\ \frac{\Pi(\alpha) - N(\alpha) - L(\alpha)}{\ell} & \frac{R(\alpha) - \Pi(\alpha)}{\ell^2} \end{vmatrix}; \\ H_{\partial\sigma_X} &= \frac{EJ}{\ell} \begin{vmatrix} F(\alpha) + H(\alpha) - N(\alpha) & -\frac{\Pi(\alpha) - N(\alpha) - L(\alpha)}{\ell} \\ -\frac{N(\alpha) - L(\alpha)}{\ell} & \frac{R(\alpha) - \Pi(\alpha)}{\ell^2} \end{vmatrix}. \end{aligned} \quad (2.2.15)$$

მოვახდინოთ ყველა ტრანსცენდენტური ფუნქციის განშლა ხარისხის მაჩვენებლიან მწკრივებად და მიღებულ გამოსახულებებში შემოვიფარგლოდ რგოლებით, რომლებიც შეიცავენ α-ს მეოთხე ხარისხის ჩათვლით. α-ს მაგივრად (2.2.3) გამოსახულების ჩასმით ვდებულობთ:

$$E^{-1} = \begin{vmatrix} \frac{4EI}{\ell} + \frac{m\ell^2\omega^2}{42} & -\frac{6EI}{\ell^2} - \frac{13}{420}m\ell\omega^2 \\ -\frac{6EI}{\ell^2} - \frac{41}{420}m\ell\omega^2 & \frac{12EI}{\ell^3} + \frac{9}{70}m\omega^2 \end{vmatrix};$$

$$H_{\partial\sigma\sigma} = -\omega^2 \begin{vmatrix} \frac{m\ell^2}{30} & -\frac{m\ell}{12} \\ -\frac{3m\ell}{20} & \frac{m}{2} \end{vmatrix}; \quad (2.2.16)$$

$$H_{\partial\sigma\chi} = -\omega^2 \begin{vmatrix} \frac{m\ell^2}{30} & \frac{3m\ell}{20} \\ \frac{m\ell}{12} & \frac{m}{2} \end{vmatrix}.$$

საჭიროა აღინიშნოს ის გარემოება, რომ დეროს დაყოფისას გათვლით მონაკვეთებზე აუცილებელია მათი სიგრძის იმგვარად შერჩევა რათა ყველა მონაკვეთისათვის სრულდებოდეს ტოლობა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს დეროს გადანაწილებულ მასათა გათვალისწინების სიზუსტეს ~1%:

$$\left(\frac{EI}{m\ell^3}\right)_{k-1,k} \geq \omega^2 \quad (2.2.17)$$

სადაც:  $E$  – დრეკადობის (იუნგის) მოდული;  $I$  – კვეთის ინერციის მომენტი;  $m$  – განსახილველი მონაკვეთის მასა;  $\ell$  – განსახილველი მონაკვეთის სიგრძე.

სივრცული კინემატიკური ჯაჭვების დინამიკის განტოლებათა შედგენისას პირველ რიგში საჭიროა ავირჩიოთ განზოგადებული კოორდინატები:

$y$  და  $y_1$  – რგოლთა გაღუნვა შესაბამისი რგოლის დერძის (დერო) პერპენდიკულარული მიმართულებით ორ ურთიერთმართობულ სიბრტყეში;

$x$  და  $x_1$  – დეროების კვეთების მობრუნების კუთხეები, რომლებიც შეესაბამება გაღუნვებს  $y$  და  $y_1$ ;

$g$  – დეროების კვეთების გრძივი დრეკადი გადაადგილების კოორდინატი მათივე დერძული ხაზების გასწვრივ;


$\varphi$  – დეროების კვეთების მგრეხი დრეკადი გადაადგილების კოორდინატი.

განზოგადებული კოორდინატების ამდაგვარი არჩევა უფრო სრულად შეესაბამება დასმული ამოცანის პირობებს და იძლევა სივრცული მექანიკური სისტემის დინამიკის განტოლებათა ისეთი ფორმით ჩაწერის საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფს უფრო მარტივ დამოკიდებულებას რგოლთა ელემენტებში წარმოქმნილ დატვირთვებსა და გადაადგილებებს  $\Psi_1(t), \dots, \Psi_n(t)$  შორის.

თავმოყრილი პარამეტრების მქონე "გავიგალენტური" სისტემის ასაგებად მექანიკური სისტემის რგოლები დავყოთ გარკვეული  $\ell_i$  სიგრძის ცალკეულ ელემენტებად, სადაც  $i$  არის საანგარიშო მონაკვეთის რიგითი ნომერი იმის გათვალისწინებით, რომ საანგარიშო მონაკვეთების დანომვრა აირჩევა "გამჭოლად" მთელი სისტემის მიმართ. საანგარიშო ელემენტების განივი დრეკადი გადაადგილებების დინამიკის აღწერისათვის გამოვიყენოთ შესაბამისი აპროქსიმირებული განტოლებები. ხოლო რაც შეეხება გრძივ  $g_i(t)$  და გრეხით  $\varphi_i(t)$  დრეკად გადაადგილებებს ვისარგებლოდ სისტემის დისკრეტიზაციის მეთოდებით, რომლებიც აღწერილია ნაშრომში [39].

მოცემული, დინამიკის აპროქსიმირებადი განტოლებები, გამოყენებადია მხოლოდ მცირე დრეკადი გადაადგილებებისათვის და მათი გამოყენება კინემატიკური ჯაჭვის მართვადი მოძრაობების  $\Psi_1(t), \Psi_2(t), \dots, \Psi_n(t)$  მიმართ მოითხოვს საანგარიშო სქემაში, რომელიც გამოიყენება დრეკადი სისტემების საკუთარ რხევათა სისშირის განსაზღვრისათვის, გარკვეული ცვლილებების შეტანას.

ჯაჭვური მექანიკური სისტემის მართვადი მოძრაობების გავლენის შედეგად, მასში წარმოიქმნება დამატებითი ინერციული ძალები და მომენტები. ამასთან ერთად, დასმული ამოცანის ამოხსნა მოითხოვს ასევე რგოლებისა და ტვირთის წონის ძალთა  $G$  გათვალისწინებას. ინერციის ძალებსა და ინერციის ძალების მომენტებს მოვდებთ საანგარიშო მონაკვეთების შეუდლების ადგილებში. ასევე მოვახდენთ წონის ძალების თავმოყრას რგოლთა საანგარიშო



ნახ. 10: კინემატიკური ჯაჭვის რგოლის დისკრეტიზირებული  
მონაკვეთის გრძივი დრეკადი გადაადგილებების საანგარიშო სქემა

მონაკვეთების შენაწევრების ადგილებში ან თვითონ კინემატიკური ჯაჭვის რგოლთა შეუდლების ადგილებში.

სივრცული მექანიკური ჯაჭვების მოძრაობის განტოლებათა გამოყვანის მიზნით პირველყოვლისა განვიხილოთ სისტემის რგოლთა განივი რხევების აღმწერი განტოლებები. ზემოთ მოყვანილი მეთოდიკის საფუძველზე მოვახდინოთ მექანიკური ჯაჭვის დისკრეტიზაცია, მექანიკური სისტემის ყოველი რგოლის საანგარიშო მონაკვეთებზე დანაწევრებისა და განზოგადებული კოორდინატების  $y, y_1, x, x_1$  არჩევით.

საანგარიშო მონაკვეთის დინამიკის განტოლებას, განზოგადებულ  $y$  და  $x$  კოორდინატებთან მიმართებაში, (2.2.14)-ის შესაბამისად მატრიცულ ფორმაში ექნიბა შემდეგი სახე:

$$\begin{aligned} -Q_{\partial\sigma_B} &= (E^{-1} + H_{\partial\sigma_B})q_{\partial\sigma_B} - (E^{-1}R)q_{\partial\sigma_X}; \\ Q_{\partial\sigma_X} &= (E^{-1}R)^T q_{\partial\sigma_B} + (R^T E^{-1}R + H_{\partial\sigma_X})q_{\partial\sigma_X}. \end{aligned} \quad (2.2.18)$$

(2.2.16)-ის გათვალისწინებით ჩავწეროთ:

$$\begin{aligned} (E^{-1} + H_{\partial\sigma_B})q_{\partial\sigma_B} &= \left[ \begin{vmatrix} \frac{4EI}{\ell} & -\frac{6EI}{\ell^2} \\ -\frac{6EI}{\ell^2} & \frac{12EI}{\ell^3} \end{vmatrix} - \omega^2 \begin{vmatrix} \frac{m\ell^2}{105} & -\frac{11}{210}m\ell \\ -\frac{11}{210}m\ell & \frac{13}{55}m \end{vmatrix} \right] \times \\ &\times \begin{vmatrix} x_{\partial\sigma_B} \\ y_{\partial\sigma_B} \end{vmatrix} = \begin{vmatrix} \left(\frac{4EI}{\ell} - \frac{m\ell^2\omega^2}{105}\right)x_{\partial\sigma_B} & \left(-\frac{6EI}{\ell^2} + \frac{11}{210}m\ell\omega^2\right)y_{\partial\sigma_B} \\ \left(-\frac{6EI}{\ell^2} + \frac{11}{210}m\ell\omega^2\right)x_{\partial\sigma_B} & \left(\frac{12EI}{\ell^3} - \frac{13}{35}m\omega^2\right)y_{\partial\sigma_B} \end{vmatrix} \end{aligned} \quad (2.2.19)$$

$$(R^T E^{-1}R + H_{\partial\sigma_X})q_{\partial\sigma_X} = \begin{vmatrix} \left(\frac{4EI}{\ell} - \frac{m\ell^2\omega^2}{105}\right)x_{\partial\sigma_X} & \left(\frac{6EI}{\ell^2} - \frac{11}{210}m\ell\omega^2\right)y_{\partial\sigma_X} \\ \left(\frac{6EI}{\ell^2} - \frac{11}{210}m\ell\omega^2\right)x_{\partial\sigma_X} & \left(-\frac{12EI}{\ell^3} - \frac{13}{35}m\omega^2\right)y_{\partial\sigma_X} \end{vmatrix} \quad (2.2.20)$$

$$(E^{-1}R)q_{\partial\sigma_X} = \begin{vmatrix} -\frac{2EI}{\ell}x_{\partial\sigma_X} & -\frac{6EI}{\ell^2}y_{\partial\sigma_X} \\ \frac{6EI}{\ell^2}x_{\partial\sigma_X} & \frac{12EI}{\ell^3}y_{\partial\sigma_X} \end{vmatrix}; (E^{-1}R)q_{\partial\sigma_B} = \begin{vmatrix} -\frac{2EI}{\ell}x_{\partial\sigma_B} & -\frac{6EI}{\ell^2}y_{\partial\sigma_B} \\ -\frac{6EI}{\ell^2}x_{\partial\sigma_B} & \frac{12EI}{\ell^3}y_{\partial\sigma_B} \end{vmatrix} \quad (2.2.21)$$

შესაბამისი კოეფიციენტების ჩასმისა და ალგებრული გარდაქმნების განხორციელების შემდეგ, მოცემული მატრიცული განტოლებები გამლილი ფორმით შეიძლება ჩაიწეროს შემდეგ სახით:

$$\begin{aligned} -X_{\partial\sigma_3} &= \frac{m\ell^2}{105} \ddot{x}_{\partial\sigma_3} + \frac{4EI}{\ell} x_{\partial\sigma_3} + \frac{2EI}{\ell} x_{\partial\sigma_X} - \frac{11}{210} m\ell \ddot{y}_{\partial\sigma_3} - \\ &\quad - \frac{6EI}{\ell^2} y_{\partial\sigma_3} + \frac{6EI}{\ell^2} y_{\partial\sigma_X} \end{aligned} \quad (2.2.22)$$

$$\begin{aligned} X_{\partial\sigma_X} &= \frac{m\ell^2}{105} \ddot{x}_{\partial\sigma_X} + \frac{4EI}{\ell} x_{\partial\sigma_X} - \frac{2EI}{\ell} x_{\partial\sigma_3} + \frac{11}{210} m\ell \ddot{y}_{\partial\sigma_X} + \\ &\quad + \frac{6EI}{\ell^2} y_{\partial\sigma_X} + \frac{6EI}{\ell^2} y_{\partial\sigma_3} \end{aligned} \quad (2.2.23)$$

$$\begin{aligned} -Y_{\partial\sigma_3} &= \frac{13}{35} m\ddot{y}_{\partial\sigma_3} + \frac{12EI}{\ell^3} y_{\partial\sigma_3} - \frac{12EI}{\ell^3} y_{\partial\sigma_X} - \frac{11}{210} m\ell \ddot{x}_{\partial\sigma_3} - \\ &\quad - \frac{6EI}{\ell^2} x_{\partial\sigma_3} - \frac{6EI}{\ell^2} x_{\partial\sigma_X} \end{aligned} \quad (2.2.24)$$

$$\begin{aligned} Y_{\partial\sigma_X} &= \frac{13}{35} m\ddot{y}_{\partial\sigma_X} + \frac{12EI}{\ell^3} y_{\partial\sigma_X} + \frac{12EI}{\ell^3} y_{\partial\sigma_3} + \frac{11}{210} m\ell \ddot{x}_{\partial\sigma_X} + \\ &\quad + \frac{6EI}{\ell^2} x_{\partial\sigma_X} - \frac{6EI}{\ell^2} x_{\partial\sigma_3} \end{aligned} \quad (2.2.25)$$

რაც შეეხება საანგარიშო მონაკვეთის დინამიკის განტოლების აღწერას  $g(t)$  და  $\varphi(t)$  კოორდინატების მიმართ, ამ შემთხვევაში შესაძლებელია გამოვიყენოთ შემდეგი ტალღური განტოლება:

$$\frac{\partial^2 g}{\partial y^2} - a^2 \frac{\partial^2 g}{\partial t^2} = f(t, y) \quad (2.2.26)$$


დინამიკის ამოცანათა ამოსახსნელად საჭიროა საწყისი მექანიკური სისტემის ყოველი რგოლთაგანი  $i$  დავანაწევროთ ელემენტებად – სასრული სიგრძის მქონე საანგარიშო მონაკვეთები  $\ell_{gk}$ , რის შემდეგაც ვახდენთ გადანაწილებული მასის მქონე ყოველი ელემენტის შეცვლას თავმოყრილი მასის მქონე ელემენტად. თავმოყრილი მასები ავღნიშნოთ  $m_{gk}$  და განვათავსოთ ისინი საანგარიშო ელემენტების შეპირაპირების წერტილებსა და რგოლების შეუდლების ადგილებში (ნახ. 10).

შესაბამისი გაანგარიშებებისა და საჭირო მათემატიკური გარდაქმნის ჩატარების შემდეგ შესაძლებელი ხდება მთლიანობაში მექანიკური სისტემის დინამიკის განტოლებათა ჩაწერაც.


ზემოხსენებულისა და კინემატიკურ ჯაჭვში ელემენტების შენაწევრებისას სახსრული კავშირების უგულვებელყოფის გათვალისწინებით შეგვიძლია ჩავწეროთ ამ ელემენტების შენაწევრების განტოლებები, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ ცალკეული საანგარიშო ელემენტების დინამიკის განტოლებათა შორის ურთიერთკავშირებს.

ძალების და მომენტების ბალანსის განტოლებები:

$$\begin{cases} Y_{i \partial \sigma_{\mathcal{C}}} = Y_{(i-1) \partial \sigma_{\mathcal{X}}} + \mathcal{P}_i \\ Y_{1i \partial \sigma_{\mathcal{C}}} = Y_{1(i-1) \partial \sigma_{\mathcal{X}}} + \mathcal{P}_{1i} \\ X_{(i-1) \partial \sigma_{\mathcal{X}}} - X_{i \partial \sigma_{\mathcal{C}}} = 0 \\ X_{1(i-1) \partial \sigma_{\mathcal{X}}} - X_{1i \partial \sigma_{\mathcal{C}}} = 0 \\ mg_i \ddot{y}_i + F_{g_i} - F_{g(i-1)} = 0 \\ J_i \ddot{\varphi}_i + M_i - M_{(i-1)} = 0 \end{cases} \quad (2.2.27)$$



ნახ. 11: ბრუნვის პორიზონტალური ღერძის მქონე მეხუთე კლასის კინემატიკური წყვილების მეშვეობით საანგარიშო მონაკვეთების (რგოლთა შეუდლების აღგილები) შეუღლების საანგარიშო სქემა



ნახ. 12: ბრუნვის ვერტიკალური ღერძის მქონე მეხუთე კლასის  
კინემატიკური წყვილების მეშვეობით საანგარიშო მონაკვეთების  
(რგოლთა შეუდლების ადგილები) შეუდლების საანგარიშო სქემა

მოყვანილი დამოკიდებულებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ  
ცალკეული განზოგადებული კოორდინატებისათვის დინამიკის  
განტოლებები არის ურთიერთდამოუკიდებლები.

ძალების და მომენტების ბალანსის განტოლებები ბრუნვის  
პორიზონტალური ღერძის მქონე კინემატიკური წყვილისათვის (ნახ. 11):

$$\begin{aligned}
 & \begin{cases} Y_{\partial\sigma\chi} \cos \psi - Y_{\partial\sigma\chi} + N_{\partial\sigma\chi} \sin \psi = 0 \\ X_{\partial\sigma\chi} - X_{\partial\sigma\chi} = M_{\partial\sigma\chi} \end{cases}; \\
 & \begin{cases} Y_{1\partial\sigma\chi} - Y_{1\partial\sigma\chi} = 0 \\ X_{1\partial\sigma\chi} \cos \psi - X_{1\partial\sigma\chi} + M_{\partial\sigma\chi} \sin \psi = 0 \end{cases}; \\
 & \begin{cases} N'_{\partial\sigma\chi} \cos \psi - N_{\partial\sigma\chi} - Y_{\partial\sigma\chi} \sin \psi = 0 \\ M_{\partial\sigma\chi} \cos \psi - M_{\partial\sigma\chi} - X_{\partial\sigma\chi} \sin \psi = 0 \end{cases}. \tag{2.2.28}
 \end{aligned}$$

სადაც:  $N'_{\partial\sigma\chi} = N_{\partial\sigma\chi} + N^*_{\partial\sigma\chi}$ .

ძალების და მომენტების ბალანსის განტოლებები ბრუნვის კერტიკალური ღერძის მქონე კინემატიკური წყვილისათვის (ნახ. 12):

$$\begin{cases} Y_{\partial\sigma\beta} - Y_{\partial\sigma\chi} = 0 \\ X_{\partial\sigma\beta} - X_{\partial\sigma\chi} \cos \psi - M_{\partial\sigma\beta} \sin \psi = 0; \\ Y_{1\partial\sigma\beta} \cos \psi - Y_{1\partial\sigma\chi} + N'_{\partial\sigma\beta} \sin \psi = 0 \\ X_{1\partial\sigma\chi} - X_{1\partial\sigma\beta} = M_{\sigma\beta} \end{cases}; \quad (2.2.29)$$

$$\begin{cases} N'_{\partial\sigma\beta} \cos \psi - N_{\partial\sigma\chi} - Y_{1\partial\sigma\beta} \sin \psi = 0 \\ M_{\partial\sigma\beta} \cos \psi - M_{\partial\sigma\chi} - X_{1\partial\sigma\beta} \sin \psi = 0 \end{cases}.$$

სადაც:  $N'_{\partial\sigma\beta} = N_{\partial\sigma\beta} + N^*_{\partial\sigma\beta}$ .

განტოლებებში (2.2.28) და (2.2.29) დადებით მიმართულებად მიღებულია კუთხეთა ათვლის საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულება.

ძალების და მომენტების ბალანსის განტოლებები კინემატიკური წყვილისათვის, რომლებშიც ბრუნვის ღერძები ემთხვევა შეუღლებულ რგოლთა ღერძებს (ნახ. 13):

$$\begin{cases} Y_{\partial\sigma\beta} - Y_{\partial\sigma\chi} = 0 \\ X_{\partial\sigma\beta} - X_{\partial\sigma\chi} = 0; \\ Y_{1\partial\sigma\beta} - Y_{1\partial\sigma\chi} = 0 \\ X_{1\partial\sigma\beta} - X_{1\partial\sigma\chi} = 0; \\ N_{\partial\sigma\beta} - N_{\partial\sigma\chi} = 0 \\ M_{\partial\sigma\chi} - M_{\partial\sigma\beta} = M_{\sigma\beta}. \end{cases} \quad (2.2.30)$$

თუ კი გაგვაჩნია ღია კინემატიკური ჯაჭვი, რომლის ბოლო რგოლი წარმოადგენს რაიმე დამატებითი ტვირთის მატარებელს, მაშინ  $m_0$  მასის ტვირთების გადაადგილებისას (ნახ. 13) ძალთა და ინერციის ძალთა მომენტების გათვალისწინების მიზნით საჭიროა გამოსაკვლევი სისტემის დაყოფისას საანგარიშო მონაკვეთებზე (ნახ. 14) მოყვანილ წონასწორობის განტოლებებთან ერთად განხილულ იქნას ღია მექანიკური სისტემის თავისუფალი ბოლოს წონასწორობის პირობებიც.

იმ შემთხვევისათვის, როდესაც გაგვაჩნია რგოლი თავისუფალი ბოლოთი  $A - A$  კვეთის მიმართ (ნახ. 15), რომელიც გავლებულია რგოლის განაპირა წერტილზე, წონასწორობის განტოლებებს ექნებათ შემდეგი სახე:

$$\begin{cases} X_{i\partial\sigma\beta} = 0; \\ Y_{i\partial\sigma\beta} = 0. \end{cases} \quad (2.2.31)$$

ზღვრული პირობებისას:

$$\begin{aligned} x_{(i-1)\partial\sigma_3} &= 0; \\ y_{(i-1)\partial\sigma_3} &= 0. \end{aligned} \quad (2.2.32)$$

მექანიკური სისტემის თავისუფალი ბოლოს მოძრაობის განხილვისას საანგარიშო მონაკვეთის დინამიკის განტოლებები განივრევებოდა მიმართებაში გამოისახება შემდეგნაირად:

$$\begin{cases} -Q_{\partial\sigma_3} = A_{\partial\sigma_3}\ddot{q}_{\partial\sigma_3} + B_{\partial\sigma_3}q_{\partial\sigma_3} - C_{\partial\sigma_3}q_{\partial\sigma_3} \\ Q_{\partial\sigma_3} = A'_{\partial\sigma_3}\ddot{q}_{\partial\sigma_3} + B_{\partial\sigma_3}q_{\partial\sigma_3} - C_{\partial\sigma_3}q_{\partial\sigma_3} \end{cases} \quad (2.2.33)$$


$$A'_{\partial\sigma_3} = M_0 + A_{\partial\sigma_3} \quad (2.2.34)$$

სადაც:  $M_0$  – თავმოყრილი მასის ინერციული კოეფიციენტების მატრიცა და გააჩნია შემდეგი სახე:

$$M_0 = \begin{vmatrix} I_\varepsilon & S_z \\ S_z & m_0 \end{vmatrix} \quad (2.2.35)$$


სადაც:  $S_z = \ell m$  – სხეულის მასური ეპატორიალური ინერციის მომენტი;  $I_\varepsilon = m_0 \ell^2$  – ინერციის მასური მომენტი.

$$B_{\partial\sigma_3} = E^{-1}; B_{\partial\sigma_3} = R^T \cdot E^{-1} \cdot R; C_{\partial\sigma_3} = E^{-1} \cdot R; C_{\partial\sigma_3} = (E^{-1} \cdot R)^T \quad (2.2.36)$$




ნახ. 13: კინემატიკური ჯაჭვის რგოლის საანგარიშო მონაკვეთების შეუღლების სქემა კინემატიკური წყვილის ბრუნვის დერძის თანსვედრისას რგოლის დერძთან

$$A_{\partial \sigma \mathcal{B}} = \begin{vmatrix} \frac{m\ell^2}{105} & -\frac{11}{210}m\ell \\ -\frac{11}{210}m\ell & \frac{13}{35}m \end{vmatrix}; \quad A_{\partial \sigma \mathcal{K}} = \begin{vmatrix} \frac{m\ell^2}{105} & \frac{11}{210}m\ell \\ \frac{11}{210}m\ell & \frac{13}{35}m \end{vmatrix}. \quad (2.2.37)$$



ნახ. 14: რგოლის მუდმივი კეთის მქონე საანგარიშო მონაკვეთების შეუღლების სქემა ღუნვით რხევებთან მიმართებაში



ნახ. 15: ღია კინემატიკური ჯაჭვის გამომავალი რგოლის საანგარიშო მონაკვეთების შეუღლების სქემა ღუნვით რხევებთან მიმართებაში

## 2.2.2. სივრცული ღია კინემატიკური ჯაჭვის საკუთარ რხევათა სიხშირის გაანგარიშება

შემსრულებელი მექანიზმების პროექტირებისას რგოლებისა და ამძრავების ოპტიმალური პარამეტრების განსაზღვის თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას წარმოადგენს ღია მექანიკური სისტემის საკუთარი რხევების, რომლებიც წარმოიქმნება მისი

კონფიგურაციის  
გაანგარიშება.

ცვლილებისას,

სიხშირის

მნიშვნელობათა

საკუთარი რხევების სიხშირის მნიშვნელობათა  
განსაზღვრისათვის ვისარგებლოთ შემდეგი საანგარიშო სქემით (ნახ.  
16), სადაც ყოველი შემაღენელი რგოლი დაყოფილია ორ საანგარიშო  
მონაკვეთად.


საკუთარი რხევების სიხშირის მნიშვნელობათა მისაღებად  
გამოვიყენოთ დინამიკურ სიხისტეთა მეთოდი, რის შესაბამისადაც  
ჩავწეროთ რგოლების საანგარიშო მონაკვეთების ბოლოებზე მოქმედი  
ძალების ამპლიტუდებსა და ამ ძალვათა შესაბამისი გადაადგილებების  
კავშირის განტოლებები.

საანგარიშო მონაკვეთები 1-2-ის შეუდლების განტოლებები  
ჩაიწერება შემდეგი თანაფარდობების მეშვეობით:

$$\begin{aligned} -Q_1^* &= C_{12}q_1 + B_{12}q_2 \\ Q_2 &= B_{12}^T q_1 + D_{12}q_2 \end{aligned} \quad (2.2.38)$$

მოცემულ განტოლებებში  $Q_i^*$  არის რეაქცია ან ძალები, რომლებიც  
მოქმედებენ საანგარიშო მონაკვეთის მარცხენა მხარეზე;  $Q_{i+1}$  არის  
რეაქცია ან ძალები, რომლებიც მოქმედებენ საანგარიშო მონაკვეთის  
მარჯვენა მხარეზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ამ ღია კინემატიკური ჯაჭვის  
მარცხენა მხარეზე ანუ სათავეში არსებული ბრუნვადი კინემატიკური  
წყვილის მქონე საანგარიშო მონაკვეთი I-ის შეუდლებას მივიჩნევთ



ნახ. 16: ღია კინემატიკური ჯაჭვის საკუთარი რხევების სიხშირის  
განსაზღვრის საანგარიშო სქემა

ხისტად, განტოლება (2.2.38) ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$Q_2 = H_2^{(1)} q_2 \quad (2.2.39)$$

სადაც:  $H_2^{(1)} = D_{12}$  – მატრიცაა, რომელიც აკავშირებს ბალვათა ამპლიტუდებს  $Q$  გადაადგილებების ამპლიტუდებთან  $q$ .

ბრუნვადი კინემატიკური წყვილი  $a$ -ს მომიჯნავე საანგარიშო მონაკვეთები 2-3-ის შეუდლების ადგილისათვის განტოლებები (2.2.38) ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$\begin{aligned} -Q_2^* &= C_{23} q_2 + B_{23} q_3^{**} \\ Q_3^{**} &= B_{23}^T q_2 + D_{23} q_3^{**} \end{aligned} \quad (2.2.40)$$

ელემენტები 1-2 და 2-3-ის შეუდლების პირობების გათვალისწინებით მივიღებთ:

$$Q_2 = Q_2^* = H_2^{(1)} q_2 \quad (2.2.41)$$

(2.2.41) განტოლების გათვალისწინებით განტოლება (2.2.40) გადავწეროთ შემდეგნაირად:

$$-H_2^{(1)} q_2 = C_{23} q_2 + B_{23} q_3^{**} \quad (2.2.42)$$

საიდანაც ვღებულობთ:

$$q_2 = -\frac{1}{C_{23} + H_2^{(1)}} B_{23} q_3^{**} \quad (2.2.43)$$

საიდანაც შესაბამისად ვღებულობთ:

$$Q_3^{**} = -\frac{B_{23}^T \cdot B_{23}}{C_{23} + H_2^{(1)}} q_3^{**} - D_{23} q_3^{**} \quad (2.2.44)$$

სადაც:  $Q_3^{**}$  – იმ ბალვათა მატრიცაა, რომლებიც მოდებულია საანგარიშო მონაკვეთი 2-3-ის მარჯვენა მხარეზე საანგარიშო მონაკვეთები 2-3 და 3-4-ის ურთიერთგანლაგების გათვალისწინების გარეშე;  $q_3^{**} = Q_3^{**}$  ბალვათა მოქმედებით გამოწვეული გადაადგილებების მატრიცა.

ავღნიშნოთ  $Q_3$ -ით ძალვები, რომლებიც მოქმედებენ საანგარიშო მონაკვეთი 3-4-ის მოკვეთილ მარცხენა მხარეზე, ხოლო  $Q_3^*$ -ით – ძალვები, რომლებიც მოქმედებენ საანგარიშო მონაკვეთი 3-4-ის მოკვეთილ მარჯვენა მხარეზე. ამ ბალვათა შესაბამისი გადაადგილებები ავღნიშნოთ  $q_3$ -ით და  $q_3^*$ -ით.

მოცემული აღნიშვნებისა და  $a$  სახსარის გეომეტრიის გათვალისწინებით შეუდლების პირობები ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\begin{aligned} Q_3 &= -M_{Q_3} Q_3^{**} \\ q_3^{**} &= -M_{q_3} q_3 \end{aligned} \quad (2.2.45)$$

სადაც:  $M_{Q_3}$  და  $M_{q_3}$  – მობრუნების მატრიცებია, რომელთა მნიშვნელობებიც დამოკიდებულია რგოლთა შეუდლების სახსართა ბრუნვის დერძების მიმართულებებზე.

პორიზონტალური ბრუნვის დერძის მქონე სახსრის შემთხვევაში:

$$M_{Q_i} = \begin{vmatrix} 1 & 0 \\ 0 & \cos \psi_i \end{vmatrix}; \quad M_{q_i} = \begin{vmatrix} 1 & 0 \\ 0 & \cos \psi_i \end{vmatrix} \quad (2.2.46)$$

ვერტიკალური ბრუნვის დერძის მქონე სახსრის შემთხვევაში:

$$M_{Q_i} = \begin{vmatrix} \cos \psi_i & 0 \\ 0 & 1 \end{vmatrix}; \quad M_{q_i} = E = \begin{vmatrix} 1 & 0 \\ 0 & 1 \end{vmatrix} \quad (2.2.47)$$

(2.2.41) თანაფარდობის გათვალისწინებით შეგვიძლია ჩავწეროთ:

$$Q_3 = -M_{Q_3} Q_3^{**} = M_{Q_3} D_{23} M_{q_3} q_3 - M_{Q_3} \frac{B_{23}^T \cdot B_{23}}{C_{23} + H_2^{(1)}} M_{q_3} q_3 \quad (2.2.48)$$

შესაბამისად დამაკავშირებელი მატრიცა იქნება:

$$\begin{aligned} Q_3 &= H_3^{(1)} q_3 \\ H_3^{(1)} &= M_{Q_3} D_{23} M_{q_3} - M_{Q_3} \frac{B_{23}^T \cdot B_{23}}{C_{23} + H_2^{(1)}} M_{q_3} \end{aligned} \quad (2.2.49)$$

მონაკვეთი 3-4-სთვის, განტოლება (2.2.40)-ის გამოყენებით,

მივიღებთ:

$$H_4^{(1)} = D_{34} - \frac{B_{34}^T \cdot B_{34}}{C_{34} + H_4^{(1)}} \quad (2.2.50)$$

მონაკვეთი 4-5-სთვის, განტოლება (2.2.49)-ის გათვალისწინებით და იმ პირობით, რომ მობრუნების მატრიცებს გააჩნია (2.2.46)-ს სახე, სადაც  $\psi_i = \psi_2$ , მივიღებთ:

$$H_5^{(1)} = M_{Q_5} D_{45} M_{q_5} - M_{Q_5} \frac{B_{45}^T \cdot B_{45}}{C_{45} + H_4^{(1)}} M_{q_5} \quad (2.2.51)$$

მონაკვეთი 5-6-სთვის დამაკავშირებელ მატრიცას ექნება შემდეგი სახე:

$$H_6^{(1)} = H_{6M} - \frac{B_{56}^T \cdot B_{56}}{C_{56} + H_5} \quad (2.2.52)$$

მოცემულ განტოლებაში  $H_{6M}$  თავის მხრივ წარმოადგენს კინემატიკური ჯაჭვის ბოლოზე დამაგრებული თავმოყრილი მასა  $m_0$ -ის მდგრადობას და გაიანგარიშება მატრიცული განტოლების მეშვეობით:

$$H_{6M} = -\omega^2 \left\{ M_k + \begin{vmatrix} m_{56}\ell_{56}^2 & \frac{11}{210}m_{56}\ell_{56} \\ \frac{11}{210}m_{56}\ell_{56} & \frac{13}{35}m_{56} \end{vmatrix} \right\} \quad (2.2.53)$$

სადაც:  $\omega^2$  – მექანიკური სისტემის აგზების სიხშირე;  $M_k$  – თავმოყრილი მასა  $m_0$ -ის ინერციული კოეფიციენტების მატრიცა (იხილე განტოლება (2.2.35)).

ზემოთ მოყვანილ განტოლებებში  $D_{i-1,i}, B_{i-1,i}, C_{i-1,i}$  მატრიცათა მნიშვნელობებს გააჩნია შემდეგი სახე:

$$D_{i-1,i} = R^T E^{-1} R + H_{\partial\mathcal{R}_X} \quad (2.2.54)$$

$$B_{i-1,i} = E^{-1} R \quad (2.2.55)$$

$$C_{i-1,i} = E^{-1} + H_{\partial\mathcal{R}_S} \quad (2.2.56)$$

რაც შეეხება უპარკევით-წინსვლითი კინემატიკური წყვილების მქონე მექანიკური სისტემების საკუთარი რხევების სიხშირეთა გაანგარიშებას, საჭიროა კავშირის განტოლებათა (2.2.38) შედგენისას, საანგარიშო მონაკვეთების 2-4-5, 3-4 და 5-6 შეუდლების ადგილებში, განტოლებებში (2.2.54), (2.2.55) და (2.2.56) საანგარიშო მონაკვეთების სიგრძეებისა და მასების მნიშვნელობები აღებულ იქნას შესაბამისი ჯამების სახით, რომლებიც ითვალისწინებუნ ბოლო რგოლის წრფივ გადაადგილებებს.

მექანიკური სისტემის საკუთარი რხევების სიხშირის მნიშვნელობათა მიღების მიზნით, სახურის ძალთა მოქმედების გათვალისწინების გარეშე, საჭიროა შერჩევლ იქნას  $\omega^2$ -ის ისეთი მნიშვნელობა, რომ სრულდებოდეს შემდეგი პირობა:

$$f(\omega) = \Delta(H_6^{(1)}) = 0 \quad (2.2.57)$$

თავისუფალი რხევების დროს მექანიკური სისტემა ირხევა გარე ძალების მოდების გარეშე, რაც ნიშნავს, რომ განტოლება (2.2.39)-ის შესაბამის გამოსახულებებში  $Q_n = 0$  და  $q_n \neq 0$ . მაგრამ  $Q_n$  ძალთა ნულის ტოლობის შემთხვევაში სისტემა (2.2.39) ჩაწერილი მთლიანი დია კინემატიკური ჯაჭვისათვის, თავის მხრივ გარდაიქმნება ერთგვაროვან

სისტემად, რომელიც შედგება წრფივი ალგებრული  $n$  რაოდენობის განტოლებისა და ამავე  $n$  რაოდენობის  $q_n$  უცნობისგან. აღნიშნულ სისტემას, პირობის თანახმად, უნდა გააჩნდეს ნულისგან განსხვავებული ამონახსენი, რისთვისაც აუცილებელი და საკმარისია, რომ განმსაზღვრელი  $\Delta(H_n^{(1)})$  ტოლი იყოს ნულისა. შესაბამისად, თავისუფალ რხევათა სიხშირე არ შეიძლება იყოს ნებისმიერი, არამედ ნულად უნდა აქცევდეს მატრიცის განმსაზღვრელს  $H_n^{(1)}$ . სხვა სიტყვებით რომ ითქვას ქვემოთ მოყვანილი პირობა (2.2.58) თავის მხრივ წარმოადგენს განსახილველი დია ჯაჭვური მექანიკური სისტემის კერძო განტოლებას.

ვინაიდან მატრიცის ელემენტების  $H_n^{(1)}$  გაანგარიშება ზემოთ გამოყვანილი რეკურენტული ფორმულების მეშვეობით საკმაოდ მარტივია მხოლოდ მაშინ, როდესაც ცნობილია სიხშირე  $\omega$ -ს რიცხვითი მნიშვნელობა, ამიტომაც (2.2.57) განტოლების ამოხსნა შეგვიძლია ვაწარმოოთ მცდელობათა მეთოდით, ანუ  $f(\omega) = \Delta(H_n^{(1)})$  გრაფიკის აგებით  $f(\omega)$ -ს გაანგარიშებისას მოცემულ ინტერვალში  $\omega_{min} < \omega < \omega_{max}$  მყოფი  $\omega$ -ს სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის და ამ გრაფიკის აბსცისთა ლერძოან გადაკვეთის წერტილთა პოვნით. დაუშვათ, რომ  $\omega^*$  არის განსახილველი სისტემის ერთ-ერთი საკუთარ სიხშირეთაგანი (ანუ  $\omega = \omega^*$ -ს შემთხვევაში სრულდება პირობა (2.2.57)), მაშინ განტოლებათა ერთგვაროვან სისტემას

$$H_n^{(1)} q_n = 0 \quad (2.2.58)$$

გააჩნია ნულისაგან განსხვავებული ამონახსნები. ვთქვათ, რომ ამ ამონახსნების სვეტი არის  $q_n^*$ . ამგვარად  $\omega = \omega^*$ -ს შემთხვევაში ჩვენთვის ცნობილი ხდება გადაადგილებები  $q_n = q_n^*$  და ზემოთმოყვანილი რეკურენტული თანაფარდობების საფუძველზე, მონაკვეთიდან მონაკვეთზე უკუმიმართულებით გადასვლით ჩვენ შევძლებთ ყველა დანარჩენი გადაადგილები  $q_k$ -ს გამოანგარიშებას – ანუ შევძლებთ მიღებული სიხშირე  $\omega$ -ს შესაბამისი თავისუფალი რხევების ფორმის გამოანგარიშებას.

**თავი 2.3. დინამიკური მახასიათებლების გავლენის  
გათვალისწინებით პინემატიკური ჯაჭვის რგოლებში**  
**ძაბვების განსაზღვრა**

**2.3.1. კინემატიკური ჯაჭვის რგოლებში ძაბვების განსაზღვრის  
ზოგადი მეთოდი**

კინემატიკური ჯაჭვების მოძრაობისას მათ შემადგენელ ერთეულებზე მოქმედებენ სხვადასხვა სახის დატვირთვები, მათ შორის დინამიკურებიც. საყურადღებოა, რომ მექანიკური სისტემის მუშაობისას გარდამავალ რეჟიმებზე დატვირთვების მნიშვნელობები შესაძლოა ბევრად აღემატებოდნენ დასაშვებებს. შესაბამისად, მრავალჯაჭვა მექანიკური სიტემების ოპტიმალური პროექტირების ამოცანის ამოხსნისათვის ერთ-ერთ მთავარს წარმოადგენს მექანიზმების კინემატიკური პარამეტრების ცვლილების გათვალისწინებით სტატიკური და დინამიკური დატვირთვების განსაზღვრული ზემოქმედებით დაკავშირებული ძაბვების მნიშვნელობათა განსაზღვრა, ვინაიდან სისტემის რგოლების ურთიერთმდებარეობის ცვლილებისას იცვლება კინემატიკური ჯაჭვის ფიზიკური პარამეტრებიც.

სივრცული კინემატიკური ჯაჭვის რგოლები თავის მხრივ წარმოადგენენ სხვადასხვა კონფიგურაციის დეროებს და ასრულებენ განივ, გრძივ და გრეხით დრეკად გადაადგილებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე მექანიზმის თითოეული შემადგენელი რგოლი იქნება რთულ დაძაბულ მდგომარეობაში, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს გრეხით, გამჭიმავ-კუმშვით და განივი ღუნვის ძაბვებს.

სივრცული ღია კინემატიკური ჯაჭვის რგოლებში ღუნვის ძაბვათა გაანგარიშებისათვის გამოვიყენებოთ მექანიკური სისტემის ღერო-ელემენტების საანგარიშო მონაკვეთების განივი რხევების აღმწერ რეგურენტულ თანაფარდობებს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> თავი 2.2.1. განტოლება (2.2.18).

მიღებული აღნიშვნების<sup>1</sup> გათვალისწინებით ჩავწეროთ დიაკინემატიკური ჯაჭვის დერო-ელემენტზე გამოყოფილი საანგარიშო მონაკვეთის წონასწორობის განტოლება:

$$\begin{aligned} -Q_{\partial\sigma_B} &= (E^{-1} + H_{\partial\sigma_B})q_{\partial\sigma_B} - (E^{-1}R)q_{\partial\sigma_X}; \\ Q_{\partial\sigma_X} &= (E^{-1}R)^T q_{\partial\sigma_B} + (R^T E^{-1}R + H_{\partial\sigma_X})q_{\partial\sigma_X}. \end{aligned} \quad (2.3.1)$$

გაშლილი სახით განტოლება (2.3.1) ჩავწეროთ ზემოთ მოყვანილი<sup>2</sup> თანაფარდობების გამოყენებით:

$$-X_{\partial\sigma_B} = Ax_{\partial\sigma_B} + By_{\partial\sigma_B} + \frac{2EI}{\ell}x_{\partial\sigma_X} + \frac{6EI}{\ell^2}y_{\partial\sigma_X}, \quad (2.3.2)$$

$$-Y_{\partial\sigma_B} = Bx_{\partial\sigma_B} + Dy_{\partial\sigma_B} - \frac{6EI}{\ell^2}x_{\partial\sigma_X} - \frac{12EI}{\ell^3}y_{\partial\sigma_X}, \quad (2.3.3)$$

$$X_{\partial\sigma_X} = -\frac{2EI}{\ell}x_{\partial\sigma_B} + \frac{6EI}{\ell^2}y_{\partial\sigma_B} + Ax_{\partial\sigma_X} - By_{\partial\sigma_X}, \quad (2.3.4)$$

$$Y_{\partial\sigma_X} = -\frac{6EI}{\ell^2}x_{\partial\sigma_B} + \frac{12EI}{\ell^3}y_{\partial\sigma_B} - Bx_{\partial\sigma_X} + Dy_{\partial\sigma_X}, \quad (2.3.5)$$

მოცემულ განტოლებებში გამოყენებულია შემდეგი აღნიშვნები:

$$\begin{aligned} A &= \frac{4EI}{\ell} - \frac{m\ell^2\omega^2}{105}; \\ B &= \frac{11}{210}m\ell\omega^2 - \frac{6EI}{\ell^2}; \\ D &= -\frac{12EI}{\ell^3} - \frac{13}{35}m\omega^2. \end{aligned}$$

ნახაგვე 14 მოყვანილი საანგარიშო სქემის გამოყენებით ჩავწეროთ  $i$  და  $i+1$  საანგარიშო მონაკვეთების შეუდლების ადგილისათვის წონასწორობის პირობა:

$$Q_{\partial\sigma_X} = Q_{\partial\sigma_B(i+1)} \quad (2.3.6)$$

ამავდროულად აღნიშნული მონაკვეთების შეუდლების პირობები ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$\begin{aligned} x_{\partial\sigma_X} &= x_{\partial\sigma_B(i+1)} \\ y_{\partial\sigma_X} &= y_{\partial\sigma_B(i+1)} \end{aligned} \quad (2.3.7)$$

(2.3.6) განტოლების გამოყენებით ჩავწეროთ  $i$  და  $i+1$  საანგარიშო მონაკვეთების შეუდლების ადგილების მიმართ ძალთა და მომენტების ბალანსის განტოლება:

$$X_{\partial\sigma_X} - X_{\partial\sigma_B(i+1)} = 0 \quad (2.3.8)$$

<sup>1</sup> თავი 2.2.

<sup>2</sup> თავი 2.2.1. (2.2.19), (2.2.20) და (2.2.21) განტოლებების გათვალისწინებით.

$$Y_{\partial\sigma\chi_i} - Y_{\partial\sigma\chi_{(i+1)}} = 0 \quad (2.3.9)$$

(2.3.2), (2.3.3), (2.3.4) და (2.3.5) განტოლებების გამოყენებით (2.3.8) და (2.3.9) განტოლებები ჩავწეროთ დრეპადი გადაადგილებების გათვალისწინებით:

$$\begin{aligned} & -\frac{2EI}{\ell} x_{\partial\sigma\chi_i} + \frac{6EI}{\ell^2} y_{\partial\sigma\chi_i} + Ax_{\partial\sigma\chi_i} - By_{\partial\sigma\chi_i} + Ax_{\partial\sigma\chi_{(i+1)}} + \\ & + By_{\partial\sigma\chi_{(i+1)}} + \frac{2EI}{\ell} x_{\partial\sigma\chi_{(i+1)}} + \frac{6EI}{\ell^2} y_{\partial\sigma\chi_{(i+1)}} = 0 \end{aligned} \quad (2.3.10)$$

